

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №2

სოციალური

დაკები

საძიებელი

1. სახელმწიფო კომპენსაცია

- სამოქალაქო ავიაციის მომსახურების სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშების წესი
- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება
- მიუღებელი სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის სხვაობის ანაზღაურება კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე
- მშობიარობის გამო შვებულებისას ფულადი დახმარების გაცემის წესი

2. ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება

- ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების პირობები
- სამოქალაქო პირისათვის ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურება

3. კვების კომპენსაცია

- სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (კვების კომპენსაცია)
- შსს საგზაო პოლიციის სახელფასო დავალიანების (კვების კომპენსაციის) ანაზღაურება
- შსს საჯარო მოხელის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებისა და კვების კომპენსაციის საფუძველები
- პოლიციის თანამშრომლებზე ნამსახურების დანამატისა და კვების კომპენსაციის დავალიანების 2000 წლამდე ანაზღაურება
- კვების კომპენსაციის ანაზღაურების ხანდაზმულობა

4. სოციალური დახმარება

- იძულებით გადაადგილებული პირისათვის კომუნალური გადასახადის ანაზღაურება, დავალიანების თანხის განსაზღვრა
- სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის შეწყვეტის საფუძველი
- სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის დახმარების შეწყვეტის საფუძველი
- საარსებო შემწეობის გაცემის წესი
- მარტოხელა დაუცველი ოჯახისათვის დახმარების ანაზღაურების წესი
- ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის
- მუდმივი საცხოვრებელი ადგილის იძულებით დატოვების ფაქტის დადგენა
- მარჩენალის დაკარგვის გამო მიუღებელი პენსიის გაცემის პირობა

5. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება

- პირის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების პირობები

კომპენსაცია და დახმარება

1. სახელმწიფო კომპენსაცია

სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის განსაზღვრა

განჩინება

ბს-479-459(ვ-10)

21 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 3 აგვისტოს ნ. ბ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1975 წლიდან 2006 წლის მასამდე მუშაობდა ... საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სისტემაში, სხვადასხვა ტიპის საჰაერო ხომალდზე. მისი საერთო ... შეადგენდა 11987 საათს, ... სტაჟი კი – 35 წელს.

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლის სექტემბრიდან «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 146/ნ ბრძანების 12 დანართის მე-7¹ მუხლის მე-12 პუნქტისა და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის «ლ» ქვეპუნქტის შესაბამისად, დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია თანხის არასწორი დადგენით, რის შესახებაც მოსარჩელემ 2009 წლის 25 ივნისს განცხადებით მიმართა სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოსა» და კომპენსაციის დანიშვნის დღიდან, სახელმწიფო კომპენსაციის თანხაში სათანადო ცვლილების შეტანა მოითხოვა, რაზეც უარი ეთქვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეთა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრებოდა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს ოდენობიდან. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-3 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო მოხელის თანამდებობრივ სარგოს განსაზღვრავდა საქართველოს სამინისტრო, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. 2009 წლიდან კი აღნიშნულს განსაზღვრავდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომლის გამგებლობაში შედიოდა სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტი, სადაც მინიმალურ თანამდებობრივ სარგოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით შეადგენდა 950 ლარი. ამდენად, მოსარჩელის განმარტებით, მისთვის უნდა დაენიშნათ აღნიშნული თანხის 80% – 760 ლარი.

მოსარჩელემ ასევე მიუთითა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს, რის საფუძველზეც მოსარჩელის კომპენსაციის თანხა უნდა განსაზღვრულიყო 560 ლარით.

მოსარჩელის განმარტებით, სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტო» იხელმძღვანელებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულების პირველი პუნქტით, რის საფუძველზეც აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განსაზღვრა 135 ლარის ოდენობით, საიდანაც ნ. ბ-შვილს დაუდგინა აღნიშნული თანხის 80% – 118 ლარის ოდენობის კომპენსაცია, რაც მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის» მისთვის დანიშნულ სახელმწიფო კომპენსაციის თანხაში სათანადო ცვლილების შეტანა და 2006 წლის სექტემბრიდან ყოველთვიურად სახელმწიფო კომპენსაციის 560 ლარის ოდენობით დანიშვნის დავალება მოითხოვა.

მოპასუხემ – სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტო» სარჩელი არ ცნო და შესაგებელში აღნიშნა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით «აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 135 ლარით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ზ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დაევალა მოსარჩელისათვის დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 560 ლარისა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» 2009 წლის 10 ივლისის 107/07-14947 წერილით მოსარჩელეს განემარტა, რომ სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეთა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრა საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგოდან საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით აღმასრულებელ ხელისუფლებაში მინიმალური ხელფასის თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით. სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» 2009 წლის 10 აგვისტოს წერილით კი, მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

საქალაქო სასამართლომ განმარტებით, «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება გააჩნდათ სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეებს. კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირს კომპენსაციის, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დასანიშნად მიმართვა შეეძლო აღნიშნული უფლების წარმოშობიდან ნებისმიერ დროს. ამავ კანონის მე-7 მუხლის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს. მითითებული კანონის მე-15 მუხლის თანახმად კი, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრებოდა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით – ..., ..., ..., ან «...»-ის მეთაურისათვის.

საქალაქო სასამართლომ განმარტებით, «ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის მიმდინარეობის პერიოდში «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის დებულება დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის 140 დადგენილებით. ხსენებული დებულების თანახმად, ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა (მათ შორის, საჰაერო) და კომუნიკაციების, ურბანიზაციისა და კარტოგრაფიის, საავტომობილო გზებისა და ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტები. «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალია ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამოსილებად. ამასთან, ზემოხსენებული მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ლიკვიდაციას დაქვემდებარებული დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე მათი გაუქმების უფლებამოსილება მიენიჭა მათ უფლებამოსილებად სამინისტროებს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის 181 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად, განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ლიკვიდაცია, მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა სალიკვიდაციო კომისია, მე-14 პუნქტმა კი განსაზღვრა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს უფლებამოსილებად – ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო. აღნიშნულ კანონში 2004 წლის 24 ივნისის 1195-რს კანონით განხორციელებული ცვლილების თანახმად, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციის გამო, მისი უფლებამოსილებანი გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ 2008 წლის 23 დეკემბრის 1848-II კანონის მე-2 მუხლის თანახმად, შეიქმნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელსაც მმართველობის სფეროში გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია. ხსენებული კანონი ამოქმედდა 2009 წლის 1 თებერვლიდან.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის სამტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები, რომლის თანახმად, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის თანამდებობის პირის მინიმალური ხელფასი შეადგენდა 950 ლარს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა «საჯარო მოსამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებით განსაზღვრავდა სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის ზედა და ქვედა ზღვრებს საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი რანგების მიხედვით. ამავ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა და ქვედა ზღვრების ფარგლებში შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელებს მიენიჭათ უფლებამოსილება განესაზღვრათ სამინისტროსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და თანამდებობათა დასახელება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანად მიიჩნია და განმარტა, რომ ნ. ბ-შვილი განეკუთვნებოდა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტს, რომელსაც სახელმწიფო კომპენსაცია უნდა დანიშნავდა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტომ», რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის განჩინებით სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე მიუთითა მათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტომ», რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინება არ არის საკმარისად დასაბუთებული და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოებმა არ იმსჯელეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით განისაზღვრა მხოლოდ თანამდებობრივი სარგოები და სამტატო ნუსხა, ხოლო თანამდებობრივი სარგოს მინიმალური ზღვარი ხსენებული ბრძანებით არ დადგენილა. კასატორი აღნიშნავს, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო 135 ლარის ოდენობით განისაზღვრა «აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით.

ამდენად, კასატორის განმარტებით, მის მიერ სწორად იქნა გაანგარიშებული «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაცია საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, რომლის გამგებლობაშიც შედიოდა სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტი, მინიმალური თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 950 ლარს, ნ. ბ-შვილისათვის სახელმწიფო კომპენსაცია 950 ლარის 80%, ანუ 750 ლარი უნდა დაენიშნათ, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 650 ლარს სააგენტოს დაევალა კომპენსაციის თანხაში ცვლილების შეტანა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით არ განსაზღვრულა სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის მუშაკთა მინიმალურ თანამდებობრივ სარგოდ 950 ლარი, ამ ბრძანებით მხოლოდ განიმარტა სარგოები და სამტატო ნუსხა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ივნისის განჩინებით სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2010 წლის 24 ივნისს, 13.30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» 2009 წლის 10 ივლისის 107/07-14947 წერილით ნ. ბ-შვილს განემარტა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით «აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსა-

ხურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 135 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა გაანგარიშდებოდა 135 ლარიდან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილია ასევე სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტო» 2009 წლის 10 აგვისტოს 107-07-169/3 წერილი, რომლითაც ნ. ბ-შვილს განემართა, რომ მას სახელმწიფო კომპენსაცია სამოქალაქო ავიაციის ხაზით დაენიშნა კანონის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ნ. ბ-შვილი განეკუთვნება «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძვლებს. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეს, რომელიც დაფრინავდა სახელმწიფო კომპანიებში და დათხოვნილ იქნა 2005 წლის 1 იანვრამდე, კომპენსაცია ენიშნება 50 წლის ასაკის მიღწევისას, თუ აქვს (მამაკაცს) ავიაციაში მუშაობის თორმეტი წელი და ექვსი თვე და ნაფრენი არანაკლებ 6000 საათისა, ან ნაფრენი 6000 საათზე მეტი. ამავ მუხლის მე-2 პუნქტი კი ითვალისწინებს ხსენებული კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშების პირობებს, რომლის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს: ა) 100%-ის ოდენობით – ხომალდის მეთაურისათვის; ბ) 80%-ის ოდენობით – მეორე პილოტისათვის, შტურმანისათვის, ბორტმექანიკოს-ინჟინრისათვის, «ან-2»-ის მეთაურისათვის; გ) 70%-ის ოდენობით – ბორტგამცილებლისათვის, ბორტრადისტისათვის, ბორტაეროლოგისათვის, საჰაერო მოძრაობის მეთვალყურისათვის, აგრეთვე საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების პერსონალისათვის, რომელიც უშუალოდ ემსახურებოდა თვითმფრინავებს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლით განსაზღვრული საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესი და პირობები დაკონკრეტებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 146/ნ ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის» 12 დანართის მე-7¹ მუხლით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 146/ნ ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის» 12 დანართის მე-7¹ მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს საპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებულ საქალაქო სასამართლოს განმარტებას, რომ მოცემულ შემთხვევაში, ნ. ბ-შვილს «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაცია უნდა დანიშვნოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს მოქმედი სახელმწიფო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის წესს. აღნიშნული ნორმით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოების ზედა და ქვედა ზღვრების ფარგლებში შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელებს მიენიჭათ უფლებამოსილება განესაზღვრათ სამინისტროსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მოქმედი მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და თანამდებობათა დასახელება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს «საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოსა» და «მოქმედი საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვარის» ცნებებს. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ კანონმდებელი ზოგ შემთხვევაში აღნიშნავს, რომ სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშება უნდა მოხდეს «საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს» ოდენობიდან, ხოლო ზოგ შემთხვევაში პირდაპირ აღნიშნავს, რომ კომპენსაციის გაანგარიშება მოხდეს «მოქმედი საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოდან». მაგალითად, «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15² მუხლში მითითებულია: «საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს (მოადგილეებს) კომპენსაციები ენიშნებათ 65 წლის ასაკის მიღწევისას ან არანაკლებ 25 წლის შრომის საერთო სტაჟის შემთხვევაში, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს – უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, მის მოადგილეს (მოადგილეებს) – არანაკლებ 5 წლით სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, შესაბამისად, საქართველოს კონტროლის პალატის მოქმედი თავმჯდომარისა და მისი მოადგილის (მოადგილეების) თანამდებობრივი სარგოების შესაბამის ოდენობით». ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი პირდაპირ უთითებს, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და მისი მოადგილისათვის სა-

ხელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშება ხდება მოქმედი თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობრივი სარგოების მიხედვით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას კანონმდებელი უთითებს საჯარო მოხელის მინიმალურ თანამდებობრივ სარგოზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოსა» და «მოქმედი საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვარის» ცნებები განსხვავებული ინსტიტუტებია და მათი სამართლებრივი რეგულირება სხვადასხვა აქტით ხდება. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა, რამდენად შესაძლებელი იყო «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მოქმედი საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვარიდან გაანგარიშება, როდესაც კანონმდებელი პირდაპირ უთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით «ადმინისტრაციულ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით, ადმინისტრაციულ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 135 ლარით.

საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის სამტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები, ხოლო საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგო ხსენებული ბრძანებით არ დადგენილა, აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა მოქმედი საჯარო მოსამსახურეების ხელფასები (სარგოთა განაკვეთები).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ზემოაღნიშნულ საკითხებზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს მიზანმიმართულად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. ამდენად, კანონის განმარტებისას, დადგენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი, რაც მხოლოდ გრამატიკული განმარტებით ვერ მიიღწევა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა. ამდენად, სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს «საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოსა» და «მოქმედი საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვარის» ცნებების გამოიჭენას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სასამართლოს სხდომაზე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონით სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეთათვის დანიშნული სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა დღეისათვის გაუთანაბრდა, ზოგ შემთხვევაში კი, ნაკლები გახდა «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონით დანიშნული სახელმწიფო პენსიის ოდენობაზე, რითაც აზრი დაკარგა სახელმწიფო კომპენსაციის კანონით მათთვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღებამ. თუმცა აქვე მიუთითებს, რომ აღნიშნული ვერ შეცვლის კანონში გამოხატულ კანონმდებლის ნებას და სასამართლოს ვალდებულებას ხსენებული კანონი განმარტოს კანონის ტექსტისა და კანონმდებლის ნების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ნორმის განმარტებისას სასამართლო არ გასცდეს კანონის ფარგლებს. სასამართლო განმარტავს სამართლის ნორმებს, მაგრამ არ ქმნის მათ. მართლმსაჯულება შეზღუდულია კანონით. აღნიშნული ძირითადი პრინციპი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლოს არ გააჩნია კანონშემოქმედებითი ფუნქცია, იგი ახდენს მხოლოდ ნორმის განმარტებას შესაბამისი კანონის ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის «გ» და «ე» ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება

განჩინება

18ს-1275-1239(კ-10)

21 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 12 ოქტომბერს ბ. ნ-იანმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის – 1607 ლარის ანაზღაურების დაკისრება შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, 2009 წლის 1 სექტემბერს 14 საათზე ქ. თბილისში, ზემო ფონიჭალის დასახლებაში, თელეთის შრიდან ქვემო ფონიჭალის მიმართულეზით მოძრაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაში არსებული სატვირთო ავტომანქანა «კრაზი» სახელმწიფო ნომრით ..., რომელსაც მართავდა მძღოლი რ. ბ-ევი. მსვლელობისას, როდესაც მიუახლოვდა აღნიშნული ქუჩის მონაკვეთს, დაარღვია «საგზაო მოძრაობის შესახებ» საქართველოს კანონის 27.1 მუხლის მოთხოვნები, გადაკვეთა ორმაგი უწყვეტი ღერძულა ხაზი და შეეჯახა საგზაო მოძრაობის წესების მოთხოვნათა დაცვით მოძრავე გ. ნ-იანის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანას ოპელ «ასტრას» სახელმწიფო ნომრით შეჯახების შედეგად ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებები მიიღეს ტ. ნ-იანმა და რ. ბ-იანმა, ხოლო ავტომობილის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 1375 ლარი, ავტომანქანის სპეციალურ ავტოსადგომზე გადაყვანის ხარჯმა 152 ლარი, ხოლო ევაკუატორის მომსახურების ხარჯმა – 80 ლარი.

ავტომანქანა გენერალური მინდობილობის საფუძველზე გადაცემული აქვს ბ. ნ-იანს, ხოლო სატვირთო ავტომანქანა წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 დეკემბრის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო რ. ბ-ევი.

ბ. ნ-იანის სარჩელი არ ცნო მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძველობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 იანვრის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო გ. კ. შვილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით ბ. ნ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ავტომანქანის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 1375 ლარის ოდენობით, ავტომანქანის სპეცავტოსადგომზე გადაყვანის თანხის ანაზღაურება 152 ლარის, ასევე ევაკუატორის მომსახურების თანხის ანაზღაურება 80 ლარის ოდენობით, სულ 1607 ლარის ოდენობით, ასევე თავდაცვის სამინისტროს ბ. ნ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 100 ლარის ოდენობით, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდგენიარად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ავტოსაგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დადგომაში ბრალი მიუძღვოდა არა ბ. ნ-იანს, არამედ რ. ბ-ევს. საქალაქო სასამართლო დაეყრდნო საქმეში წარმოდგენილ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ნახაზს (სქემას), ასევე ქ. თბილისის პროკურატურის 2009 წლის 21 სექტემბრის დადგენილებას «წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ», სადაც ცალსახად იყო აღნიშნული, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეული იყო მძღოლ რ. ბ-ევის მიერ სატრანსპორტო საშუალების არასწორი მართვის გამო, რაც დასტურდებოდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ცნობით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, სქემით, ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო, ტრასოლოგიურ-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნებით და საქმეში არსებული სხვა მასალების ერთობლიობით. დადგენილების თანახმად, რ. ბ-ევის მხრიდან ადგილი ჰქონდა «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის 27.1 მუხლის მოთხოვნათა დარღვევას. აღნიშნული დადგენილება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208.1, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, 992-ე, 326-ე, 412-ე, 155.2, 999.1, 999.4, 725.2, 728-ე მუხლებით, დადგენილად მიიჩნია, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეული იყო მძღოლ რ. ბ-ევის მიერ სატრანსპორტო საშუალების არასწორი მართვის გამო. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს განაჩენი აღნიშნულ ფაქტზე რ. ბ-ევის დამნაშავედ ცნობის შესახებ და მის მიმართ სისხლის სამართლის წარმოება შეწყვეტილია, აღნიშნული არ გამოიცხადეს რ. ბ-ევის ბრალეულობას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დადგომაში, რამდენადაც წინასწარი გამოძიება შეწყდა იმის გამო, რომ მისი ქმედება არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ დადგენილებით უდავოდ დასტურდება, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დადგომაში ბრალი მიუძღვოდა სწორედ რ. ბ-ევს. დადგენილებაში პირდაპირ მითითებულია, რომ რ. ბ-ევის ბრალეულობა დადასტურებულია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ცნობით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, სქემით, ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო, ტრასოლოგიურ-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნებით და საქმეში არსებული სხვა მასალების ერთობლიობით. საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სატვირთო ავტომანქანა «კრაზი» სახელმწიფო ნომრით ..., რომელსაც მართავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურე რ. ბ-ევი, წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებას.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ბ-ევის ბრალეული ქმედებით ბ. ნ-იანის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების, მათ შორის ავტომანქანის სპეცავტოსადგომზე გადაყვანისა და ევაკუატორის მომსახურების თანხის ანაზღაურების ვალდებულება უნდა დაეკისროს სატვირთო ავტომანქანის მფლობელ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ვინაიდან რ. ბ-ევი წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეს და ავტოსაგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს იგი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, რომ ვინაიდან სატვირთო ავტომანქანა «კრაზი» სახელმწიფო ნომრით ... სამართავად გადაცემული ჰქონდა რ. ბ-ევს, იგი წარმოადგენდა ავტომანქანის მფლობელს და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება უნდა დაეკისროს არა თავდაცვის სამინისტროს, არამედ რ. ბ-ევს. საქალაქო სასამართლომ მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 155.2 მუხლის შესაბამისად, მფლობელის დასადგენად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ ვის სასარგებლოდ ხდება ნივთის ფლობა. განსახილველ შემთხვევაში, რ. ბ-ევს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სატვირთო ავტომანქანა «კრაზი» სახელმწიფო ნომრით ... სამართავად გადაცემული ჰქონდა არა როგორც კერძო პირს საკუთარი მიზნების სასარგებლოდ სარგებლობისათვის, არამედ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად. ამდენად, სატვირთო ავტომანქანის – «კრაზი» სახელმწიფო ნომრით ... მფლობელს წარმოადგენდა არა რ. ბ-ევი, არამედ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 999.1, 999.4 მუხლებზე და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმები პირდაპირ მიუთითებენ, რომ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის დროს ამა თუ იმ პირის დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის მოშლით გამოწვეული ზიანი. მოცემულ შემთხვევაში კი, რ. ბ-ევი, რომელიც წარმოადგენდა თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეს, მართავდა სწორედ თავდაცვის სამინისტროს მფლობელობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებას იმავე სამინისტროს ნებართვით.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, რომ ვინაიდან ბ. ნ-იანს ავტომანქანა გადაცემული ჰქონდა საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე, იგი არ წარმოადგენდა ავტომანქანის მესაკუთრეს და უფლება არ ჰქონდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიემართა სასამართლოსათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 725.2, 728-ე მუხლებზე და მიუთითა, რომ მესამე პირებთან ურთიერთობაში პასუხს აგებს მინდობილი მესაკუთრე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

აპელანტმა არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ ბ. ნ-იანს გადახდილი ჰქონდა ავტომანქანის სპეცავტოსადგომზე გადაყვანისათვის 152 ლარი და ევაკუატორის მომსახურებისათვის 80 ლარი. აპელანტის მითითებით, საქმეში წარმოდგენილი შპს «...» 2009 წლის 2 სექტემბერს გაცემული ცნობით და 2009 წლის 4 სექტემბრის შემოსავლის 11 ორდერით დასტურდება, რომ გადამხდელია არა მოსარჩელე, არამედ მისი ძმა გ. ნ-იანი. ასევე არ გაიზიარა აპელანტმა მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით სასამართლოს დასკვნა და აღნიშნა, რომ 2009 წლის 8 სექტემბრის 11762 დასკვნა არ შეიცავს ინფორმაციას, რომ ბ. ნ-იანის მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეული იყო ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად. დასკვნის მიხედვით, 1375 ლარში შედიოდა 1250 ლარი აღდგენითი სამუშაოების ღირებულების სახით, ხოლო 100 ლარი გაუთვალისწინებელი ხარჯი. აპელანტის მოსაზრებით, მიყენებული ზიანი შეიძლება იყოს 1250 ლარი და არა 1375 ლარი.

გარდა აღნიშნულისა, აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლი, რომლის მიხედვით, მინდობილმა მესაკუთრემ გადანდობილი ქონება უნდა მართოს საკუთრების მიმდობის ინტერესების შესაბამისად. ნივთის დაზიანების შემთხვევაშიც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საკუთრების მიმდობის ინტერესი, მისი ნება. 2010 წლის 8 თებერვლის სასამართლოს სხდომის ოქმის მიხედვით, გ. კ-შვილი არ დაეთანხმა ბ. ნ-იანის სარჩელს და არც მისი დაკმაყოფილება მოუთხოვია. მისივე განმარტებით, იგი არ აპირებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მესაკუთრის ნება ეწინააღმდეგება მინდობილი მესაკუთრის ქმედებას, სამინისტროსაგან ზიანის მოთხოვნის მიზნით სარჩელის შეტანის შესახებ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ ცნო მოწინააღმდეგე მხარემ – ბ. ნ-იანმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივნისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები და დამატებით განმარტა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ამავე კოდექსის 207-ე-208-ე, სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 999.1 მუხლებზე და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის ფაქტი. შესაბამისად, სახეზეა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ ბ. ნ-იანი არ წარმოადგენდა ავტომანქანის მესაკუთრეს და იგი ავტომანქანას ფლობდა მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისად, არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის განხილვის დროს გ. კ-შვილმა დაადასტურა, რომ მან გაყიდა ავტომანქანა, რომლის მყიდველს წარმოადგენს ბ. ნ-იანი, შესაბამისად, მის მიერ გაიცა საკუთრების მინდობის ხელშეკრულება სრული უფლებამოსილებით, ამდენად, გ. კ-შვილმა დაადასტურა, რომ ავტომანქანის მესაკუთრეს წარმოადგენს ბ. ნ-იანი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივნისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული არ არის ის სამართლებრივი ნორმები, რომლებზე დაყრდნობითაც მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ დაზარალებულისათვის მიყენებული პირდაპირი ზიანი. საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ ავტომანქანის სპეცავტოსადგომზე გადაყვანისათვის 152 ლარი და ევაკუატორის მომსახურებისათვის 80 ლარი არ წარმოადგენს მოსარჩელის მიერ გადახდილ თანხებს.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვით მინდობილმა მესაკუთრემ გადანდობილი ქონება უნდა მართოს საკუთრების მიმდობის ინტერესების შესაბამისად. ნივთის დაზიანების შემთხვევაშიც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საკუთრების მიმდობის ინტერესი, მისი ნება. 2010 წლის 8 თებერვლის სასამართლოს სხდომის ოქმის მიხედვით, გ. კ-შვილი არ დაეთანხმა ბ. ნ-იანის სარჩელს და არც მისი დაკმაყოფილება მოუთხოვია. მისივე განმარტებით, იგი არ აპირებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მესაკუთრის ნება ეწინააღმდეგება მინდობილი მესაკუთრის ქმედებას, სამინისტროსაგან ზიანის მოთხოვნის მიზნით სარჩელის შეტანის შესახებ.

ამდენად, კასატორის მოსაზრებით, ბ. ნ-იანი არ იყო უფლებამოსილი აღემრა სარჩელი, აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 725.1 მუხლის «ბ» ქვეპუნქტით.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად (აბსოლუტური კასაცია).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივნისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დარღვეულა საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმები. სასამართლომ დავის გადაწყვეტისას სრულყოფილად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სწორად განმარტა იგი, საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამისობის შესახებ, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო საჩივრის მოტივი – განსახილველ დავაში ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმების არაკვალიფიციური გამოყენება, რამაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, შექმნა აბსოლუტური კასაციის წანამდღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანოსაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა ჯერ კიდევ მწირია, რის გამოც პრობლემატურია საჯარო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი სუბიექტის და სადავო სამართალურთიერთობისათვის ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი სამოქალაქო კოდექსის ნორმების მართებული შეფარდების საკითხები.

მოცემულ საკითხზე საკასაციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები და განმარტებები ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რადგან არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია. ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას, რომ ევაკუატორის მომსახურების – 152 ლარი და საჯარიმო სადგომის ხარჯი – 80 ლარი არ წარმოადგენს მოსარჩელე ბ. ნ-იანის მიერ გადახდილ თანხას, რის გამოც არ არსებობს აღნიშნული თანხების, როგორც მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველი. საქმეში წარმოდგენილი შპს «...» მიერ 2009 წლის 2 სექტემბერს გაცემული ცნობითა და 2009 წლის 4 სექტემბრის შემოსავლის 11 ორდერით დასტურდება აღნიშნული ხარჯის გაღების ფაქტი, ხოლო ის გარემოება, რომ თანხების შემტანი პირი სერვისცენტრსა და საბანკო დაწესებულებაში არის არა უშუალოდ მოსარჩელე ბ. ნ-იანი, არამედ გ. ნ-იანი, არ გამორიცხავს გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას, რამდენადაც კასატორს არ დაუსაბუთებია და დაუდასტურებია ის გარემოება, რომ გ. ნ-იანი მოცემულ შემთხვევაში არ მოქმედებდა მოსარჩელის სახელითა და ხარჯით და ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არც საქმის მასალები იძლევა.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლობის მოტივით ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას, რომ ბ. ნ-იანი ავტომანქანას ფლობდა რა საკუთრების მინდობის საფუძველზე, მას არ ჰქონდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ პირობებში, როდესაც ავტომანქანის მესაკუთრე – გ. კ-შვილი არ გამოხატავდა ამგვარ ნებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის შესაბამისად, მინდობილი მესაკუთრე მოვალეა მართოს მინდობილი საკუთრება თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მინდობის რისკითა და ხარჯით. მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით. ამავე კოდექსის 728-ე მუხლის შესაბამისად, მესამე პირებთან ურთიერთობაში პასუხს აგებს მინდობილი მესაკუთრე.

ამდენად, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მინდობილი მესაკუთრე სარგებლობს მესაკუთრის ყველა უფლებამოსილებით და ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ მინდობილი მესაკუთრე მხოლოდ მესამე პირებთან ურთიერთობებში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით, რაც მატერიალური უფლებაა და არა პროცესუალური. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მატერიალური მოთხოვნის რეალიზაციის სამართლებრივ-პროცესუალურ ფორმას სწორედ სარჩელი წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასათვის გარანტირებულია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო-პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული, /ასე, მაგალითად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლი/.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

სამოქალაქო კოდექსის 317.1 მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის) უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება. ვალდებულებითი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობაა, ამასთან, იგი განსხვავდება საჯარო სამართალში არსებული ვალდებულებისაგან, სამოქალაქო კოდექსის 317.1. მუხლი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს როგორც ხელშეკრულებას, ასევე, დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძველს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, წარმოშობილი ზიანი და ბოლოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დელიქტური ვალდებულება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებაა და არასახელმწიფო ვალდებულების ერთ-ერთი სახეა. ზიანი შეიძლება იყოს ხელშეკრულების დარღვევიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის შედეგი, ხოლო დელიქტის დროს კი თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მიმყენებლისაგან. ამასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ბრალის არსებობის გარეშეც.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით მართებულად მიიჩნია დადგენილად, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა განაპირობა მძღოლის – რ. ბ. ევის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაში არსებული სატვირთო ავტომანქანა «კრაზის» სახელმწიფო ნომრით ... მართვის დროს «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის 27.1 მუხლის მოთხოვნის დარღვევამ, რის შედეგადაც შეეჯახა ბ. ნ. იანის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანას. შეეჯახების შედეგად ავტომანქანის დაზიანების გამო მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა კი შეადგინა 1375 ლარი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს მოსამსახურის ქმედებით, ჩადენილი მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორი გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, შესაბამისად, არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1331-1295(კ-10)

10 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 29 მარტს ე. პ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1978 წლიდან მუშაობდა მფრინავად საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სისტემაში. მისი საერთო ნაფრენი შეადგენდა 8100 საათს.

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წელს «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 146/ნ ბრძანების 12 დანართის მე-7¹ მუხლის მე-12 პუნქტისა და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის «კ» ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მის მიერ წარდგენილი სათანადო საბუთების თანახმად, დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია თანხის არასწორი დადგენით, რის შესახებაც მოსარჩელემ 2010 წლის 17 მარტს 117/11157 განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და კომპენსაციის დანიშვნის დღიდან სახელმწიფო კომპენსაციის თანხაში სათანადო ცვლილების შეტანა მოითხოვა, რაზეც უარი ეთქვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეთა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრებოდა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს ოდენობიდან. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-3 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო მოხელის თანამდებობრივ სარგოს განსაზღვრავდა საქართველოს სამინისტრო, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. 2009 წლიდან კი აღნიშნულს განსაზღვრავდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომლის გამგებლობაში შედიოდა სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტი, სადაც მინიმალურ თანამდებობრივ სარგოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით შეადგენდა 950 ლარი. ამდენად, მოსარჩელის განმარტებით, მისთვის უნდა დაენიშნათ აღნიშნული თანხის 80% – 750 ლარი.

მოსარჩელემ ასევე მიუთითა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს, რის საფუძველზეც მოსარჩელის კომპენსაციის თანხა უნდა განსაზღვრულიყო 560 ლარით.

მოსარჩელის განმარტებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ გაუგებარი მიზეზებით იხელმძღვანელა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულების პირველი პუნქტით, რის საფუძველზეც აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განსაზღვრა 135 ლარის ოდენობით, საიდანაც ე. პ-შვილს დაუდგინა აღნიშნული თანხის 80% – 108 ლარის ოდენობით კომპენსაცია, რაც მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მისთვის დანიშნულ სახელმწიფო კომპენსაციის თანხაში სათანადო ცვლილების შეტანა და სახელმწიფო კომპენსაციის 560 ლარის ოდენობით დანიშვნის დავალება მოითხოვა.

მოპასუხემ – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში აღნიშნა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან. საქართველოს პრეზიდენტის

2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით «აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 135 ლარით. მოპასუხის მითითებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის კანონიერი, ვინაიდან, «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით, რაც 108 ლარს შეადგენს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით ე. პ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დაევალა მოსარჩელისათვის დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სახელმწიფო საქვეყნო დაწესებულება – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 560 ლარისა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2010 წლის 23 მარტის 107/07-5194 წერილით მოსარჩელეს განემარტა, რომ სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეთა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრა საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგოდან. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით «აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებებით, 2008 წლის 1 იანვრიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 135 ლარით. ამდენად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ ე. პ-შვილს კანონის შესაბამისად დაუნიშნა სახელმწიფო კომპენსაცია 108 ლარის ოდენობით და მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება გააჩნდათ სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეს, რომელიც დაფრინავდა და სახელმწიფო კომპანიებში და დათხოვნილ იქნა 2005 წლის 1 იანვრამდე კომპენსაცია ენიშნება 50 წლის ასაკს მიღწევისას თუ აქვს (მამაკაცს) ავიაციაში მუშაობის თორმეტი წელი და ექვსი თვე და ნაფრენი არანაკლებ 6000 საათისა ან ნაფრენი 6000 საათზე მეტი. ამავე კანონის თანახმად, კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირს კომპენსაციის, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დასანიშნად მიმართვა შეეძლო აღნიშნული უფლების წარმოშობიდან ნებისმიერ დროს. ხოლო, მე-7 მუხლის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს. მითითებული კანონის მე-15¹ მუხლის თანახმად კი, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრებოდა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით – მეორე პილოტისათვის, შტურმანისათვის, ბორტმექანიკოს-ინჟინრისათვის, ან «ან-2»-ის მეთაურისათვის.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, «ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის მიმდინარეობის პერიოდში «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის დებულება დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის 140 დადგენილებით. ხსენებული დებულების თანახმად, ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა (მათ შორის, საჰაერო) და კომუნიკაციების, ურბანიზაციისა და კარტოგრაფიის, საავტომობილო გზებისა და ინფორმატიკის სახელმწიფო დეპარტამენტები. «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალია ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ. ამასთან, ზემოხსენებული მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ლიკვიდაციას დაქვემდებარებული დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე მათი გაუქმების უფლებამოსილება მიენიჭა მათ უფლებამონაცვლე სამინისტროებს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის 181 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად, განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ლიკვიდაცია, მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა სალიკვიდაციო კომისია, მე-14 პუნქტმა კი განსაზღვრა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს უფლებამონაცვლე – ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო. აღნიშნულ კანონში 2004 წლის 24 ივნისის 1195-რს კანონით განხორციელებული ცვლილების თანახმად, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციის გამო, მისი უფლებამოსილებანი გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ 2008 წლის 23 დეკემბრის 1848-II კანონის მე-2 მუხლის თანახმად, შეიქმნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელსაც მმართველობის სფეროში გადაეცა საქართველოს

ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია. ხსენებული კანონი ამოქმედდა 2009 წლის 1 თებერვლიდან.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები, რომლის თანახმად, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის თანამდებობის პირის მინიმალური ხელფასი შეადგენდა 950 ლარს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმის შესახებ, რომ ე. პ-შვილის სახელმწიფო კომპენსაცია კანონიერად განისაზღვრა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან, რაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 25 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით «აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით 135 ლარს შეადგენს და შესაბამისად, მოსარჩელეს დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია 135 ლარის 80% – 108 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებით განსაზღვრავდა სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის ზედა და ქვედა ზღვრებს საჯარო სამსახურის თანამდებობრივი რანგების მიხედვით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა და ქვედა ზღვრების ფარგლებში შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელებს მიენიჭათ უფლებამოსილება განესაზღვრათ სამინისტროსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და თანამდებობათა დასახელება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანად მიიჩნია და განმარტა, რომ ე. პ-შვილი განეკუთვნებოდა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტს, რომელსაც სახელმწიფო კომპენსაცია უნდა დაენიშნოდა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, კერძოდ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის თანამდებობის პირის მინიმალური ხელფასის – 950 ლარის 80%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 560 ლარისა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33.1 მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედების განხორციელებისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 სექტემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე მიუთითა მათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინება არ არის საკმარისად დასაბუთებული და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოებმა არ იმსჯელეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით განისაზღვრა მხოლოდ თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა, ხოლო თანამდებობრივი სარგოს მინიმალური ზღვარი ხსენებული ბრძანებით არ დადგენილა. კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულების მიხედვით განისაზღვრა აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო 135 ლარის ოდენობით.

ამდენად, კასატორის განმარტებით, მის მიერ სწორად იქნა გაანგარიშებული «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაცია საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტროში, რომლის გამგებლობაშიც შედიოდა სამოქალაქო

ლაქო ავიაციის დეპარტამენტი, მინიმალური თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 950 ლარს, ე. პ-შვილისათვის სახელმწიფო კომპენსაცია 950 ლარის 80%, ანუ 750 ლარი უნდა დაენიშნათ, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს სააგენტოს დაევალა კომპენსაციის თანხაში ცვლილების შეტანა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით არ განსაზღვრულა სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის მუშაკთა მინიმალურ თანამდებობრივ სარგოდ 950 ლარი, ამ ბრძანებით მხოლოდ განიშარტა სარგოები და საშტატო ნუსხა.

კასატორი უთითებს «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტზე და აღნიშნავს, რომ უკვე დანიშნული კომპენსაცია აღარ ექვემდებარება გადაანგარიშებას III, IV, V და VI თავების მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებულ განჩინების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2010 წლის 23 მარტის 107/07-5194 წერილით ე. პ-შვილს განემარტა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით «აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 135 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა გაანგარიშდებოდა 135 ლარიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ე. პ-შვილი განეკუთვნება «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძვლებს. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეს, რომელიც დაფრინავდა სახელმწიფო კომპანიებში და დათხოვნილ იქნა 2005 წლის 1 იანვრამდე, კომპენსაცია ენიშნება 50 წლის ასაკის მიღწევისას, თუ აქვს (მამაკაცს) ავიაციაში მუშაობის თორმეტი წელი და ექვსი თვე და ნაფრენი არანაკლებ 6000 საათისა, ან ნაფრენი 6000 საათზე მეტი. ამავ მუხლის მე-2 პუნქტი კი ითვალისწინებს ხსენებული კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშების პირობებს, რომლის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს: ა) 100%-ის ოდენობით – ხომალდის მეთაურისათვის; ბ) 80%-ის ოდენობით – მეორე პილოტისათვის, შტურმანისათვის, ბორტმექანიკოს-ინჟინრისათვის, «ან-2»-ის მეთაურისათვის; გ) 70%-ის ოდენობით – ბორტგამცილებლისათვის, ბორტრადისტისათვის, ბორტაეროლოგისათვის, საჰაერო მოძრაობის მეთვალყურისათვის, აგრეთვე საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების პერსონალისათვის, რომელიც უშუალოდ ემსახურებოდა თვითმფრინავებს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლით განსაზღვრული საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესი და პირობები დაკონკრეტებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 146/ნ ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის» 12 დანართის მე-7¹ მუხლით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 146/ნ ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის» 12 დანართის მე-7¹ მუხლის

მე-12 პუნქტის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებულ საქალაქო სასამართლოს განმარტებას, რომ მოცემულ შემთხვევაში, ე. პ-შვილს «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაცია უნდა დანიშნულიყო «საჯარო მოსამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საჯარო მოსამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს მოქმედი სახელმწიფო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის წესს. აღნიშნული ნორმით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოების ზედა და ქვედა ზღვრების ფარგლებში შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელებს მიენიჭათ უფლებამოსილება განესაზღვრათ სამინისტროსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მოქმედი მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და თანამდებობათა დასახელება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს «საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოსა» და «მოქმედი საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვარის» ცნებებს. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ კანონმდებელი ზოგ შემთხვევაში აღნიშნავს, რომ სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშება უნდა მოხდეს «საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს» ოდენობიდან, ხოლო ზოგ შემთხვევაში პირდაპირ აღნიშნავს, რომ კომპენსაციის გაანგარიშება მოხდეს «მოქმედი საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოდან». მაგალითად, «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15² მუხლში მითითებულია: «საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს (მოადგილეებს) კომპენსაციები ენიშნებათ 65 წლის ასაკის მიღწევისას ან არანაკლებ 25 წლის შრომის საერთო სტაჟის შემთხვევაში, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს – უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, მის მოადგილეს (მოადგილეებს) – არანაკლებ 5 წლით სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, შესაბამისად, საქართველოს კონტროლის პალატის მოქმედი თავმჯდომარისა და მისი მოადგილის (მოადგილეების) თანამდებობრივი სარგოების შესამედის ოდენობით». ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი პირდაპირ უთითებს, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და მისი მოადგილისათვის სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშება ხდება მოქმედი თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობრივი სარგოების მიხედვით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას კანონმდებელი უთითებს საჯარო მოხელის მინიმალურ თანამდებობრივ სარგოზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოსა» და «მოქმედი საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვარის» ცნებები განსხვავებული ინსტიტუტებია და მათი სამართლებრივი რეგულირება სხვადასხვა აქტით ხდება. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა, რამდენად შესაძლებელი იყო «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მოქმედი საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვარიდან გაანგარიშება, როდესაც კანონმდებელი პირდაპირ უთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით «ადმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით, ადმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 135 ლარით.

საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები, ხოლო საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგო ხსენებული ბრძანებით არ დადგენილა, აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა მოქმედი საჯარო მოსამსახურეების ხელფასები (სარგოთა განაკვეთები).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ზემოაღნიშნულ საკითხებზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს მიზანმიმართულად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. ამდენად, კანონის განმარტებისას, დადგენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი, რაც მხოლოდ გრამატიკული განმარტებით ვერ მიიღწევა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს –

გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა. ამდენად, სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს «საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოსა» და «მოქმედი საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვარის» ცნებების გამოიყენებას.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გამოიყენების პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ნორმის განმარტებისას სასამართლო არ გასცდეს კანონის ფარგლებს. სასამართლო განმარტავს სამართლის ნორმებს, მაგრამ არ ქმნის მათ. მართლმსაჯულება შეზღუდულია კანონით. აღნიშნული ძირითადი პრინციპი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლოს არ გააჩნია კანონშემოქმედებითი ფუნქცია, იგი ახდენს მხოლოდ ნორმის განმარტებას შესაბამისი კანონის ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით უარი ეთქვას ე. პ-შვილის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. პ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო ავიაციის მომსახურების სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშების წესი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1361-1325(კ-10)

10 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე**

სარჩელის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 23 მარტს მ. ნ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1981 წლიდან მუშაობდა მფრინავად საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სისტემაში. მისი საერთო ნაფრენი შეადგენდა 8350 საათს.

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წელს «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 146/ნ ბრძანების 12 დანართის მე-7¹ მუხლის მე-12 პუნქტისა და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის «კ» ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მის მიერ წარდგენილი სათანადო საბუთების თანახმად, დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია თანხის არასწორი დადგენით, რის შესახებაც მოსარჩელემ 2010 წლის 9 მარტს 117/9769 განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და კომპენსაციის დანიშვნის დღიდან სახელმწიფო კომპენსაციის თანხაში სათანადო ცვლილების შეტანა მოითხოვა, რაზეც უარი ეთქვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეთა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრებოდა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს ოდენობიდან. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-3 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო მოხელის თანამდებობრივ სარგოს განსაზღვრავდა საქართველოს სამინისტრო, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. 2009 წლიდან კი აღნიშნულს განსაზღვრავდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომლის გამგებლობაში შედიოდა სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტი, სადაც მინიმალურ თანამდებობრივ სარგოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით შეადგენდა 950 ლარი. ამდენად, მოსარჩელის განმარტებით, მისთვის უნდა დაენიშნათ აღნიშნული თანხის 80% – 750 ლარი.

მოსარჩელემ ასევე მიუთითა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს, რის საფუძველზეც მოსარჩელის კომპენსაციის თანხა უნდა განსაზღვრულიყო 560 ლარით.

მოსარჩელის განმარტებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ გაუგებარი მიზეზებით იხელმძღვანელა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულების პირველი პუნქტით, რის საფუძველზეც აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განსაზღვრა 135 ლარის ოდენობით, საიდანაც მ. ნ-შვილს დაუდგინა აღნიშნული თანხის 80% – 108 ლარის ოდენობით კომპენსაცია, რაც მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მისთვის დანიშნულ სახელმწიფო კომპენსაციის თანხაში სათანადო ცვლილების შეტანა და სახელმწიფო კომპენსაციის 560 ლარის ოდენობით დანიშვნის დავალება მოითხოვა.

მოპასუხემ – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში აღნიშნა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით «აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 135 ლარით. მოპასუხის მითითებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის კანონიერი, ვინაიდან, «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით, რაც 108 ლარს შეადგენს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით მ. ნ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დავალა მოსარჩელისათვის დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სახელმწიფო საქვეყნურო დაწესებულება – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 560 ლარისა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2010 წლის 23 მარტის 107/07-5191 წერილით მოსარჩელეს განემარტა, რომ სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეთა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრა საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგოდან. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით «აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებებით, 2008 წლის 1 იანვრიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 135 ლარით. ამდენად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ მ. ნ-შვილს კანონის შესაბამისად დაუნიშნა სახელმწიფო კომპენსაცია 108 ლარის ოდენობით და მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

საქალაქო სასამართლომ განმარტებით, «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება გააჩნდათ სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეს, რომელიც დაფრინავდა სახელმწიფო კომპანიებში და დათხოვნილ იქნა 2005 წლის 1 იანვრამდე კომპენსაცია ენიშნება 50 წლის ასაკს მიღწევისას თუ აქვს (მამაკაცს) ავიაციაში მუშაობის თორმეტი წელი და ექვსი თვე და ნაფრენი არანაკლებ 6000 საათისა ან ნაფრენი 6000 საათზე მეტი. ამავ კანონის თანახმად, კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირს კომპენსაციის, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დასანიშნად მიმართვა შეეძლო აღნიშნული უფლების წარმოშობი-

დან ნებისმიერ დროს. ხოლო, მე-7 მუხლის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს. მითითებული კანონის მე-15 მუხლის თანახმად კი, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომენსაციის ოდენობა განისაზღვრებოდა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით – მეორე პილოტისათვის, შტურმანისათვის, ბორტმექანიკოს-ინჟინრისათვის, ან «ან-2»-ის მეთაურისათვის.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, «ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის მიმდინარეობის პერიოდში «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის დებულება დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის 140 დადგენილებით. ხსენებული დებულების თანახმად, ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა (მათ შორის, საჰაერო) და კომუნიკაციების, ურბანიზაციისა და კარტოგრაფიის, საავტომობილო გზებისა და ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტები. «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალია ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ. ამასთან, ზემოხსენებული მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ლიკვიდაციას დაქვემდებარებული დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე მათი გაუქმების უფლებამოსილება მიენიჭა მათ უფლებამონაცვლე სამინისტროებს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის 81 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად, განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ლიკვიდაცია, მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა სალიკვიდაციო კომისია, მე-14 პუნქტმა კი განსაზღვრა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს უფლებამონაცვლე – ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო. აღნიშნულ კანონში 2004 წლის 24 ივნისის 1195-რს კანონით განხორციელებული ცვლილების თანახმად, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციის გამო, მისი უფლებამოსილებანი გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ 2008 წლის 23 დეკემბრის 1848-II კანონის მე-2 მუხლის თანახმად, შეიქმნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელსაც მმართველობის სფეროში გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია. ხსენებული კანონი ამოქმედდა 2009 წლის 1 თებერვლიდან.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები, რომლის თანახმად, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის თანამდებობის პირის მინიმალური ხელფასი შეადგენდა 950 ლარს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმის შესახებ, რომ მ. ნ-შვილის სახელმწიფო კომპენსაცია კანონიერად განისაზღვრა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან, რაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 25 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით «ადმინისტრაციულ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით 135 ლარს შეადგენს და შესაბამისად, მოსარჩელეს დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია 135 ლარის 80% – 108 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა «საჯარო მოსამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებით განსაზღვრავდა სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის ზედა და ქვედა ზღვრებს საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი რანგების მიხედვით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა და ქვედა ზღვრების ფარგლებში შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელებს მიენიჭათ უფლებამოსილება განესაზღვრათ სამინისტროსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და თანამდებობათა დასახელება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანად მიიჩნია და განმარტა, რომ მ. ნ-შვილი განეკუთვნებოდა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტს, რომელსაც სახელმწიფო კომპენსაცია უნდა დანიშნებოდა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით, «საჯარო მოსამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, კერძოდ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო

დაწესებულების ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის თანამდებობის პირის მინიმალური ხელფასის – 950 ლარის 80%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 560 ლარისა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33.1 მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს განხორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედების განხორციელებისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივლისის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე მიუთითა მათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინება არ არის საკმარისად დასაბუთებული და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოებმა არ იმსჯელეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით განისაზღვრა მხოლოდ თანამდებობრივი სარგოები და სამტატო ნუსხა, ხოლო თანამდებობრივი სარგოს მინიმალური ზღვარი ხსენებული ბრძანებით არ დადგენილა. კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულების მიხედვით განისაზღვრა აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო 135 ლარის ოდენობით.

ამდენად, კასატორის განმარტებით, მის მიერ სწორად იქნა გაანგარიშებული «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაცია საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, რომლის გამგებლობაშიც შედიოდა სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტი, მინიმალური თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 950 ლარს, მ. ნ-შვილისათვის სახელმწიფო კომპენსაცია 950 ლარის 80%, ანუ 750 ლარი უნდა დაენიშნათ, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს სააგენტოს დაევალა კომპენსაციის თანხაში ცვლილების შეტანა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით არ განსაზღვრულა სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის მუშაკთა მინიმალურ თანამდებობრივ სარგოდ 950 ლარი, ამ ბრძანებით მხოლოდ განიმარტა სარგოები და სამტატო ნუსხა.

კასატორი უთითებს «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტზე და აღნიშნავს, რომ უკვე დანიშნული კომპენსაცია აღარ ექვემდებარება გადაანგარიშებას III, IV, V და VI თავების მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებლად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2010 წლის 23 მარტის 107/07-5191 წერილით მ. ნ-შვილს განემარტა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდე-

ნობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით «აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 135 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა გაანგარიშდებოდა 135 ლარიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მ. ნ-შვილი განეკუთვნება «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძვლებს. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეს, რომელიც დაფრინავდა სახელმწიფო კომპანიებში და დათხოვნილ იქნა 2005 წლის 1 იანვრამდე, კომპენსაცია ენიშნება 50 წლის ასაკის მიღწევისას, თუ აქვს (მამაკაცს) ავიაციაში მუშაობის თორმეტი წელი და ექვსი თვე და ნაფრენი არანაკლებ 6000 საათისა, ან ნაფრენი 6000 საათზე მეტი. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი ითვალისწინებს ხსენებული კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშების პირობებს, რომლის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს: ა) 100%-ის ოდენობით – ხომალდის მეთაურისათვის; ბ) 80%-ის ოდენობით – მეორე პილოტისათვის, შტურმანისათვის, ბორტმექანიკოს-ინჟინერისათვის, «ან-2»-ის მეთაურისათვის; გ) 70%-ის ოდენობით – ბორტგამცილებლისათვის, ბორტრადისტისათვის, ბორტაეროლოგისათვის, საჰაერო მოძრაობის მეთვალყურისათვის, აგრეთვე საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების პერსონალისათვის, რომელიც უშუალოდ ემსახურებოდა თვითმფრინავებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლით განსაზღვრული საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესი და პირობები დაკონკრეტებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 146/ნ ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის» 12 დანართის მე-7¹ მუხლით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 146/ნ ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის» 12 დანართის მე-7¹ მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებულ საქალაქო სასამართლოს განმარტებას, რომ მოცემულ შემთხვევაში, მ. ნ-შვილს «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაცია უნდა დანიშვნოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს მოქმედი სახელმწიფო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის წესს. აღნიშნული ნორმით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოების ზედა და ქვედა ზღვრების ფარგლებში შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელებს მიენიჭათ უფლებამოსილება განესაზღვრათ სამინისტროსა და სახელმწიფო საკვეუწყებო დაწესებულების მოქმედი მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და თანამდებობათა დასახელება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს «საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოსა» და «მოქმედი საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვარის» ცნებებს. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ კანონმდებელი ზოგ შემთხვევაში აღნიშნავს, რომ სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშება უნდა მოხდეს «საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს» ოდენობიდან, ხოლო ზოგ შემთხვევაში პირდაპირ აღნიშნავს, რომ კომპენსაციის გაანგარიშება მოხდეს «მოქმედი საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოდან». მაგალითად, «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15² მუხლში მითითებულია: «საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს (მოადგილეებს) კომპენსაციები ენიშნებათ 65 წლის ასაკის მიღწევისას ან არანაკლებ 25 წლის შრომის საერთო სტაჟის შემთხვევაში, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს – უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, მის მოადგილეს (მოადგილეებს) – არანაკლებ 5 წლით სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, შესაბამისად, საქართველოს კონტროლის პალატის მოქმედი თავმჯდომარისა და მისი მოადგილის (მოადგილეების) თანამდებობრივი სარგოების მესამედის ოდენობით». ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი პირდაპირ უთითებს, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და მისი მოადგილისათვის სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშება ხდება მოქმედი თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობრივი

სარგოების მიხედვით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას კანონმდებელი უთითებს საჯარო მოხელის მინიმალურ თანამდებობრივ სარგოზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოსა» და «მოქმედი საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვარის» ცნებები განსხვავებული ინსტიტუტებია და მათი სამართლებრივი რეგულირება სხვადასხვა აქტით ხდება. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა, რამდენად შესაძლებელი იყო «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მოქმედი საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვარიდან გაანგარიშება, როდესაც კანონმდებელი პირდაპირ უთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით «ადმინისტრაციულ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით, ადმინისტრაციულ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 135 ლარით.

საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის 112/ო ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის სამტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები, ხოლო საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგო ხსენებული ბრძანებით არ დადგენილა, აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა მოქმედი საჯარო მოსამსახურეების ხელფასები (სარგოთა განაკვეთები).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ზემოაღნიშნულ საკითხებზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს მიზანმიმართულად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. ამდენად, კანონის განმარტებისას, დადგენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი, რაც მხოლოდ გრამატიკული განმარტებით ვერ მიიღწევა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა. ამდენად, სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს «საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოსა» და «მოქმედი საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვარის» ცნებების გამიჯვნას.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ნორმის განმარტებისას სასამართლო არ გასცდეს კანონის ფარგლებს. სასამართლო განმარტავს სამართლის ნორმებს, მაგრამ არ ქმნის მათ. მართლმსაჯულება შეზღუდულია კანონით. აღნიშნული ძირითადი პრინციპი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლოს არ გააჩნია კანონმდებლობითი ფუნქცია, იგი ახდენს მხოლოდ ნორმის განმარტებას შესაბამისი კანონის ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით უარი ეთქვას მარტინო ნონიკაშვილის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ნ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიუღებელი სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის სხვაობის ანაზღაურება კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ ი თ**

18ს-1366-1330(კ-10) 31 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მიუღებელი სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 15 ივლისს დ. ბ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიანტია. 2008 წლიდან უნდა მომატებოდა სტიპენდია, რადგან გაიზარდა საჯარო მოხელის მინიმალური ხელფასი. აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. 2009 წლის იანვრიდან მოსარჩელემ მომატებული სტიპენდია მიიღო. მაგრამ მოსარჩელის განცხადებით მას არ მიუღია განსხვავება 2008 წლის აპრილიდან დეკემბრის ჩათვლით, რის თაობაზეც კვლავ მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს. სააგენტომ დ. ბ-შვილს აცნობა, რომ მას განსხვავება ეკუთვნოდა არა 2008 წლის აპრილიდან, არამედ 2009 წლის იანვრიდან.

მოსარჩელემ განმარტა, რომ სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური ხელფასის გარკვეული პროცენტით. საპენსიო კანონში მითითებულია, რომ პენსია, სტიპენდია და სოციალური სუბსიდის ნებისმიერი სახეობა მოქალაქეს ენიშნება განცხადებით მიმართვის დღიდან, მაგრამ მოსარჩელის განმარტებით, არსად არ იყო მითითებული, რომ სუბსიდის მომატების შემთხვევაში მოქალაქემ განმეორებით უნდა მიმართოს განცხადებით შესაბამის ორგანოს.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია სააგენტოს პოზიცია, როგორ უნდა მიმხვდარიყო იგი, რომ სტიპენდიამ მოიმატა და განცხადებით მიემართა აღნიშნულის თაობაზე. ამასთან, გაუგებარია სააგენტოს არგუმენტაცია თუ რატომ არ ეკუთვნოდა დ. ბ-შვილს 9 თვის განსხვავება.

მოსარჩელის განმარტებით მას სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია 69 ლარის ოდენობით დაენიშნა, ხოლო 2009 წლის იანვრიდან ლეზულობს – 81 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის 2008 წლის აპრილიდან 2009 წლის იანვრამდე სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობაში არსებული განსხვავების ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 სექტემბრის სხდომაზე დ. ბ-შვილმა დააზუსტა სარჩელი და საბოლოოდ, 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე მიუღებელი თანხის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით დ. ბ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2009 წლის 9 ივლისის '07/07-14573 წერილით, მოსარჩელემ დ. ბ-შვილს სტიპენდიის ხელახლა დანიშვნაზე უარი ეთქვა 2008 წლის იანვრიდან.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონით განისაზღვრება სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენ-

დიის დანიშნვის საფუძვლები, მათი ოდენობის გადაანგარიშების, შეჩერების და შეწყვეტის წესი და პირობები. ამავე კანონის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად, ხოლო მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია აღნიშნული უფლების წარმოშობიდან ნებისმიერ დროს მიმართოს განცხადებით აკადემიური სტიპენდიის დანიშვნაზე შესაბამის ორგანოს. კომპეტენტური ორგანოს მიერ განცხადებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია ინიშნება განცხადების წარდგენის დღიდან, გარდა კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 146/ნ ბრძანებით, რომლის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის და გაცემის წესების თანახმად, კომპენსაციას და სტიპენდიას შესაბამისი ორგანო ნიშნავს განცხადების საფუძველზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ საჯარო მოსამსახურის მინიმალური ხელფასის ზრდასთან ერთად მოპასუხეს ვალდებულება ეკისრება ავტომატურად განახორციელოს მისთვის დანიშნული აკადემიური სტიპენდიის გადაანგარიშება. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლი ითვალისწინებს კომპენსაციის, სტიპენდიის გადაანგარიშებას ავტომატურ რეჟიმში მხოლოდ «საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ» საქართველოს ორგანული კანონით და «საქართველოს საკუნსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს კანონით საკომპენსაციო თანხების მაქსიმალური ოდენობის გადაანგარიშებისას.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, საჯარო მოსამსახურის მინიმალური ხელფასის ზრდასთან ერთად «სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონი ავტომატურ რეჟიმში კომპენსაციის, სტიპენდიის გადაანგარიშებას არ ითვალისწინებს. კომპენსაციის/ აკადემიური სტიპენდიის მიღები უფლებამოსილია საჯარო მოსამსახურის მინიმალური ხელფასის ზრდის გათვალისწინებით წარადგინოს განცხადება შესაბამის ორგანოში სტიპენდიის დანიშვნის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ბ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის განჩინებით დ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე მითითებით სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები, აგრეთვე დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ ვერ იქნა გაზაბათილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები. შესაბამისად, სასამართლომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ბ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებულ განჩინებაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის მოტივად მოყვანილია «სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლი, რომელსაც არავითარი კავშირი აქვს განსახილველ საქმესთან.

საკასაციო საჩივარში კასატორი აღნიშნავს, რომ საქალაქო სასამართლოს სხდომაზე (სხდომის ოქმი თან ერთვის საკასაციო საჩივარს) მოსამართლის შეკითხვაზე, თუ როგორ ხდება პენსიების და სტიპენდიების გადაანგარიშება, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა არასწორი პასუხი გასცა, რომ ისინი არ ახდენენ გადაანგარიშებას, რაც უკრიტიკოდ გაიზიარეს ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა.

კასატორი მიუთითებს «სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტზე, რომელიც კასატორის განმარტებით გასაგებად და არაორაზროვნად ავალებს კომპეტენტურ ორგანოს – სადავო შემთხვევაში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, კომპენსაციის/აკადემიური სტიპენდიის გადაანგარიშებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული დ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით დ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2011 წლის 24 თებერვალს, 12.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შემოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ დ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: დ. ბ-შვილს სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია დაენიშნა 2006 წლის 20 ნოემბრიდან, როგორც მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირს, საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს – 115 ლარის 60% – თვეში 69 ლარის ოდენობით. 2009 წლის 6 იანვარს დ. ბ-შვილმა განცხადებით მიმართა მოპასუხეს საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს გაზრდილი ოდენობის გათვალისწინებით მისთვის დანიშნული აკადემიური სტიპენდიის ხელახალი დანიშვნის თაობაზე. განცხადების საფუძველზე დ. ბ-შვილს 2009 წლის 1 თებერვლიდან დაენიშნა აკადემიური სტიპენდია 81 ლარის ოდენობით. 2009 წლის 1 თებერვლიდან, კასატორი იღებს სტიპენდიას გაზრდილი ოდენობით, თუმცა სხვაობა ძველ და ახალ სტიპენდიებს შორის, 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე, არ მიუღია, რის თაობაზეც 2009 წლის 29 ივნისის 117/27733 განცხადებით თავდაპირველად სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა, რომლის პასუხად მოსარჩელე დ. ბ-შვილს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2009 წლის 9 ივლისის 107/07-14573 წერილით, უარი ეთქვა სტიპენდიის ხელახლა დანიშვნაზე, 2008 წლის იანვრიდან; ხოლო სტიპენდიის სხვაობის ანაზღაურებაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარის შემდეგ დ. ბ-შვილმა მიმართა სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო სამართალურთიერთობა რეგულირდება «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონით, რომლის მე-3 მუხლის თანახმად, კანონის ძირითადი პრინციპებია სამართლიანობა, კანონის წინაშე თანასწორობა, მუდმივობა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების სახელმწიფო გარანტია. ხოლო, დ. ბ-შვილი განეკუთვნება აღნიშნული კანონის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიმღებ სუბიექტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გაკლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, აგრეთვე, მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტზე და აღნიშნავს, რომ დ. ბ-შვილისათვის, როგორც მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მქონე პირისათვის, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 60%-ის ოდენობით.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულებით «ადმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით, ადმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 135 ლარით, ხოლო აღნიშნული ბრძანებულება ძალაში შევიდა 2008 წლის 1 იანვრიდან.

ამდენად, თუ განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებამდე სტიპენდიის დაანგარიშება 115 ლარიდან ხდებოდა, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილების შედეგად, სტიპენდიის ოდენობის განსაზღვრა 135 ლარიდან ხდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის საგანს სწორედ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დ. ბ-შვილისათვის სტიპენდიის სხვაობის ანაზღაურება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტის მიზნით არსებითი მნიშვნელობა აქვს კანონის სწორ განმარტებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს მიზანმიმართულად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. ამდენად, კანონის განმარტებისას, დადგენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით.

ამდენად, კანონმდებლის ნებისა და მისი მიზნის სწორი განმარტების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს მომატება ავტომატურ რეჟიმში ახდენს თუ არა გავლენას სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობის ცვლილებაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოებისა და მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით, რომ დ. ბ-შვილისათვის მოთხოვნილი სტიპენდიის სხვაობის ანაზღაურება დამოკიდებული იყო მის მიერ განცხადების წარდგენაზე და აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა განცხადების წარდგენის ვალდებულებას სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნასთან დაკავშირებით ითვალისწინებს, სადავო შემთხვევაში კი დ. ბ-შვილის მოთხოვნას სტიპენდიის დანიშვნა არ წარმოადგენს, ვინაიდან მას სტიპენდია უკვე დანიშნული ჰქონდა.

«სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» კანონის მე-4 მუხლით განისაზღვრა მოცემულ კანონში გამოყენებულ ტერმინთა მნიშვნელობა, რომლის თანახმად განცხადება განიმარტა შემდეგნაირად: კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით შეტანილი წერილობითი მოთხოვნა. ამ ნორმასთან მიმართებაში სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს პირთა ვალდებულებას საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს ცვლილებისას სტიპენდიის ოდენობის განსაზღვრაზე განცხადების შეტანას, არამედ ასეთი ვალდებულება ეკისრებათ სტიპენდიის დანიშვნისას და შეწყვეტისას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართებულია კასატორის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» კანონი არ ითვალისწინებს აღნიშნულის თაობაზე პირის განცხადებით მიმართვის ვალდებულებას, რომ ამ უკანასკნელის წარდგენის აუცილებლობა დადგენილია, მხოლოდ სტიპენდიის დანიშვნის და შეწყვეტის შემთხვევაში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო შემთხვევაში საქმე არ ეხება სტიპენდიის გადაანგარიშებას. გადაანგარიშება ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას გულისხმობს, ხოლო განსახილველი შემთხვევა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას არ უკავშირდება, შესაბამისად, არ არსებობს სტიპენდიის გადაანგარიშების საფუძველი, ვინაიდან დ. ბ-შვილისათვის სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, კერძოდ, მისი პროცენტული ოდენობა საჯარო მოხელის მინიმალურ თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებაში არ შეცვლილა. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებამდე და განხორციელებული ცვლილებების შემდეგაც მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მქონე პირისათვის სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 60%-ით განისაზღვრება. ცვლილება შეეხო მხოლოდ საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს ოდენობას, რომელიც 115 ლარიდან – 135 ლარამდე გაიზარდა. გადაანგარიშების საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგებოდა, თუ შეიცვლებოდა პროცენტული მაჩვენებელი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დ. ბ-შვილისათვის სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობის განსაზღვრის საფუძველს საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგო წარმოადგენს, რომელიც შესაბამისი ნორმატიული აქტით რეგულირდება. საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგო ძირითადად, რომელზეც ავტომატურადაა მიბმული სტიპენდია. შესაბამისად, საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს ცვლილებას კასატორისათვის დანიშნული სტიპენდიის ავტომატურ რეჟიმში გაზრდა უნდა გამოეწვიოს.

ამდენად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ბ-შვილს დანიშნული ჰქონდა სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტით, როგორც მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მქონე პირს, საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 60%-ის ოდენობით. სასამართლოს მოსაზრებით მოსარჩელეს არ შეცვლია ფაქტობრივად გარემოება დანიშნული სტიპენდიის მიღებისას. შესაბამისად, მისი მხრიდან გაზრდილი ოდენობით კომპენსაციის მიღებისას საჭირო არ იყო განცხადების წარდგენა. პრეზიდენტის ბრძანებულებით გაიზარდა რა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგო, მისი 60%-ის მიცემის ვალდებულება ავტომატურად წარმოეშვა მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგოს ცვლილება აისახება სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც იმას გულისხმობს, რომ ბიუჯეტში ირიცხება შესაბამისი ოდენობის თანხა დანიშნული სტიპენდიების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება აღნიშნული კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ამასთან მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 1661 ბრძანებულების გათვალისწინებით ავტომატურად მოეხდინა დ. ბ-შვილისათვის დანიშნული სტიპენდიის ოდენობის ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით დაკმაყოფილდეს დ. ბ-შვილის დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. ბ-შვილის დაზუსტებული სარჩელი დაკმაყოფილდეს; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალოს აუნაზღაუროს დ. ბ-შვილს 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე მიუღებელი სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია – 144 ლარის ოდენობით.
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მშობიარობის გამო შვებულებისას ფულადი დახმარების გაცემის წესი

განჩინება

18ს-190-187 (კ-11)

13 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: მშობიარობის გამო დახმარების გაცემის დავალა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. პ-მა 19.08.10 წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, რომლითაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალა მოითხოვა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2008 წლის 19 ივლისიდან მუშაობს შპს «...» ... თანამდებობაზე. 11.12.09 წ. შეემინა შვილი, რის გამოც 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2010 წლის 16 აპრილამდე იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში. სამუშაოზე დაბრუნების შემდეგ შპს «...» წარადგინა საავადმყოფო ფურცელი მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნით. დამსაქმებლის მიერ აღნიშნულ თანხაზე გაგზავნილი მოთხოვნა 18.05.10 წ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რუსთავის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელემ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 21.07.10 წ. გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით რომ გ. პ-ის მიერ საავადმყოფო ფურცელი დამსაქმებელთან წარდგენილი არ ყოფილა ფაქტიური შრომისუვნარობის პერიოდში. მოსარჩელე თვლის, რომ უარი ლახავს მის უფლებას მიიღოს მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო საშვებულებო ანაზღაურება და აყენებს ზიანს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 21.07.10წ. 101/09-14402 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გ. პ-ის და შპს «...» ადმინისტრაციული საჩივრები შეტანილი სააგენტოს რუსთავის სოციალური მომსახურების ცენტრის 18.05.10 წ. აქტზე, რომლითაც გ. პ-ს უარი ეთქვა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო დახმარების ანაზღაურებაზე. ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად სააგენტომ მიუთითა, რომ საკეისრო კვეთას ადგილი ჰქონდა 11.12.09წ., ხოლო საავადმყოფო ფურცელი 01.03.10წ. გაიცა, 2009 წლის 11 დეკემბრიდან 2010 წლის 16 აპრილამდე პერიოდზე, რაც ადასტურებს გ. პ-ისათვის დოკუმენტური საფუძვლის გარეშე დეკრეტული შვებულების გაფორმებას შპს «...» დირექტორის 01.12.09წ. 118 ბრძანებით. სააგენტომ მიიჩნია, რომ 01.12.09წ. 118 ბრძანება რეალურად გამოცემულია საავადმყოფო ფურცელის წარდგენის შემდეგ, 01.12.09წ. მდგომარეობით დამსაქმებელს არ გააჩნდა გ. პ-ისათვის შრომითი ურთიერთობის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შეჩერების სათანადო დოკუმენტაციის საფუძველი. სააგენტომ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საავადმყოფო ფურცლის გასული პერიოდისათვის გაცემას ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო. გ. პ-ის საჩივარში დასმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ არ დარღვეულა საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან მისი წარმოდგენის კანონმდებლობით განსაზღვრული ექსთენიანი ვადა არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან იგივე ლოგიკით შესაძლებელი იყო საავადმყოფო ფურცლის მოთხოვნა გაცილებით გვიან, მაგ. ერთი წლის შემდეგ და მისი წარმოდგენა ექვსი თვის გასვლამდე. სააგენტომ მიუთითა, რომ დროებითი შრომისუვნარობის გამო საავადმყოფო ფურცლის გაფორმების წესისაგან ერთადერთი განსხვავება ორსულობისა და მშობიარობის დროს საავადმყოფო ფურცლის გაფორმების შემთხვევაში არის ის, რომ ასეთ დროს საავადმყოფო ფურცლის გაცემა ხდება ერთდრულად კანონით დადგენილი ხანგრძლივობით. საავადმყოფო ფურცლის გაფორმების სხვა პირობები იგივეა, შესაბამისად საავადმყოფო ფურცელი მოცემულ შემთხვევაში უნდა გაცემულიყო მშობიარობის დღიდან და არა მოგვიანებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.09.10 წ. გადაწყვეტილებით გ. პ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლომ საქმის განხილვისას დაადგინა, რომ შპს «...» 21.09.10 წ. გაცემული ცნობის მიხედვით 2009 წლის 01 დეკემბრიდან 2010 წლის 1 აპრილამდე გ. პ-ს დამსაქმებლისგან ხელფასი არ ანაზღაურებია, მასზე გაიცა დეკრეტული შვებულების თანხა – 600 ლარი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სოციალური მომსახურების სააგენტოს ფუნქცია, დასაქმებულს აუნაზღაუროს ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო დახმარება 600 ლარის ოდენობით განხორციელებულია დამსაქმებლის – შპს «...» მიერ, რაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 25.09.07წ. 1281/ნ და 25.08.06წ. 1231/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ნორმატიული აქტებით არ იკრძალება. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან დასაქმებულს – მოსარჩელე გ. პ-ს დამსაქმებლის – შპს «...» მიერ ანაზღაურებული ჰქონდა ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო დახმარება 600 ლარის ოდენობით, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო უსაფუძვლოდ გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.09.10 წ. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა გ. პ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.12.10 წ. განჩინებით გ. პ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.09.10 წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ როგორც ფაქტობრივ გარემოებებს ასევე სამართლებრივ შეფასებებს და მათზე მითითებით დამატებით აღნიშნა, რომ შრომის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო 477 კალენდარული დღის ოდენობით. იმავე კოდექსის 29-ე მუხლის მიხედვით, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებითი ანაზღაურების შესახებ. აღნიშნული ნორმა არ შეიძლება გავრცელდეს იმ შემთხვევაზე, როდესაც დასაქმებულს დამსაქმებლის მიერ უკვე ანაზღაურებული აქვს დროებითი შრომისუნარობის თანხა. ამასთან, არც შრომის კოდექსი და არც სხვა ნორმატიული აქტები არ ითვალისწინებენ დასაქმებულის უფლებას ერთდროულად დამსაქმებლისაგან და სახელმწიფო ბიუჯეტისაგან მოითხოვოს და მიიღოს დახმარება დროებითი შრომისუნარობის გამო.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან გ. პ-ს დამსაქმებლის შპს «...» მიერ უკვე ანაზღაურებული აქვს დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო, ამიტომ მას აღარ აქვს უფლება იგივე სახის დახმარება მოითხოვოს სახელმწიფო ბიუჯეტისაგანაც, მითუმეტეს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 20.02.09წ. 187/ნ ბრძანებით დამტკიცებული «დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის» მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარების დანიშვნას, გაანგარიშებას და გაცემას ახდენს დასაქმებულის შემთხვევაში შესაბამისი დამსაქმებელი, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს, რომელიც არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, ასეთი მოთხოვნის უფლება ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია. მართალია, შრომის კოდექსის 29-ე მუხლით დადგენილია, რომ შვებულება ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მაგრამ ეს ნორმა არ ვრცელდება შემთხვევაზე, როდესაც დასაქმებულს დამსაქმებლის მიერ უკვე ანაზღაურებული აქვს დროებითი შრომისუნარობის თანხა. არც შრომის კოდექსი და არც სხვა ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს დასაქმებულის უფლებას ერთდროულად მოითხოვოს და მიიღოს დახმარება დამსაქმებლისაგან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.12.10 წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. პ-მა, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ შრომის კოდექსის 29-ე მუხლით დადგენილია ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურება სახელმწიფო ბიუჯეტიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც არ გამორიცხავს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დამატებით ანაზღაურებაზე შეთანხმებას. კასატორი ასევე არ ეთანხმება სასამართლოს მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტისას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 20.02.09 წ. 187/ნ ბრძანებაზე მითითებას, აღნიშნული ბრძანება არეგულირებს საჯარო მოსამსახურეებისთვის დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარების დანიშვნის, გაანგარიშებისა და გაცემის საკითხებს, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესს ადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 25.08.06წ. 1231/ნ ბრძანება, რომელიც საჯარო მოხელეებისათვის და დასაქმებულებისათვის დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესს სხვადასხვაგვარად არ აწესრიგებს. აღნიშნული ნორმატიული აქტებიდან ასევე არ გამომდინარეობს სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ გ. პ-ს არ გააჩნდა უფლება დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარება მიეღო როგორც დამსაქმებლისგან, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.04.11 წ. განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი გ. პ-ის საკასაციო საჩივარი და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარის – სააგენტოს წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო – 477 კალენდარული დღის ოდენობით, აქედან ანაზღაურებადია 126 კალენდარული დღე, დასაქმებულს თავისი შეხედულებით შეუძლია შვებულება გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. პ-ს 11.12.09 წ. შეეძინა შვილი – ნ. კ-ე. სს «...» მიერ 01.03.10 წ. გაცემული საავადმყოფო ფურცლის მიხედვით ორსულობა/მშობიარობის გამო გ. პ-ის შრომისუნარობის პერიოდი განისაზღვრა 2009 წლის 11 დეკემბრიდან 2010 წლის 15 აპრილის ჩათვლით. შპს «...» 01.12.09 წ. 118 ბრძანების თანახმად, გ. პ-ი იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2010 წლის 16 აპრილამდე. შპს «...» მიერ 02.06.10 წ. გაცემული ცნობის თანახმად, გ. პ-ი მუშაობს აღნიშნულ შპს-ში და მისი ხელზე ასაღები ხელფასი შეადგენს თვეში 300 ლარს. ამავე შპს-ს

21.09.10 წ. ცნობის თანახმად, გ. პ-ი 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2010 წლის 1 აპრილამდე იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში და არ მიუღია ხელფასი, მასზე გაიცა დეკრეტული შვებულების 600 ლარი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **25.08.06**წ. **1231/5** ბრძანებით დამტკიცებული „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის» მე-6 მუხლის თანახმად დახმარების გაცემის საფუძველს წარმოადგენს დასაქმებულზე/მოსამსახურეზე შევსებული საავადმყოფო ფურცელი. ის გარემოება, რომ საავადმყოფო ფურცელი გაიცა არა შრომისუუნარობის დაწყებიდან არამედ მოგვიანებით, არ გამოირიცხავს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ვინაიდან კანონმდებლობა ითვალისწინებს საავადმყოფო ფურცლის გაცემის შესაძლებლობას მშობიარობის შემდეგაც, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **25.09.07** წ. **1281/5** ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარებისა და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის» მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ მშობიარობის მომენტისათვის არ არის გახსნილი საავადმყოფო ფურცელი, მას გასცემს ის სამედიცინო დაწესებულება, სადაც მოხდა მშობიარობა ერთდროულად **126** კალენდარული დღით. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ სს «...» მიერ გ. პ-ზე საავადმყოფო ფურცელი გაცემულ იქნა შრომისუუნარობის დასრულებამდე, (**01.03.10**წ.), რომლითაც ერთჯერადად განისაზღვრა პერიოდი 2009 წლის 11 დეკემბრიდან 2010 წლის 15 აპრილის ჩათვლით, **126** დღე. ამდენად, საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის დარღვევას განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **25.08.06**წ. **1231/5** ბრძანებით დამტკიცებული წესის **10.7** მუხლის შესაბამისად მშობიარობის გამო შვებულება არ ანაზღაურდება, თუ საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან გასულია **6** თვე. ვინაიდან სხვა სახის შრომისუუნარობისას საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესისაგან განსხვავებით, ორსულობა, მშობიარობის გამო საავადმყოფო ფურცლის გაცემის შემთხვევაში იმთავითვე განისაზღვრება მისი გახსნისა და დახურვის თარიღი, საფუძველს მოკლებულია მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ შრომისუუნარობის დაწყების შემდეგ საავადმყოფო ფურცლის გახსნის შემთხვევაში გ. პ-ს შეეძლო ნებისმიერ დროს, თუნდაც ერთი წლის დაგვიანებით მიეღო საავადმყოფო ფურცელი და წარედგინა იგი დახმარების მისაღებად საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან **6** თვიან ვადაში. საავადმყოფო ფურცლის გახსნისა და დახურვის თარიღი, ასახავს პირის რეალური შრომისუუნარობის პერიოდს, ფურცელი გაცემულია შრომისუუნარობის პერიოდში და თუნდაც მოგვიანებით საავადმყოფო ფურცლის მიღება არ იწვევს აღნიშნული თარიღების შეცვლას. ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების მოთხოვნის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **25.08.06**წ. **1231/5** ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ **6**-თვიანი ვადა აითვლება საავადმყოფო ფურცლის დახურვის დღიდან, რომელიც არ იცვლება საავადმყოფო ფურცლის მშობიარობის შემდეგ გაცემის გამო. დახმარების გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ გამოირიცხავს ის გარემოება, რომ დამსაქმებლის მიერ გ. პ-ის დეკრეტული შვებულების თაობაზე ბრძანება შესაძლოა გაფორმებული იყოს მოგვიანებით, ბრძანების დოკუმენტური საფუძვლის (საავადმყოფო ფურცლის) მოგვიანებით გაცემის გამო, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. პ-ს აღნიშნულ პერიოდში კუთვნილი სახელფასო დავალიანება არ მიუღია, დამსაქმებლის შპს „...» დირექტორის **01.12.09**წ. **118** ბრძანება გ. პ-ის დეკრეტულ შვებულებაში 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2010 წლის 16 აპრილამდე გაშვების შესახებ ძალაშია და არ გაუქმებულა, მოსარჩელის დეკრეტულ შვებულებაში ყოფნა სადავოდ არ გამხდარა, ამასთანავე დეკრეტული შვებულების შესახებ დამსაქმებლის ბრძანება მინისტრის **25.08.06**წ. **1231/5** ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6, მე-10 მუხლების თანახმად არ წარმოადგენს დამსაქმებლის მიერ სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში დახმარების მიღებისათვის საჭირო წარსადგენ დოკუმენტს.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გ. პ-ს, როგორც დასაქმებულს არ გააჩნდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან შრომისუუნარობის გამო დახმარების მიღების უფლება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **25.08.06**წ. **1231/5** ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დახმარება არის შრომის კოდექსით განსაზღვრული ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარება. სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი შრომის კოდექსის **29-ე** და ამჟამად მოქმედი საქართველოს ორგანული კანონის «საქართველოს შრომის კოდექსის» **29-ე** მუხლის თანახმად ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული არ გამოირიცხავს დამსაქმებლის უფლებას გასცეს მუშაკზე დამატებითი ანაზღაურება, კოდექსის **29-ე** მუხლის თანახმად დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებითი ანაზღაურების შესახებ. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **20.02.09**წ. **187/5** ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის» **2.2** პუნქტზე, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან შვებულების ანაზღაურების გამომრიცხავ პირობაზე, ხსენებული წესი ეხება დასაქმებულთათვის და საჯარო მოსამსახურეთათვის დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნის, გაანგარიშების და გაცემის საკითხებს, ხოლო მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო დახმარებისა და კომპენსაციის დანიშვნის, გაანგარიშებისა და გაცემის საკითხებს არეგულირებს მინისტრის **25.08.06**წ. **1231/5** ბრძანებით დამტკიცებული წესი, რომლის მე-5 მუხლის თანახმად, დახმარება გაიცემა სააგენტოს მიერ, მაგრამ არაუმეტეს **600** ლარისა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი და მისი გაცემის ვალდებულება გააჩნია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, მიუხედავად იმისა, დამსაქმებელი და დასაქმებული შეთანხმდე-

ბიან თუ არა სხვა დამატებით ანაზღაურებაზე. შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ მშობიარობასთან დაკავშირებით თანხის გაცემა არ გამოორიცხავს მუშაკის უფლებას მოითხოვოს მშობიარობის გამო კანონმდებლობით გათვალისწინებული დახმარების თანხა.

საქართველოს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 27.07.07წ. 1190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების 2.2 მუხლის «ლ» ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულები შექმნილია სააგენტოს მიზნების და ამოცანების მისაღწევად, მე-5 მუხლის მიხედვით სააგენტო დაკისრებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სადავო 21.07.10 წ. 101/09-14402 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გ. პ-ის და შპს „...“ დირექტორის ადმინისტრაციული საჩივრები. უცვლელად დარჩა სააგენტოს რუსთავის სოციალური მომსახურების ცენტრის 18.05.10წ. 105/818 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც საქმის მასალებში არ მოპოვება. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დახმარების გაცემის უზრუნველსაყოფად დამსაქმებელი ვალდებულია სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში წარადგინოს დოკუმენტაცია. ამდენად, განხილულ უნდა იქნეს სააგენტოს რუსთავის სამსახურის და შპს „...“, როგორც სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეების სასკ-ის მე-16 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩაბმის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს სსკ-ის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, კერძოდ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, სააპელაციო პალატას საერთოდ არ უმსჯელია სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 21.07.10წ. გადაწყვეტილებაში მოყვანილ არგუმენტაციაზე, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად სააპელაციო სასამართლოს საკასაციო წესით გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველია. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. პ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. პ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.12.10წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება

ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების პირობები

განჩინება

18ს-1028-986 (2კ-კს-09)

11 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ბ-მემ 2008 წლის 1 აპრილს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხეს დავალებოდა სამუშაოდან დათხოვნისას მიუღებელი თანხების ანაზღაურება, კერძოდ, ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების – 7 440 ლარის, 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების – 3500 ლარის, 2005 წლის კადრების განკარგულებაში და კუთვნილ შვებულებაში ყოფნის პერიოდში დაკლებული თანხის – 1727,5 ლარის, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მივლინების თანხის – 5390 ევროსა და ფორმის ტანსაცმლის კომპენსაციის – 1010 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქმის განხილვისას, მოსარჩელემ დააზუსტა სარჩელის მოთხოვნა და მოთხოვნა მოპასუხისათვის ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების (თანამდებობრივი სარგოსა და წოდებრივი სარგოს თორმეტმაგი ოდენობის) – 4320 ლარის, 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების – 3769 ლარის, 2005 წლის კადრების განკარგულებაში და კუთვნილ შვებულებაში ყოფნის პერიოდში დაკლებული თანხის – 1727,5 ლარის, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მივლინების თანხის – 5390 ევროსა და ფორმის ტანსაცმლის კომპენსაციის – 1010 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის – თ. ბ-ძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა თ. ბ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების, თანხით – 4320 ლარის ოდენობით, ასევე სახელფასო დავალიანების – 2007,18 ლარის ანაზღაურება; მოსარჩელე თ. ბ-ძეს უარი ეთქვა 2005 წლის კადრების განკარგულებაში და კუთვნილ შვებულებაში ყოფნის პერიოდში დაკლებული თანხის მიკუთვნების ნაწილში უსაფუძვლოდ გამო; ასევე – კვების, ფორმის ტანსაცმლის კომპენსაციისა და სამივლინებო თანხის მიკუთვნების ნაწილში უარი ეთქვა ხანდაზმულობის გამო.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 33¹ პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურები წლების) მიხედვით (მათ შორის, ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები წლების ჩათვლით), ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით (2007 წლის 21 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია). «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 61¹ პუნქტის საფუძველზე შეჩერებულ იქნა ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების მიღების უფლების რეალიზაცია 2006 წლის 1 იანვრამდე, მაგრამ არ გაუქმებულა ხსენებული ბრძანებულებით განსაზღვრული და დადგენილი ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემის პირობა და წესი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების თანხის დაკისრების შესახებ იყო საფუძვლიანი. შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე თ. ბ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურება ფულადი სარგოს ხუთმაგი ოდენობით – 4320 ლარი. სასამართლომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლზე მითითებით ასევე საფუძვლიანად მიიჩნია სარჩელის მოთხოვნა მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის თ. ბ-ძის სასარგებლოდ 2007,18 ლარის დაკისრების ნაწილში.

მოსარჩელის – თ. ბ-ძის მოთხოვნას 2005 წლის კადრების განკარგულებაში და კუთვნილ შვებულებაში ყოფნის პერიოდში დაკლებული თანხის დაკმაყოფილების ნაწილში უარი ეთქვა უსაფუძვლოდ გამო, რამდენადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თ. ბ-ძის მიერ არ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რითაც დადასტურებული იქნებოდა აღნიშნული დავალიანების არსებობა. თ. ბ-ძის მოთხოვნა სამივლინებო თანხის – 5390 ევროს დაკისრების თაობაზე, ასევე კვებისა და ფორმის ტანსაცმლის კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე სასამართლომ მიიჩნია ხანდაზმულად და უარი უთხრა მის დაკმაყოფილებაზე და მიუთითა, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე და მესამე პუნქტიდან გამომდინარე დანამატის სტატუსი არ აქვს მინიჭებული; კვების და ტანსაცმლის კომპენსაცია, არ წარმოადგენს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.1 მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატებს და ისინი ხელფასისაგან დამოუკიდებელ ფულად გასაცემელს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულზე ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 129-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოთხოვნა იყო ხანდაზმული. ამავე საფუძველზე უარი ეთქვა თ. ბ-ძის სასარჩელო მოთხოვნას სამივლინებო თანხის მოპასუხეზე დაკისრების თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და თ. ბ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თ. ბ-ძის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა თ. ბ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ფულადი სარგოს თორმეტმაგი ოდენობისა (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და 1998-2000 წლების დარიცხული სახელფასო დავალიანების – 2943,18 ლარის ანაზღაურება; თ. ბ-ძის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარში გამოთქმული მოსაზრება სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით და ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტისას მართებულად გამოიყენა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოთხოვნა იყო ხანდაზმული.

ნონის 37.1 და 38.1 მუხლები, რომელთა თანახმად, მოხელეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან, სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომლის გასტუმრებაზეც პასუხისმგებელია ის დაწესებულება, სადაც იგი მუშაობდა, ანუ, ამ შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.4 მუხლის თანახმად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი. ამ კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესის სამსახურიდან განთავისუფლებისას) დანაწესის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე დაწესებული კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა განხორციელდება დაცულ მუხლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული ნორმით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეებზე წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება, მაგრამ სპეციალური დათქმის მიხედვით იგი არ მოიცავს საჯარო მოსამსახურისათვის განსაზღვრული კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულებასაც. «საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის 21.1 მუხლის თანახმად, წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს 2009 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ასიგნებები. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37.1 მუხლის (1997 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედებული რედაქცია) მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), ხოლო ამ მუხლის პირველ პუნქტში 1998 წლის 20 თებერვალს ¹248-II საქართველოს კანონით შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების მიხედვით, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს. ამავე კანონში 2005 წლის 23 დეკემბერს ¹2470-რს კანონით შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების შედეგად 37.1 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. სააპელაციო პალატის მოსაზრებით სამხედრო მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) არ მოიცავს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით სამხედრო მოსამსახურეთათვის კანონმდებლობით დადგენილი ნორმით გათვალისწინებული სასურსათო ულუფისა (კვებისა) და ფორმის ტანსაცმლის შესაბამის ფულად კომპენსაციას. სასურსათო ულუფისა და ფორმის ტანსაცმლის შესაბამისი ფულადი კომპენსაცია არ წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) შემადგენელ კომპონენტს, წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები ფულადი კომპენსაციის სახეებს და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134¹ მუხლი ამ სახის კომპენსაციებზე არ ვრცელდება. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ფაქტისა და სარჩელის აღიარება არ წარმოადგენს იდენტურ ცნებას. ფაქტის აღიარება არის მტკიცებულება, ხოლო სარჩელის აღიარება არის დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე განკარგვითი აქტი. ფაქტის აღიარება, თავის მხრივ, არ წარმოადგენს სარჩელის აღიარებას. ამრიგად, განსახილველი დავის შემთხვევაში არ არსებობს სადავო ვალდებულების ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის და მისი დინების ხელახლა დაწყების საფუძველი. პალატამ არ გაიზიარა აპელანტ თ. ბ-მის მოსაზრება, რომ მის მიმართ არასწორად არ იქნა გათვალისწინებული დანამატის კატეგორია, რადგან «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის ¹493 ბრძანებულების 33-ე და 33¹ პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრა ერთჯერადი დახმარების სახით ფულადი სარგოს წელთა ნამსახურობის მიხედვით გაცემის წესი. ამავე ბრძანებულების მე-9 პუნქტით დადგინდა სამხედრო მოსამსახურისათვის ფულადი სარგოების ¹1 დანართის შესაბამისად, დაწესების პირობები და ამავე პუნქტით განისაზღვრა ფულადი სარგოს შემადგენლობა, რომელმაც მოიცვა თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოები. მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 15 იანვრის ¹17 და 2005 წლის 24 იანვრის ¹47 ბრძანებულებებით განხორციელებული ცვლილებებისა, ბრძანებულების მე-9 პუნქტი დარჩა უცვლელად, რომლითაც ფულადი სარგო წარმოადგენილია მხოლოდ ორი კომპონენტით – თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოთი. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის ¹493 ბრძანებულებით დამტკიცებულ ¹1 დანართში საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 15 იანვრის ¹17 და 2005 წლის 24 იანვრის ¹47 ბრძანებულებით განხორციელებული ცვლილებებით ფულადი სარგოების ნუსხას დაემატა მე-3 კომპონენტი – სამხედრო მოსამსახურეთა დანამატების კატეგორიები, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის ¹47 ბრძანებულების შენიშვნის მე-5 პუნქტით სამხედრო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოსა და დანამატების კატეგორიების განსაზღვრის უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს თავდაცვის მინისტრს. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ თ. ბ-მისათვის განსაზღვრული დანამატის დანიშვნის შესახებ დოკუმენტი მხარეთა მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი «საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით».

საპედაგოგო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» 33¹ პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურების წლების მიხედვით ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგებების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით, ხოლო ამ ბრძანებულების 33-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით 20 წელი და მეტი ნამსახურობის წლებისათვის გაიცემა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოს თორმეტმაგი ოდენობით. 2004 წლის 31 დეკემბრის 1640 კანონით ამ ბრძანებულებაში დამატებული 61¹ პუნქტის მიხედვით ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება შეჩერებულ იქნა 2006 წლის 1 იანვრამდე.

საპედაგოგო პალატამ უსაფუძვლოდ გამო არ გაიზიარა აპელანტის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსახრება აღნიშნულზე და ჩათვალა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 61¹ პუნქტის საფუძველზე შეჩერებულ იქნა ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების მიღების უფლების რეალიზაცია 2006 წლის 1 იანვრამდე, მაგრამ არ გაუქმებულა ამ ბრძანებულებით განსაზღვრული სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის – ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემის პირობა და წესი. საპედაგოგო პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ – თ. ბ-მემ სამხედრო სამსახურში იმსახურა 25 წელზე მეტი და მისი თანამდებობრივი სარგო შედგენდა 300 ლარს, ხოლო წოდებრივი – 60 ლარს. შესაბამისად, მოსარჩელეს – თ. ბ-მეს უნდა ანაზღაურებოდა კუთვნილი ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ნამსახურების წლების (20 წელზე მეტი) მიხედვით თორმეტმაგი ოდენობა (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოები) და არა ხუთმაგი ოდენობა, როგორც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში იყო მითითებული.

საპედაგოგო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება იმის თაობაზე, რომ თ. ბ-მის მოთხოვნა სამივლინებო თანხის – 5 390 ევროს დაკისრების, ასევე კვებისა და ფორმის ტანსაცმლის კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე არის ხანდაზმული და უარი უნდა ეთქვას მის დაკმაყოფილებაზე, რადგან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე და მესამე პუნქტის შესაბამისად, «დანამატის სტატუსი არ აქვს მინიჭებული» და არ წარმოადგენენ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.1 მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატებს. ისინი ხელფასისაგან დამოუკიდებელ ფულად გასაცემელს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, აღნიშნულზე ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 129-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოთხოვნა წარმოადგენდა ხანდაზმულს და უარი ეთქვას მას დაკმაყოფილებაზე. ამავე საფუძველით, ხანდაზმულობის გამო, უარი უნდა ექმოდა მოსარჩელეს – თ. ბ-მეს სამივლინებო თანხის მოპასუხეზე დაკისრების თაობაზე.

საპედაგოგო პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ თ. ბ-მე კადრების განკარგულებაში გაყვანილი იქნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 20 აპრილის 11203 ბრძანებით, ამ პერიოდისათვის კი საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 32-ე მუხლით კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სამხედრო მოსამსახურეს უნარჩუნდებოდა ფულადი სარგო ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი და სასურსათო უზრუნველყოფის სანაცვლოდ დაწესებული ფულადი კომპენსაცია არა უმეტეს ორი თვისა, რაც ჩარიცხულ იქნა მისი კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში. ასევე ანაზღაურებულ იქნა მისი კუთვნილი 2004 წლის საშვებულებო თანხაც. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის 2005 წლის 2 მარტის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის 2005 წლის 2 მარტის ბრძანება 145-ით დადგენილია, რომ ... დეპარტამენტის უფროსს პოლკოვნიკ თ. ბ-მეს მიეცა 2004 წლის კუთვნილი შვებულება 2005 წლის 21 მარტიდან 5 მაისამდე, 45 დღე-ღამის ოდენობით. აღნიშნული შვებულების ანაზღაურების დამადასტურებელი უწყისით, დადგენილია, რომ თ. ბ-მეს აუნაზღაურდა როგორც თანამდებობრივი, ისე წოდებრივი სარგო, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი ნამსახურებისათვის და კვების კომპენსაცია – სულ 808,70 ლარი.

საპედაგოგო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრეს თ. ბ-მემ და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თ. ბ-მემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორმა – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლით – საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. აქედან გამომდინარე, კანონიერია, საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობისას წარმოშობილი დავის დროს გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი. კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტია, მაგრამ მისი ნორმები ხშირ შემთხვევაში იმ ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებადაც გვევლინება, რომლებიც თავისი შინაარსით წარმოადგენენ ადმინისტრაციულ (საჯარო) ურთიერთობებს. რაც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. ამდენად, სახელფასო დავალიანებების ხანდაზმულობის საკითხზე, რომელიც არ წესრიგდება მითითებული კანონით, უნდა გავრცელდეს შესაბამისი კანონმდებლობა, ანუ: ა) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის ვალდებულებას მიეცა სახელშეკრულებო ვალდებუ-

ლების კვალიფიკაცია, ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა; ბ) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივ საკითხზე მოქმედების განხორციელების ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა. სსკ-ის 130-ე მუხლის მიხედვით, როგორც სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით განსაზღვრული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მოსარჩელეს უნდა მიეღო თითოეული თვის ხელფასი.

კასატორმა განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულებაში საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 12 დეკემბრის 1640 ბრძანებულებით შევიდა ცვლილება, რომლითაც აღნიშნულ ბრძანებულებას დაემატა 33¹ მუხლი, შეიცვალა 33-ე პუნქტის რედაქცია და 1493 ბრძანებულებას დაემატა 61¹ მუხლი, რომელმაც 2006 წლის 1 იანვრამდე შეაჩერა 33-ე მუხლის მოქმედება.

კასატორის განმარტებით, ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებას «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით, განმარტებით ბარათში აისახება ნორმატიული აქტების მიღების მიზეზი და მისი ძირითადი მახასიათებლები. საქართველოს პრეზიდენტის 31.12.2004 წლის 1640 ბრძანებულების პროექტის განმარტებით ბარათის შესაბამისად, ბრძანებულების 33¹ მუხლის მოქმედების შეჩერებით კანონმდებელმა დროებით არ შეაჩერა, ან გადაავადა ამ მუხლით გათვალისწინებული ფულადი თანხების გაცემის ვალდებულება, არამედ გაათავისუფლა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვალდებულების შესრულებისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თ. ბ-ძისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განჩინებით თ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის თ. ბ-ძის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი თ. ბ-ძისათვის სახელფასო დავალიანების – 2943,18 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნას დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის თ. ბ-ძის სასარგებლოდ 1998-2000 წლების დარიცხული სახელფასო დავალიანების – 2943,18 ლარის დაკისრების ნაწილში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების თ. ბ-ძისათვის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და ამ ნაწილში საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს თ. ბ-ძისათვის ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების საფუძვლიანობის შემოწმება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 33-ე პუნქტზე, რომლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილ იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის, ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით ა) 2 წლამდე (მაგრამ არანაკლებ 6 თვისა) – სამმაგი; ბ) 2-დან 10 წლამდე – ხუთმაგი, ხოლო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს 10 წლამდე – ექვსმაგი; გ) 10-დან 15 წლამდე – რვამაგი; დ) 15-დან 20 წლამდე – ათმაგი; ე) 20 და მეტი წლით – თორმეტმაგი.

ზემოხსენებული ბრძანებულების 33¹ პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილ იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის, ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამ-

სახური წლების ჩათვლით), ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 61¹ პუნქტის თანახმად, ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება განახლდა 2006 წლის 1 იანვარს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 33¹ მუხლი ამოღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 სექტემბრის 1531 ბრძანებულებით, ხოლო სარჩელი სასამართლოში აღძრულია 2008 წლის 1 აპრილს. ამდენად, სარჩელით მიმართვის მომენტისათვის არ არსებობდა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს განისაზღვროს, მოახდინა თუ არა მოსარჩელემ უფლების რეალიზება ნორმის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის გზით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მტკიცებულებები იმის თაობაზე, მოახდინა თუ არა მოსარჩელემ – თ. ბ-მემ უფლების რეალიზება ნორმის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის გზით, ხოლო საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ დაადგენს აღნიშნულ გარემოებებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის «გ» და «ე» ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე¹» ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე¹» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს, დაადგინოს და შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში, ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო პირისათვის ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურება

განჩინება

1ბს-1078-1034 (2კ-09)

18 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. მ-მემ 2008 წლის 24 ნოემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსაგან მოსარჩელის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების, სანივთე და კვების კომპენსაციის დაკისრება; მოსარჩელემ ასევე მოითხოვა მოპასუხისათვის ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების, ყოველ გადაცილებულ დღეზე 0,07%-ისა და საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. მ-მის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. მ-მის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 756,18 ლარის გადახდა; მოსარჩელეს უარი ეთქვა ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,07%-ისა და საადვოკატო მომსახურების სახით გაწეული თანხის ანაზღაურებაზე.

სასამართლომ დადგინდა, რომ მოსარჩელე იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან – საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, მოხელეს წარმოადგენდა, ხოლო «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 1.1. მუხლის თანახმად – სამხედრო მოსამსახურეს.

სასამართლომ განმარტა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 11.2 მუხლის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ იყო დადგენილი. იმავე კანონის 51.2 მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით მოსამსახურეთათვის შეიძლება გათვალისწინებული ყოფილიყო სხვა დამატებითი უფლებები და გარანტიები, ხოლო ასეთი ხასიათის ერთ-ერთი დამატებითი უფლება და გარანტია სამხედრო მოსამსახურისათვის მოცემული იყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციით დაცული იყო მოქალაქეთა შრომითი უფლებები და სამართლიანად მოხდებოდა შრომითი საქმიანობის ანაზღაურება, შესრულებული სამუშაოსათვის მუშაკი მიიღებდა შრომის შესაბამის ანაზღაურებას, რაც დამსაქმებლისათვის საყოველთაოდ ცნობილი კანონისმიერი ვალდებულება იყო. მოპასუხის ქმედება (სახელფასო დავალიანების აუნაზღაურებლობა) ეწინააღმდეგებოდა სამართლის ზოგად პრინციპებს – სამართალურთიერთობის სტაბილურობის, კეთილსინდისიერებისა და კანონიერების პრინციპებს, გარდა ამისა ადმინისტრაციული ორგანოს ასეთი ქმედება ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს პოლიტიკას – პრიორიტეტულად დაეცვა ადამიანის უფლებები, მათ შორის, შრომითი უფლებები და შრომის სამართლიანი ანაზღაურება, რადგან ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, რომელსაც საქართველო 1991 წლის 15 სექტემბრის 1655 დადგენილებით შეუერთდა, აღიარებული იყო, რომ ყოველ მუშაკს ჰქონდა უფლება აეღო სამართლიანი და დამაკმაყოფილებელი გასამრჯელო, რომელიც უზრუნველყოფდა მის ღირსეულ ადამიანურ არსებობას ოჯახთან ერთად რომელსაც, აუცილებლობის შემთხვევაში ემატებოდა სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს 2009 წლის 10-ბ/24 ცნობით დასტურდება, რომ გ. მ-მის სახელფასო დავალიანება 1998-2000 წლებში შეადგენდა 1134,22 ლარს. მათ შორის, 1998 წლის სახელფასო დავალიანება შეადგენდა 388,03 ლარს; შესაბამისად, სასამართლოს მიერ გაზიარებულ იქნა მოპასუხის მოსარჩეობა საერთო ხანდაზმულობის 10-წლიან ვადასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა შეეხებოდა 1998 წლის სახელფასო დავალიანებას, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენდა 10 წელს. მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღიძრა 2008 წლის 24 ნოემბერს, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 1998 წლის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში, ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, ხანდაზმული იყო.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ითხოვდა, მოქმედი შრომის კოდექსის **31.3** მუხლის შესაბამისად, ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის ყოველი დღის **0,07%**-ს, რაც მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნებოდა გამოყენებული, რადგან იმავე კოდექსის **1.1.** მუხლის შესაბამისად, ეს კოდექსი აწესრიგებდა საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ წესრიგდებოდა სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო კანონმდებლობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავოს წარმოადგენდა არა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში კანონით გათვალისწინებული ფულად-ვალდებულებითი ურთიერთობა. მოცემულ შემთხვევაში, მხარეებს შორის არც შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის და არც შეწყვეტის მომენტში შრომის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ამგვარ ფულად ვალდებულებით ურთიერთობას. ამდენად, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, სახელფასო დავალიანების არსებობა არ გულისხმობდა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის განგრძობადობას, ზემოაღნიშნული ნორმის გავრცელებას სადავო სამართალურთიერთობაზე;

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა საადვოკატო მომსახურების სახით გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლოა, რადგან საქმეში არსებული მასალებით არ დადასტურდა აღნიშნული თანხის გადახდის გარემოება და შესაბამისად, მხოლოდ წარმოდგენილი ხელშეკრულება და ორდერი არ შეიძლება გამხდარიყო მოთხოვნილი თანხის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი;

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების დაკმაყოფილების ნაწილში იყო უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო; მოპასუხეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის **24-ე** და **33'** მუხლების თანახმად, უნდა დაეკისროს მოსარჩელის კუთვნილი ხელფასის დავალიანების ანაზღაურება. ადმინისტრაციულ ორგანოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოქმედების განუხორციელებლობა – ხელფასის თანხის გაუცემლობა პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, მიიღოს შრომითი გასამრჯელო. სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეზე გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის **33'** მუხლი, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება, ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის **24-ე** მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალებს განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან;

ზემოაღნიშნული გარემოებების ურთიერთშეჯერების და ანალიზის შედეგად სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უნდა დაეკისროს სახელფასო დავალიანების **756,18** ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და გ. მ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2009** წლის **20** მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გ. მ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. მ-მის სარჩელი მოპასუხე – საქართველოს თავდაცვის სამინისტროსადმი მის სასარგებლოდ **1998** წელს წარმოშობილი სახელფასო დავალიანების – **133,14** ლარის, კვარტალური ჯილდოს – **66,09** ლარისა და ერთჯერადი დახმარების გაცემის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა; დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **6** თებერვლის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა გ. მ-მის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაკისრებოდა მოსარჩელის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების **756,18** ლარის ანაზღაურება სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და სასამართლო პრაქტიკასთან. პირველი ინსტანციის სასამართლომ, ამ ნაწილში სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. საქალაქო სასამართლომ ასევე მართებულად არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა საადვოკატო მომსახურების სახით გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, რადგან საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდებოდა აღნიშნული თანხის ადვოკატისათვის გადახდის ფაქტი.

საქალაქო სასამართლომ სრულიად მართებულად არ დააკმაყოფილა გ. მ-მის სარჩელი, დღეს მოქმედი შრომის კოდექსის **31.3** მუხლის შესაბამისად ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე არსებული დავალიანების **0,07%**-ს მოპასუხეზე დაკისრების შესახებ, რადგან შრომის კოდექსი მიღებულ იქნა **2006** წლის **25** მაისს, ხოლო გ. მ-მე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა დამყარდა და შეწყდა ხსენებული კოდექსის მიღებამდე, ადრე მოქმედი კანონმდებლობა კი სახელფასო დავალიანების გასტუმრების დავალიანებისათვის საურავის დაკისრებას არ ითვალისწინებდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ კვების კომპენსაციის თანხა არ წარმოადგენს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის **37.1** მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია (მოსარჩელე მას ხელფასის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს), რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **129.2** ნაწილით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

ამრიგად, საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნულ სასარჩელო მოთხოვნაზე (კვების კომპენსაციის გაცემაზე) უნდა გავრცელებულიყო სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. მოცემულ შემთხვევაში გ. მ-მემ სარჩელი აღძრა 2006 წელს, რის გამოც სარჩელი ამ ნაწილში ხანდაზმული იყო.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი იმ ნაწილში, რომლითაც იგი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი, 1998 წელს წარმოშობილი კვების კომპენსაციის ანაზღაურების, საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯებისა და ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,07%-ს მოპასუხეზე დაკისრების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აბსოლუტური გაუქმების საფუძვლები იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გ. მ-ძის სასარჩელო მოთხოვნები: სახელფასო დავალიანების, ფულადი (კვარტალური) ჯილდოს ანაზღაურებისა და ერთჯერადი დახმარების გაწევის შესახებ სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასარჩელო მოთხოვნა 1998 წელს წარმოშობილი სახელფასო დავალიანებისა და კვარტალური ჯილდოს ანაზღაურების შესახებ ხანდაზმული იყო. «საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-8 მუხლის თანახმად, (ანალოგიური ნორმებია ასევე გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ შემდგომი წლების კანონებითაც, (იხ. 2007 წლის კანონის მე-9 მუხლი, 2008 წლის მე-60 მუხლი, 2009 წლის კანონის 21-ე მუხლი), სახელმწიფომ აღიარა წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებები და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მისცა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გამოეყენებინათ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არსებულ დავალიანების დასაფარავად. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.1, 74-ე და «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 12.2 მუხლების მიხედვით ფულადი ჯილდო წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ დანამატს, რომელიც თანამდებობრივ სარგოსთან ერთად შეადგენს ხელფასის შინაარსს. ამრიგად, წარმოდგენილი სარჩელი 1998 წელს წარმოშობილი სახელფასო დავალიანების – 133,14 (33,68+33,68+32,89+32,89=133,14) ლარისა და კვარტალური ჯილდოს – 66,09 (31,88+34,21=66,09) ლარის ანაზღაურების მოთხოვნების ნაწილში ხანდაზმული არ იყო და შესაბამისად, სარჩელი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს დასკვნა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 35-ე მუხლის «გ» პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო პირებს, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემიდან ასაკის გამო, ეძლეოდათ 3 თვის ერთჯერადი დახმარება თანამდებობრივი სარგოს მიხედვით. აღნიშნული ნორმა მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის დროს გაუქმებული არ იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. მ-ძის სარჩელი ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. მ-მემ და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

გ. მ-მემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხეს დავალებოდა მისთვის საადვოკატო მომსახურების სახით გაწეული ხარჯის, ზიანისა და კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორმა – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლით – საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. აქედან გამომდინარე, კანონიერია, საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობისას წარმოშობილი დავის დროს გამოეყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი. კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტია, მაგრამ მისი ნორმები ხშირ შემთხვევაში იმ ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებადაც გვევლინება, რომლებიც თავისი შინაარსით წარმოადგენს ადმინისტრაციულ (საჯარო) ურთიერთობებს.

საყურადღებოა, განისაზღვროს, მოსარჩელესა და თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული ურთიერთობა წარმოადგენდა თუ არა სახელშეკრულებო ურთიერთობას. აღნიშნული ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობა იყო იმ მარტივი გარემოებიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელის განცხადება – ნების გამოვლენა – თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამსახურის დაწყების შესახებ (ოფერტი) და სამინისტროს თანხმობა (აქცეფტი – ბრძანების სახით), მასთან შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ, ასევე მათ შორის ურთიერთობისა და უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები ერთობლიობაში მოსარჩელესა და სამინისტროს შორის ფაქტობრივი საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტია და ამის დასადასტურებლად სრულიად არ არის საჭირო ერთიანი, გარკვეულ სისტემაში მოყვანილი ან გარკვეული ფორმის მქონე დოკუმენტის – ხელშეკრულების არსებობა.

აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა არ ავალდებულებს მხარეებს კონკრეტული შინაარსისა და სტილის მქონე დოკუმენტის გაფორმებას ხელშეკრულების დადებისას. ხელშეკრულებათა ფორმები და სტილი შეიძლება იყოს განსხვავებული და შესაბამისად, წერილობითი განცხადება და ბრძანება თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ერთობლიობაში წარმოადგენს წერილობითი შრომითი ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

აღნიშნული მიდგომა სახელმწიფოს მიერ ფაქტობრივად აღიარებულია «შრომის კოდექსის» მე-6 მუხლის მე-3 ნაწილითაც – პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას. ის ფაქტი, რომ საჯარო სამსახურზე ვრცელდება შრომითი კანონმდებლობა, უდავოა, უფრო მეტიც, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. ამდენად, სახელფასო დავალიანებების ხანდაზმულობის საკითხზე, რომელიც არ წესრიგდება მითითებული კანონით, უნდა გავრცელდეს შესაბამისი კანონმდებლობა, ანუ: ა) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის ვალდებულებას მიეცა სახელშეკრულებო ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა; ბ) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივ საკითხზე მოქმედების განხორციელების ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა.

სსკ-ის 130-ე მუხლის მიხედვით, როგორც სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით განსაზღვრული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მოსარჩელეს უნდა მიეღო თითოეული თვის ხელფასი.

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების ნაწილში და განმარტა, რომ მათ მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ იქნა წერილობითი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ გ. მ-მეს არ გააჩნდა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების მოთხოვნის უფლება. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 35-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტს, რადგან ამ მუხლიდან გამომდინარე გ. მ-მეს ჰქონდა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების მოთხოვნის უფლება, რაც არასწორია. კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ როგორც გ. მ-მის დათხოვნის ბრძანებიდან ირკვევა, იგი თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნა ზღვრული ასაკის გამო. გ. მ-მე თავდაცვის სამინისტროში მსახურობდა სამოქალაქო შტატზე. საქართველოს პრეზიდენტის 1493 ბრძანებულების 35-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტი, რომელსაც სასამართლო დაეყრდნო სარჩელის დაკმაყოფილებისას, შემდეგნაირია: «ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება სამოქალაქო პირებს ეძლევათ მხოლოდ ასაკის ან უწყების მიზეზით სამსახურში მისაღებად დადგენილი მოთხოვნათა დარღვევის გამო», რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მოსარჩელის ან თავდაცვის სამინისტროს მიერ გ. მ-მის მიმართ გამოვლენილ იქნებოდა ისეთი ხელისშემშლელი გარემოებები, რომელიც დააბრკოლებდა მოსარჩელის შემდგომ საქმიანობას თავდაცვის სამინისტროში, მხოლოდ ამ შემთხვევაში წარმოემობოდა მხარეს ერთჯერადი დახმარების მოთხოვნის უფლება, როგორც სამოქალაქო პირს. საქმეში წარმოდგენილი მასალებით კი საპირისპირო მტკიცდება, მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდა მხოლოდ ზღვრული ასაკის მიღწევის გამო.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ მოითხოვა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება, ხოლო პრეზიდენტის ბრძანებულების ზემოაღნიშნული მუხლი ეხება მხოლოდ ერთჯერად დახმარებას. ამდენად კასატორი თვლის, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია მოთხოვნის შინაარსი და გამოიყენა მუხლი, რომელიც სხვა სახის გასაცემლის გაცემის საფუძველზე არეგულირებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გ. მ-მისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით გ. მ-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საადვოკატო მომსახურების სახით გაწეული ხარჯის, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,07%-ისა და კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი 1998 წლის სახელფასო დავალიანებისა და კვარტალური ჯილდოს დაკისრების, ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გ. მ-მის სასარგებლოდ 1998 წლის სახელფასო დავალიანების – 133,14 ლარისა და კვარტალური ჯილდოს – 66,09 ლარის დაკისრების, ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერ-

თჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გ. მ-მისათვის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და ამ ნაწილში საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო პალატა თავდაპირველად აღნიშნავს, რომ გ. მ-მის სარჩელის მოთხოვნა იყო მოპასუხისათვის ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების დაკისრება. საქალაქო სასამართლომ 2009 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილად მიიჩნია, რომ გ. მ-მე «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის» შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იყო სამხედრო მოსამსახურე. საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ერთჯერადი (გამოსასვლელი) თანხის დაკისრების თაობაზე. გ. მ-მე საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრით აღნიშნავდა, რომ იგი სამსახურიდან დათხოვნის პერიოდში იყო სამოქალაქო მოსამსახურე და არ მიუღია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 35-ე მუხლით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება. სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის სხდომის ოქმით დგინდება, რომ გ. მ-მის წარმომადგენელი დაეთანხმა წარდგენილ სააპელაციო საჩივარს და მოითხოვა სამი თვის ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების დაკისრება მოპასუხისათვის.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 მაისის 11132 ბრძანებით გ. მ-მე განთავისუფლებულ იქნა გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის სამმართველოს ... თანამდებობიდან. მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ სამსახურიდან გათავისუფლებისას გ. მ-მეს ეკავა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო შტაბით გათვალისწინებული თანამდებობა. სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი და მიიჩნია, რომ გ. მ-მის სარჩელი ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამასთან, სააპელაციო პალატას არ უმსჯელია საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების საწინააღმდეგოდ, იყო თუ არა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 35-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა გ. მ-მის მოთხოვნის მიმართ.

საკასაციო პალატა ნაწილობრივ ეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო პალატამ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების ნაწილში არ გამოიკვლია მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი და მოთხოვნა დააკმაყოფილა საქართველოს პრეზიდენტის 1493 ბრძანებულების იმ მუხლით, რომელიც სხვა სახის გასაცემლის საფუძველს წარმოადგენდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 33-ე პუნქტი არეგულირებს სამხედრო მოსამსახურეთა შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნისას ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემის წესს, ხოლო ამავე ბრძანებულების 35-ე პუნქტი ადგენს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო მოსამსახურეთა სამსახურიდან განთავისუფლებისას ერთჯერადი დახმარების გაცემის წესს. მართებულია საკასაციო საჩივრის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ბრძანებულება განასხვავებს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო და სამხედრო პირთა სოციალური დაცვის გარანტიებს და აქცევს სხვადასხვა ნორმის რეგულირების ქვეშ. ამდენად, სააპელაციო პალატას საქმის განხილვისას უნდა უზრუნველყოფილიყო, რათა მხარეს მოეხდინა მოთხოვნის სწორი ფორმულირება, რის შემდეგაც მიღებული გადაწყვეტილებით უნდა დაესაბუთებინა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველი და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობა, რაც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ ასახულა.

საკასაციო პალატა მიუხედავად იმისა, რომ მხარემ მოთხოვნა ჩამოაყალიბა არასწორად საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მისი, როგორც თავდაცვის სამინისტროში მომსახურე სამოქალაქო პირის სამუშაოდან დათხოვნისას მიუღებელი, «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 35-ე პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარების მოპასუხისათვის დაკისრება.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო პალატამ მოთხოვნა დააკმაყოფილა სხვა სამართლებრივი საფუძველით, ვიდრე ამას მხარე მოითხოვდა. საკასაციო პალატა თვლის, რომ თუნდაც მოსარჩელის მიერ მოთხოვნის საფუძველად არასწორი სამართლებრივი ნორმის მითითება არ წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა მოახდინოს მოთხოვნისადმი სამართლებრივი ნორმის შეფარდება მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასების შემდეგ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 61¹ პუნქტის თანახმად, ამ ბრძანებულების 35-ე პუნქტის მოქმედება შეჩერდეს 2006 წლის 1 იანვრამდე». საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საქართველოს თავდაც-

ვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 35-ე პუნქტი ამოღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 სექტემბრის 1531 ბრძანებულებით, ხოლო სარჩელი სასამართლოში აღძრულია 2008 წლის 24 ნოემბერს. ამდენად, სარჩელით მიმართვის მომენტისათვის არ არსებობდა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს განისაზღვროს, მოახდინა თუ არა მოსარჩელემ უფლების რეალიზება ნორმის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის გზით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მტკიცებულებები იმის თაობაზე, მოახდინა თუ არა მოსარჩელემ – გ. მ-მემ უფლების რეალიზება ნორმის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის გზით, ხოლო საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ დაადგენს აღნიშნულ გარემოებებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის «გ» და «ე» ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს, დაადგინოს და შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ერთჯერადი დახმარების საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში, ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება ერთჯერადი დახმარების გაცემის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განილველვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. კვების კომპენსაცია

სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (კვების კომპენსაცია)

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

ბს-1540-1470(კ-09)

25 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 17 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ა. ს-ივეს მიმართ. მოსარჩელემ ა. ს-ივესათვის მის სასარგებლოდ ჯარისკაცის სახით – 16092 ლარის, ზიანის სახით – 3397.78 ლარისა და პირგასამტეხლოს სახით – 16092 ლარის 0.2%-ის ოდენობით ყოველდღიურად, 2005 წლის 9 დეკემბრიდან ძირითადი თანხის გადახდამდე დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში განმარტა, რომ იგი 2005 წლის 11 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 11344 ბრძანებით გაწვეულ იქნა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში და 2005 წლის 1 მაისიდან კონტრაქტით გათვალისწინებული პირობის თანახმად, დაინიშნა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ... ქვეითი ბრიგადის ... ასეულის მეორე ოცეულის მემიზნე-ოპერატორად.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი 2006 წლის 21 იანვარს 171 ბრძანების საფუძველზე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან 2008 წლის 26 ოქტომბრიდან – კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. სამხედრო მოსამსახურესთან დადებული ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად, კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეს ეკისრებოდა ვალდებულება, აენაზღაურებინა მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რაც მოსარჩელის მითითებით შეადგენდა 16092 ლარს.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. აპელანტმა განმარტა, რომ მოპასუხე მხარემ კონტრაქტი გააფორმა 2005 წლის 1 მაისს, ხოლო 2005 წლის 2 ნოემბერს დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, ე.ი. მოპასუხემ კონტრაქტი დაარღვია კონტრაქტის 7.3 პუნქტის პირველ წინადადებაში და 3.2 პუნქტში მითითებულ სამხედრო მოსამსახურის სწავლებისა და მომზადების პერიოდში, რაც 7.3 პუნქტიდან გამომდინარე, ამავე პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი იყო.

ამდენად, აპელანტის განმარტებით, მოპასუხე ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ვალდებული იყო, ჯარისკაცის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა 14 000 ლარი, ხოლო დათხოვნის მეთერთმეტე დღიდან, ყოველვადაგადაცილებულ დღეზე 0.2 პროცენტი მის სრულ გადახდამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინებით საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ა. ს-ივესათვის ზიანის სახით – 3397.78 ლარის დაკისრების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი, ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 21 სექტემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინება; საქმე განსახილველად დაუბრუნდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება, ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. ს-ივეს შორის 2005 წლის პირველ მაისს დადებული ხელშეკრულება მიეკუთვნება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა კატეგორიას. აპელანტის სარჩელი ეფუძნებოდა მითითებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი მიიჩნია კანონშესაბამისად და დაადასტურა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას არ ქმნიდა ხელშეკრულების 7.3 მუხლი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის მოთხოვნის უფლება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმოეშვებოდა ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდეგ. საქმის მასალებიდან კი დადგენილი იყო ის ფაქტი, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. ს-ივეს შორის ხელშეკრულება შეწყდა პირველი წლის გასვლამდე – ხელშეკრულება დადებული იყო 2005 წლის პირველ მაისს, ხოლო მოპასუხის დათხოვნა მოხდა 2005 წლის 28 ნოემბერს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ ხელშეკრულება არ განსაზღვრავდა პასუხისმგებლობას მოსამსახურის მხრიდან 1 წლის გასვლამდე კონტრაქტის შეწყვეტის პირობებში, რისი გათვალისწინებითაც სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მიიჩნია უსაფუძვლოდ და აღნიშნა, რომ არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი წინამძღვრები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა განმარტა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხე ა. ს-ივეს მიერ ზიანის სახით 3397.78 ლარის გადახდა. სააპელაციო სასამართლოს მიერ თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში არ იქნა დაკმაყოფილებული, იმ მოტივით, რომ სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი სამართლებრივი გარემოებანი, კერძოდ, ვინაიდან ხელშეკრულება არ განსაზღვრავს პასუხისმგებლობას მოსამსახურის მხრიდან 1 წლის გასვლამდე კონტრაქტის შეწყვეტის პირობებს, რისი გათვალისწინებითაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას მიიჩნევს უსაფუძვლოდ.

კასატორმა სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა არასწორად მიიჩნია და განმარტა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნას ზიანის ნაწილში საფუძვლად ჰქონდა არა კონტრაქტის 7.3 პუნქტი, არამედ კონტრაქტის 8.3 მუხლი. კასატორის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფდა საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურის ეტაპობრივ წვრთნასა და მომზადებას ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე დასახარჯი თანხების ისეთი აუცილებელი კომპონენტი, როგორც არის გადასახდელი ხელფასი. აღსანიშნავია, რომ ხელფასის ზრდა გამოწვეული იყო სწორედ იმ გარემოებით, რომ პირი, რომელიც ვალდებულებას აიღებდა სრული 4 წლის ვადით ემსახურება სამხედრო მოსამსახურედ 4 წლის განმავლობაში მიიღებდა შესაბამისი ოდენობის ანაზღაურებას, რომლის გაცემა ხორციელდებოდა ეტაპობრივად და ის არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა ანალოგიური ოდენობის, თუ სამხედრო მოსამსახურე სხვა უფრო მოკლე ვადით სამსახურის გავლის ვალდებულებას იკისრებდა.

კასატორის განმარტებით ა. ს-ივეს საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის გამო, «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრისა და 2005 წლის 9 დეკემბრის კანონებით განსაზღვრული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის რაოდენობის შენარჩუნების მიზნით სამინისტროს მოუწია სხვა სამხედრო მოსამსახურესთან ახალი კონტრაქტის გაფორმება და მოპასუხეზე მოთხოვნილი თანხის ხელახლა დახარჯვა ახალი სამხედრო მოსამსახურის სამხედრო მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, რაც ჰქონდა მიღწეული მოპასუხეს შეიარაღებული ძალების დათხოვნისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ა. ს-ივესათვის ხელფასის – 2683.78 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინება წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ანაზღაურებული ხელფასის – 2683.78 ლარის ა. ს-ივესათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის – 714 ლარის ა. ს-ივესათვის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ა. ს-ივესათვის ხელფასის – 2683.78 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის – 714 ლარის ა. ს-ივესათ-

ვის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ ა. ს-ივესათვის კვების კომპენსაციის – 714 ლარის დაკისრების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია ფაქტობრივი გარემოებები: 2005 წლის 1 მაისს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. ს-ივეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, (კონტრაქტი) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 11 სექტემბრის ¹1344-ე ბრძანებით 2005 წლის პირველი მაისიდან, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, რიგითი ა. ს-ივე დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ... ქვეითი ბრიგადის ... ბატალიონის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ოცეულის მემიზნე-ოპერატორად, სამხედრო წოდება, «კაპრალის» მინიჭებით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 21 იანვრის ¹71 ბრძანებით 2005 წლის 28 ნოემბრიდან ... ქვეითი ბრიგადის ... ბატალიონის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ოცეულის მემიზნე-ოპერატორი ა. ს-ივე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან, რეზერვში, (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით) «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მეორე თავის 21-ე მუხლის მეორე «თ» ქვეპუნქტის თანახმად (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ ა. ს-ვე შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნილ იქნა კონტრაქტის პირობების დარღვევის და არა რეორგანიზაციის, სამხედრო ნაწილის გაუქმების გამო. უკანასკნელი არ ყოფილა მოპასუხის შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულების (კონტრაქტის) 7.3 მუხლი განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძველსა და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4 წლიანი კონტრაქტი, ასეთ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა, კერძოდ, ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ – 14 000 ლარის ოდენობით, ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ – 10 000 ლარის ოდენობით და სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ – 5 000 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 7.3 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამხედრო ძალებში სულ მცირე 1 წლის სამსახური, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ამდენად, არ არსებობს მოპასუხის მიმართ ხელშეკრულების 7.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების სახით საჯარიმო თანხების გამოყენების საფუძველი. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სასარჩელო განცხადებით ფაქტიურად ითხოვს კონტრაქტის 7.3 მუხლის თანახმად, ა. ს-ივეზე დახარჯული თანხების ანაზღაურებას, სამინისტროს მოთხოვნა არ ეხება ხელშეკრულების (კონტრაქტის) 7.3 მუხლით გათვალისწინებულ ჯარიმას. სამინისტროს მოთხოვნა ეხება მოპასუხისათვის ხელშეკრულების არა 7.3 მუხლში მითითებული ჯარიმის თანხას, არამედ ა. ს-ივეზე დახარჯული თანხის სამინისტროსათვის ანაზღაურებას, რომლიდანაც 714 ლარი კვების ხარჯს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კვების კომპენსაცია წარმოადგენს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან – სასურსათო ულუფისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134¹ მუხლში. ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «ზ» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 21 იანვრის ¹71 ბრძანებით ა. ს-ივე კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, რომელიც იწვევს მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების გაქარწყლებას და ახალი ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ, მხარეებმა ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დააბრუნონ. შექმნის (მიღებული შესრულების – მოპასუხის მიერ

გაწეული სამსახურის და გაწეული სამსახურის შედეგად გადახდილი ხელფასის თანხის) ხასიათიდან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია ხელფასის სახით გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კვების ნაწილში თანხის დაკისრება უნდა მომხდარიყო მოპასუხე – ა. ს-ივესათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელშეკრულების გასვლა განპირობებული იყო მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის, თანახმად, ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ, ა. ს-ივესათვის კვების კომპენსაციის – 714 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. ს-ივეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს კვების კომპენსაციის – 714 ლარის ანაზღაურება;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შსს საგზაო პოლიციის სახელფასო დავალიანების (კვების კომპენსაციის) ანაზღაურება

გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

18ს-1636-1564(კ-09)

27 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

2009 წლის 5 მაისს ვ. ზ-ოვმა, მ. თ-იამ, გ. მ-შვილმა და ზ. ქ-შვილმა სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიმართ, რომლითაც მოითხოვეს სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელები: ვ. ზ-ვი, მ. თ-ია, გ. მ-შვილი და ზ. ქ-შვილი წლების მანძილზე მუშაობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარ სამმართველოში საგზაო პოლიციაში. მოპასუხეს მათ მიმართ 1998 წლიდან 2004 წლამდე დაუგროვდა გარკვეული რაოდენობის სახელფასო დავალიანება. მიუხედავად სახელფასო დავალიანების გადახდის მრავალჯერ მოთხოვნისა, მოპასუხე არ იხდიდა მას. მოსარჩელებმა განცხადებით მიმართეს შს სამინისტროს მთავარ სამმართველოს, ეცნობებინა მათთვის, რამდენს შეადგენდა თითოეული მათგანის სახელფასო დავალიანება. მიმდინარე წლის აპრილში მიღებული წერილების პასუხიდან მათთვის ცნობილი გახდა სახელფასო დავალიანების ზუსტი ოდენობა.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოდან მიღებული პასუხით გაირკვა, რომ ვ. ზ-ოვის მიმართ 1998-2003 წლებში სახელფასო დავალიანებამ შეადგინა 1396,97 ლარი, მ. თ-იას მიმართ 1998-2003 წლებში – 1193,02 ლარი, გ. მ-შვილის მიმართ 1998-2003 წლებში – 1159,86 ლარი, ხოლო ზ. ქ-შვილის მიმართ 1999-2003 წლებში – 867,74 ლარი. ზემოაღნიშნული წერილებით მოპასუხე მხარემ, ფაქტობრივად, აღიარა მოსარჩელებთან მიმართ სახელფასო დავალიანების არსებობა. რაც შეეხებოდა მოთხოვნის ხანდაზმულობას, მოცემულ შემთხვევაში, მისი ათვლა უნდა დაწყებულიყო მოსარჩელებთან განცხადებებზე პასუხის მიღებისა და მოპასუხის მიერ სახელფასო დავალიანების აღიარების დღიდან, კერძოდ, 2009 წლის 16 აპრილიდან.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელებმა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე, 26-ე მუხლების, «საჯარო სამსახურის

შესახებ» საქართველოს კანონის მე-4, მე-14, 37-ე მუხლებისა და იმ პერიოდში მოქმედი «შრომის კანონთა კოდექსის» 96-ე მუხლის საფუძველზე.

მოპასუხემ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს წარმომადგენელმა – ლ. დ-იამ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ხელფასი შედგებოდა თანამდებობრივი სარგოსა და წოდების დანამატისაგან. კვების ულუფისა და წელთა ნამსახურობის დანამატი წარმოადგენდა დამატებით კომპონენტებს, რაც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება იყო, ვინაიდან საჯარო სამსახურში მათი გაცემა ხორციელდებოდა გარკვეული პერიოდულობით, როგორც წესი, თვის ბოლოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლის თანახმად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებზე ვრცელდებოდა სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. მისი ათვლა იწყებოდა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ანუ იმ დროიდან, როცა პირმა შეიტყო, ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელებს ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაეწყო 1998 წელს, რის გამოც მათი სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელების: ვ. ზ-ოვის, მ. თ-იას, გ. მ-შვილისა და ზ. ქ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს მოსარჩელე ვ. ზ-ოვის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება ხელზე მისაღები 422,83 ლარის ოდენობით, მ. თ-იას სასარგებლოდ – ხელზე მისაღები 272,90 ლარის ოდენობით, გ. მ-შვილის სასარგებლოდ – 251,85 ლარის ოდენობით, ზ. ქ-შვილის სასარგებლოდ – 395,74 ლარის ოდენობით; ვ. ზ-ოვის, მ. თ-იასა და გ. მ-შვილს უარი ეთქვათ 1998 წლის სახელფასო დავალიანებისა და კვების კომპენსაციის ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო; ზ. ქ-შვილს უარი ეთქვა კვების კომპენსაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ 2009 წლის 10 აპრილს გაცემული '27/7/6/4-ზ/8, '27/7/6/4-თ/10, '27/7/6/4-მ/27, '27/7/6/4-ქ/10 ცნობებით დადასტურდა, რომ მოპასუხეს მოსარჩელებისადმი გააჩნდა გარკვეული რაოდენობის სახელფასო დავალიანება, კერძოდ, '27/7/6/4-ზ/8 ცნობიდან გაირკვა, რომ ვ. ზ-ოვის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენდა 1396,97 ლარს; '27/7/6/4-თ/10 ცნობის თანახმად, მ. თ-იასადმი არსებული დავალიანება იყო 1193,02 ლარი; '27/7/6/4-მ/27 ცნობის საფუძველზე გ. მ-შვილისადმი მოპასუხეს ერიცხებოდა დავალიანება 1159,86 ლარის ოდენობით; '27/7/6/4-ქ/10 ცნობით ზ. ქ-შვილისადმი დავალიანება შეადგენდა 867,74 ლარს.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.1 მუხლი და განმარტა, რომ მითითებული ნორმის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). აღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს მოსარჩელების მიმართ გააჩნდა დავალიანება შემდეგი ოდენობით: ვ. ზ-ოვისადმი – 422,83 ლარი; მ. თ-იასადმი – 272,90 ლარი; გ. მ-შვილისადმი – 251,85 ლარი; ზ. ქ-შვილისადმი – 395,74 ლარი.

საქალაქო სასამართლომ მითითებით, რაც შეეხებოდა მოსარჩელეთა მოთხოვნას, 1998 წლის სახელფასო დავალიანების მოპასუხეზე დაკისრებასა და კვების კომპენსაციის ანაზღაურებას, სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128.3 მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულად მიიჩნია 1998 წლის სახელფასო დავალიანების ნაწილში. ასევე, სასამართლომ ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა გაავრცელა კვების ულუფის მოთხოვნის ნაწილზეც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129.2. მუხლის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ზ-ოვმა, მ. თ-იამ, გ. მ-შვილმა და ზ. ქ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება იყო უკანონო, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, სათანადო შეფასება არ მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. აპელანტის მოსაზრებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.1 მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). იგი მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის დადასტურება და აღიარება, რომელზედაც მეორე მხარე ამყარებდა თავის მოთხოვნას, სასამართლოს შეიძლებოდა ჩაეთვალა საკმარის მტკიცებულებად და საფუძვლად დაედო სასამართლო გადაწყვეტილებისათვის.

რაც შეეხებოდა ხანდაზმულობის საკითხს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდებოდა, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებდა მოთხოვნის არსებობას. ამდენად, ხანდაზმულობის შეწყვეტამდე გასული დრო მხედველობაში არ მიიღებოდა და ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან უნდა დაწყებულიყო. ამავე კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად, თუ შეწყდებოდა ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე გავლილი დრო მხედველობაში არ მიიღებოდა და ვადა დაიწყებოდა თავიდან. აქედან გამომდინარე, მოპასუხის მიერ ვალის აღიარებიდან უნდა ათვლილიყო ხანდაზმულობის ვადის დენა, როგორც სამოქალაქო კო-

დექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე ამავე კოდექსის 128-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით აპელანტების: ვ. ზ-ოვის, მ. თ-იას, გ. მ-შვილისა და ზ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი, რომლითაც მოსარჩელებს: ვ. ზ-ოვის, მ. თ-იას და გ. მ-შვილს უარი ეთქვათ 1998 წლის სახელფასო დავალიანებისა და კვების კომპენსაციის ანაზღაურებაზე; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების მე-7 პუნქტი, რომლითაც ზ. ქ-შვილს უარი ეთქვა კვების კომპენსაციის ანაზღაურებაზე და გაუქმებულ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელეთა მოთხოვნა 1998 წლის სახელფასო დავალიანებისა და 1998-2003 წლების კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს დაეკისრა ვ. ზ-ოვის სასარგებლოდ (1998 წლის სახელფასო დავალიანება – 502,14 ლარი; 1999 წლის კვება - 177 ლარი, 2000 წლის კვება – 236 ლარი) 915 ლარის გადახდა; მ. თ-იას სასარგებლოდ (1998 წლის სახელფასო დავალიანება – 548,38 ლარი, 1999 წლის კვება – 177 ლარი, 2000 წლის კვება – 236 ლარი) 961,38 ლარის გადახდა; გ. მ-შვილის სასარგებლოდ (1998 წლის სახელფასო დავალიანება – 532,09 ლარი, 1999 წლის კვება – 177 ლარი, 2000 წლის კვება – 236 ლარი) 945 ლარის გადახდა; ზ. ქ-შვილის სასარგებლოდ (1999 წლის კვება – 177 ლარი, 2000 წლის კვება – 236 ლარი) 413 ლარის გადახდა; მოსარჩელებს: ვ. ზ-ოვის, მ. თ-იას, გ. მ-შვილსა და ზ. ქ-შვილს უარი ეთქვათ 2003 წლის კვების კომპენსაციის ანაზღაურებაზე; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელები 1998-2003 წლებში მუშაობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში, ისინი იმყოფებოდნენ შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდნენ საჯარო მოხელეებს. საქმეში წარდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარ სამმართველოს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს 2009 წლის 10 აპრილის '27/7/6/4-ზ/8 ცნობიდან გაირკვა, რომ ვ. ზ-ოვის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენდა – 1396,97 ლარს; '27/7/6/4-თ/10 ცნობის თანახმად, მ. თ-იასადმი არსებული დავალიანება იყო – 1193,02 ლარი; '27/7/6/4-მ/27 ცნობის საფუძველზე გ. მ-შვილისადმი მოპასუხეს ერიგებობა და ვალიანება – 1159,86 ლარის ოდენობით; '27/7/6/4-ქ/10 ცნობით ზ. ქ-შვილისადმი დავალიანება შეადგენდა 867,74 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.1 მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომლის გასტუმრებაზეც პასუხისმგებელი იყო ის დაწესებულება, სადაც მუშაობდა. ამავე კანონის 37.4 მუხლის თანახმად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყარო იყო შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება ყოფილიყო მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

«პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლითა (2003 წლამდე მოქმედი რედაქცია) და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის '139 ბრძანებულების «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 55-ე მუხლით (ძველი რედაქციით) გათვალისწინებული კვების ულუფა, წელთა ნამსახურობა და სხვა დანამატები წარმოადგენდა კანონით გათვალისწინებულ ისეთ დანამატებს, რომლებზედაც მითითებული იყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.1 მუხლში და რომლებიც განიხილებოდა საჯარო მოხელის შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) შემადგენელ ნაწილებად.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134¹ მუხლის თანახმად, დადგენილი იყო, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებული საჯარო მოხელეების მიმართ არსებული საბიუჯეტო დავალიანებები და კუთვნილი თანხის გაცემა უნდა განხორციელებულიყო წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად, ხოლო 2006 წლის 29 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი «საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ», რომლის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ასევე აღიარებდა წინა წლებში წარმოქმნილ ფაქტობრივ დავალიანებებს და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გამოეყენებინათ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არსებული დავალიანების დასაფარავად. შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებას და რომლისთვისაც კარგად იყო ცნობილი მოსარჩელის მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების არსებობა, მის ანაზღაურებაზე უარი, არსებული სახელმწიფო პოლიტიკის საწინააღმდეგო და შესაბამისად, კანონშესაბამო იყო. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა 1998-2000 წლის სახელფასო დავალიანებისა და კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში, საფუძვლიანი იყო და ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2000 წლის 28 ივნისის საქართველოს კანონის «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, თანახმად, კვების ულუფა არ განიხილებოდა საჯარო მოხელის შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) შემადგენელ ნაწილად და იგი განეკუთვნებოდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩევეების მოთხოვნა 2003 წლის კვების კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე, ვერ იქნებოდა გაზიარებული, რამდენადაც მოსარჩევეებს გაშვებული ჰქონდათ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოაპსუხის მიერ მოქმედების განხორციელებლობა – სახელფასო დავალიანების გაუცემლობა, პირდაპირ და უშუალო ინდივიდუალურ ზიანს აყენებდა მოსარჩევეთა კანონიერ უფლებასა და ინტერესს, რის გამოც საქმეზე გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონო იყო და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩევის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანდა გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალბდა, განეხორციელებინა ეს მოქმედება ან თავი შეეკავებინა ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ვ. ზ-ოვის, მ. თ-იასა და სხვათა წარმომადგენელმა – გ. ი-შვილმა, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტება და შესწორების შეტანა.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ასევე შსს ქ. თბილისის მთავარმა სამმართველომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტება.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 25 ნოემბრის განჩინებით ვ. ზ-ოვის, მ. თ-იასა და სხვათა წარმომადგენლის – გ. ი-შვილის, ასევე შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს განცხადებები არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარმა სამმართველომ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, სასამართლოს მიერ არასრულყოფილად იქნა გამოკვლეული საქმის მასალები, რაც გადაწყვეტილების მიღებისას არაზუსტი ოდენობით თანხის დაანგარიშებაში გამოიხატა.

კასატორის მოსაზრებით, აპელანტების – მ. თ-იასა და გ. მ-შვილის მიმართ გაცემული 2009 წლის 10 აპრილის ფინანსური დავალიანების შესახებ ცნობის შესაბამისად, მათ სახელზე დარიცხული და ხელზე გასაცემი თანხები სხვადასხვა, საშემოსავლო დაქვითვის გათვალისწინების გამო. 2009 წლის 10 აპრილის 127/7/6/4-თ/10 და 127/7/6/4-მ/27 ფინანსური დავალიანების შესახებ ცნობების მიხედვით, ყოველი თვის ბოლოს ცალკეული კომპონენტებისაგან შემდგარ ხელფასს ერთიანად აკლდებოდა საშემოსავლო გადასახადი და ხდებოდა ხელზე გასაცემი თანხების დათვლა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი, მ. თ-იას 1998 წლის სახელფასო დავალიანება – 548,38 ლარი, 1999 წლის კვება – 177 ლარი, 2000 წლის კვება – 236 ლარი, სულ 961,38 ლარი; გ. მ-შვილის: 1998 წლის სახელფასო დავალიანება – 532,09 ლარი, 1999 წლის კვება – 177 ლარი, 2000 წლის კვება – 236 ლარი, სულ – 945,09 ლარი. მოთხოვნის დაკმაყოფილებისას არ მომხდარა საშემოსავლო გადასახადის დაქვითვის გათვალისწინება, რის გამოც, მოსარჩევეებს დაუკმაყოფილდათ იმაზე მეტი, ვიდრე მათი მოთხოვნა იყო, ანუ მითითებული ცნობების მიხედვით, ხელზე მისაღებ თანხაზე მეტი. კერძოდ, მ. თ-იას – 272,90 ლარი (საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით) 961,38 ლარი, სულ 1234,28 ლარი; გ. მ-შვილის – 251,85 ლარი (საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით) და 945,09 ლარი, სულ – 1196,94 ლარი.

კასატორის მითითებით, შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ, 2009 წლის 20 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილ იქნა განცხადება 2009 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ, რასაც მეტი სიცხადისთვის დაერთო ფინანსური დავალიანების შესახებ ახალი ცნობა მ. თ-იასა და გ. მ-შვილის მიმართ, სადაც აღნიშნული დაქვითვა გათვალისწინებულ იქნა სწორედ ხელფასის შემადგენელი ცალკეული კომპონენტებიდან და მიღებულ იქნა შესაბამისი ჯამური მაჩვენებლები. კასატორის აზრით, სასამართლო არ უნდა გასცდნოდა მისი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული და დაუკმაყოფილებელი თანხების შეჯამებით მოსარჩევეთა მიერ რეალურად ხელზე ასაღები თანხის ოდენობას. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოს განჩინებით უარი ითქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 23 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს შსს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება მოსარჩევე მ. თ-იას სასარგებლოდ 961,38 ლარისა და მოსარჩევე გ. მ-შვილის სასარგებლოდ 945,09 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394. «ე» მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, სა-

სამართლომ სრულყოფილად არ გამოკვლია საქმის მასალები და სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

სსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასაციის მოტივს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად დაიანგარიშა მოსარჩევეებზე გასაცემი თანხების ოდენობა, კერძოდ საქმეში წარმოდგენილია 2009 წლის 17 ნოემბრის ცნობა გ. მ-შვილისა და მ. თ-იას სახელფასო დავალიანების თაობაზე, რომელიც წინააღმდეგობრივია იმ მტკიცებულებასთან – ცნობასთან, რომელსაც დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მოსარჩევეებზე გასაცემი თანხების ხელზე ასაღები და დაქვითვის ოდენობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი ცნობები ურთიერთწინააღმდეგობრივია და სხვადასხვა მონაცემებს ასახავს, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში სადავოა მ. თ-იას სასარგებლოდ 1998 წლის სახელფასო დავალიანება – 548,38 ლარი, 1999 წლის კვება – 177 ლარი, 2000 წლის კვება – 236 ლარი, სულ 961,38 ლარი ხოლო გ. მ-შვილის სასარგებლოდ 1998 წლის სახელფასო დავალიანება – 532,09 ლარი, 1999 წლის კვება – 177 ლარი, 2000 წლის კვება 236 ლარი, სულ 945,09 ლარი. აღნიშნული თანხების დაკისრებისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქმეში არსებული 2009 წლის 10 აპრილის ცნობებით, რომლის თანახმად მ. თ-იას სახელფასო დავალიანება შეადგენდა 1193,02 ლარს, ხოლო გ. მ-შვილის სახელფასო დავალიანება 1159,86 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მ. თ-იას და გ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, მ. თ-იას სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა 272,90 ლარის გადახდა, ხოლო გ. მ-შვილის სასარგებლოდ – 251,85 ლარის გადახდა, ხოლო სარჩელი 1998 წლის სახელფასო დავალიანებისა და კვების კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა გ. მ-შვილის და მ. თ-იას მიერ სარჩელის დაუკმაყოფილებელ 1998 წლის სახელფასო დავალიანებისა და კვების კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ანუ მ. თ-იას მიერ (1193,02-272,90) 920, 12 ლარის ნაწილში 2009 წლის 10 აპრილის ცნობის თანახმად, და გ. მ-შვილის მიერ (1159,86-251,85) 908, 01 ლარის ნაწილში, 2009 წლის 10 აპრილის ცნობის თანახმად. საქმეში წარმოდგენილი 2009 წლის 19 ნოემბრის ცნობის თანახმად, გ. მ-შვილის 1998 წლის ხელზე გასაცემი ხელფასი, 1999 და 2000 წლების კვების კომპენსაცია სულ შეადგენს 577,61 ლარს, ხოლო მ. თ-იას 1998 წლის ხელფასი, 1999 და 2000 წლების კვების კომპენსაცია სულ – 778, 52 ლარს. აღნიშნული მტკიცებულება საერთოდ არ არის შეფასებული სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისთვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. ამასთან, «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლი, 2000 წლის 28 ივნისის 1413 კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად, პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნებაში გულისხმობდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს, მოპასუხე მხარეს და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. დისპოზიციურობის პრინციპი ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია საპროცესო სამართალში, რაც ნების ავტონომიიდან გამომდინარეობს და თავის მხრივ, გულისხმობს, რომ მხარეები თავისუფალნი არიან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო შეზღუდულია დისპოზიციურობის პრინციპით, რის გამოც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასაციის მოტივს, რომ მ. თ-იასა და გ. მ-შვილის მიმართ გაცემული 2009 წლის 10 აპრილის ფინანსური დავალიანების შესახებ ცნობის შესაბამისად, მათ სახელზე დარიცხული და ხელზე გასაცემი თანხები სხვადასხვაა, საშემოსავლო დაქვითვის გათვალისწინების გამო.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას შეფასება არ მისცა საქმეში არსებულ ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებს (სახელფასო დავალიანების ცნობები), შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, ოფიციალობის პრინციპის საფუძველზე სარწმუნოდ დაადგინოს ფაქტობრივი გარემოება, თუ კონკრეტულად რა ოდენობის თანხა უნდა გაიცეს მოსარჩელებზე – მ. თ-იასა და გ. მ-შვილზე, აღნიშნულის შეფასების შემდეგ სასამართლომ უნდა გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ, სარჩელი რა ოდენობის თანხის ნაწილში ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე უნდა დაადგინოს მ. თ-იასა და გ. მ-შვილის მიმართ სახელფასო დავალიანების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებისას გათვალისწინებულია თუ არა საშემოსავლო გადასახადის დაქვითვა, რამდენადაც ის ფაქტი, სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას შეფასდა თუ არა ხელზე გასაცემი და დასაქვითი თანხების ოდენობა საქმის მასალებით და წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას შეფასება უნდა მისცეს აღნიშნულ გარემოებას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისი აღმოჩნდა მოსარჩელეთა (მ. თ-ია და გ. მ-შვილი) მიმართ არსებული ხელზე მისაღები თანხების ოდენობის განსაზღვრისათვის, სააპელაციო სასამართლომ უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები, შეაფასოს და მათი გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძველები, რის გამოც, სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. ამდენად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 399-ე, 408.2 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კვების კომპენსაციის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-33-32(კ-10)

5 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 1 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – მ. წ-შვილის მიმართ თანხის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ მ. წ-შვილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის 2004 წლის 26 იანვრის '214 ბრძანებით, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობის თანახმად, 2004 წლის 15 იანვრიდან დაინიშნა სამხედრო მოსამსახურედ.

მოსარჩელის განმარტებით, სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუ-

სის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობს. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აქვს გამოყოფილი ასიგნებები და მათი მიზნობრივად გამოყენება სამინისტროს ვალდებულებაა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაზღვრავს ხელფასის ოდენობას, კვების, სანიტოე უზრუნველყოფისა და წვრთნისა და აღჭურვისთვის განსახორციელებლად წინასწარ დაგეგმავს ფულად სახსრებს, იგი ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თითოეული ლარი განკარგოს დანიშნულებისამებრ ანუ უზრუნველყოს საქართველოს შეიარაღებული ძალები პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიცირებული სამხედრო პერსონალით.

კონტრაქტის 7.1 პუნქტის შესაბამისად, კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურის ინიციატივით ან ბრალეულობით ის (კონტრაქტით მომსახურე) ვალდებულია აანაზღაუროს სწავლის პერიოდში (3 თვე) მასზე დახარჯული თანხა.

მოსარჩელის მითითებით, მოპასუხე – მ. წ-შვილი სამხედრო შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილ იქნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 23 ოქტომბრის 12427 ბრძანებით კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხეს – მ. წ-შვილს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 1236,62 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, «სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფო შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული თავისებურებებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.»

მხარეთა შორის დადებული კონტრაქტი არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ვინაიდან «სამხედრო ვალდებულებების და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონტრაქტო – პროფესიული სამსახური არის სამხედრო სამსახურის ერთ-ერთი სახეობა, ხოლო «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, კონტრაქტის 7.1 მუხლის თანახმად, კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურის ინიციატივით ან ბრალეულობით, ის ვალდებულია აანაზღაუროს სწავლების პერიოდში (3 თვე) მასზე დახარჯული თანხა. ამავე კონტრაქტის 7.2 მუხლის შესაბამისად, სამსახურებრივ საწესდებო დისციპლინარულ მოთხოვნათა დარღვევის შედეგად, სამსახურისადმი მატერიალური ზარალის მიყენების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და ხელშეკრულების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ კრედიტორმა შეძლოს დავა ზიანის გამო, უნდა იყოს რამდენიმე პირობის ერთობლიობა, კერძოდ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ბრალეული შეუსრულებლობა და უშუალოდ ასეთი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი.

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხე მხარის მომზადებაზე დახარჯული თანხის – 1236,62 ლარის ანაზღაურების თაობაზე, ფაქტობრივად არის არა ზიანის ანაზღაურება, არამედ უკვე გადახდილი ხელფასის თანხის უკან დაბრუნება. არსებითია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მ. წ-შვილზე ხელფასის სახით გადახდილ თანხას განიხილავს როგორც სწავლების პერიოდში მოპასუხეზე სწავლებისათვის დახარჯულ თანხად, აგრეთვე ზიანად, რომელიც მან გასწია მის მომზადებაზე.

«სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამხედრო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული სახე, რომელიც მოიცავს სავალდებულო ვადიან საკონტრაქტო (პროფესიულ) პირობებსა და კადრის სამხედრო სამსახურს.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ... რომელიც სამხედრო სამსახურს გადის საქართველოს სამხედრო ძალებში ან სამხედრო ძალების რეზერვის პირველ თანრიგში.

სასამართლოს მითითებით, მოპასუხე მ. წ-შვილი იმყოფებოდა რა ვადიან საკონტრაქტო სამსახურში, იმედროულად წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეს. შესაბამისად, მასზე უნდა გავრცელდეს ყველა ის საკანონ-

მდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დებულებანი, რომლებიც შეეხება სამხედრო მოსამსახურეს, პირის სამხედრო სამსახურში ყოფნას, სამხედრო სამსახურის გავლას. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. უდავოა, რომ შრომის ანაზღაურების ნაწილში სამხედრო მოსამსახურეებზე უნდა გავრცელდეს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის ნორმები; ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფო ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

ხელშეკრულების დადების მომენტიდან ხელშეკრულების შეწყვეტის დროის შუალედში მოპასუხე მხარე ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ შრომით მოვალეობას, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კი იღებდა რა ამ შესრულებას, საპასუხოდ გასცემდა შესრულებული სამუშაოს ადეკვატურ შრომით ანაზღაურებას – ხელფასს, რითაც ახორციელებდა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით ნაკისრ ვალდებულებას.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის) უსაფუძვლო გამდიდრებიდან ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

სასამართლოს მითითებით, 2004 წლის 15 იანვარს დადებული ხელშეკრულების მხარეები არ შეთანხმებულან გადახდილი ხელფასის გამო გაწეული ხარჯების ანაზღაურების, უკან დაბრუნების ვალდებულებებზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ არის უფლებამოსილი 2004 წლის 15 იანვრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოითხოვოს ისეთი ვალდებულების შესრულება, რაც არ ყოფილა შეთანხმებული ხელშეკრულებით და რაც თავისი არსით კანონსაწინააღმდეგაა. პირიქით – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ზემოხსენებული ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის საფუძველზე იკისრა ვალდებულება, გადაუხადოს მ. წ-შვილს ხელფასი და უზრუნველყოს ის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურითა და შესაბამისი პირობებით, მათ შორის ვალდებულებით გასწიოს მისი (სამხედრო პირის) კმაყოფის ყველა ხარჯი; მოსარჩელე არ ხდის სადავოდ იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მ. წ-შვილმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი შრომითი ვალდებულებები, რომ მან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიიღო შრომის ანაზღაურება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის შესაბამისად, თუ ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მხარეებს უზრუნველბათ მიღებული შესრულება და სარგებელი, თუ ხელშეკრულების შესრულების ერთი მხარე ითხოვს მეორე მხარისგან სარგებლის დაბრუნებას, იგი ვალდებულია დაუბრუნოს ხელშეკრულების მეორე მხარეს მიღებული შესრულება. სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელე არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს ხელფასის უკან დაბრუნება, სწორედ იმ მოტივით, რომ ხელფასი არ წარმოადგენს არც ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეულ ზიანს და არც სამხედრო მოსამსახურის სწავლებაზე გაწეულ ხარჯს. სასამართლოს განმარტებით, სამხედრო მოსამსახურის სწავლებისათვის გაწეული ხარჯი ეს არის ფულადი სახსრები, რომელიც უნდა მოხმარდეს მოსამსახურის ფიზიკური და ინტელექტუალური წვრთნის პროცესში ადამიანური და მატერიალური რესურსის გამოყენებას, კერძოდ, ინსტრუქტორების მასწავლებლების დაქირავებისთვის გაწეული ხარჯი, ვარჯიშის დროს გახარჯული ტყვია-წამლის, ტრანსპორტირების ხარჯი, ნებისმიერი სახის ხარჯი, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული სამხედრო პირთა სწავლების პროცესის ორგანიზებასა და განხორციელებასთან; მოსარჩელე მხარეს დავის განხილვისას არა თუ არ წარმოდგენია ასეთი ტიპის რეალურად გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულებანი, მან სარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველად მიუთითა ისეთი გარემოებანი, როგორცაა ხელფასის ხარჯის გაწევის გარემოება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ დასკვნებს და დამატებით, მიუთითა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს; დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. ხელშეკრულების დადების მომენტიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე დროის შუალედში მოპასუხე მ. წ-შვილი ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ შრომით მოვალეობას, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კი იღებდა რა ამ

შესრულებას, საპასუხოდ გაცემდა შესრულებული სამუშაოს ადეკვატურ შრომით ანაზღაურებას – ხელფასს. ხელფასი არ წარმოადგენს არც ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეულ ზიანს და არც სამხედრო მოსამსახურის სწავლებაზე გაწეულ ხარჯს, რის გამოც დაუშვებელია სამხედრო მოსამსახურეზე გაცემულ ხელფასზე დახარჯული თანხები მიჩნეულ იქნეს სწავლებისათვის დახარჯულ თანხად.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მითითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ხელშეკრულების 7.1 პუნქტი, რომლის შესაბამისადაც, მოპასუხემ უნდა გადაიხადოს არა სწავლებაზე (ან სწავლის ღირებულება) დახარჯული თანხა (როგორც სასამართლომ განმარტა), არამედ სწავლების პერიოდში (3 თვე) მასზე დახარჯული თანხა, რასაც ბუნებრივია სხვა თანხებთან ერთად, შეადგენს მასზე დახარჯული ხელფასისა და კვების თანხა, რომელიც ხელშეკრულების 5.1 პუნქტის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივნისის 1274 ბრძანებულებით განსაზღვრული ოდენობაა.

შესაბამისად, სასამართლო გაცემა მხარეთა სახელშეკრულებო ნებას, რომლის მიხედვითაც, კონტრაქტის პირობების დარღვევისათვის, მხარის ფულადი პასუხისმგებლობა განისაზღვრა კონტრაქტის მოქმედების გარკვეული დროის პერიოდში (ამ შემთხვევაში პირველი სამი თვის განმავლობაში) მასზე დახარჯული ყოველგვარი თანხის ოდენობით, რომელთა რიცხვს განეკუთვნება სამინისტროსგან მოთხოვნილი თანხაც.

კასატორის განმარტებით, სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი გარემოებანი სრულ წინააღმდეგობაშია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნებთან, ვინაიდან, სწორედ იმ შემთხვევაში თუ სამხედრო მოსამსახურე ვადამდე შეწყვეტს კონტრაქტს, ვალდებულია აანაზღაუროს მასზე დახარჯული თანხა. რის გამოც სასამართლოს მტკიცება, რომ მოსარჩელის კონტრაქტის შინაარსიდან გამომდინარე არ აქვს მოთხოვნის უფლება არამართებულია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. წ-შვილისათვის ხელფასის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო კვების კომპენსაციის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ მ. წ-შვილისათვის კვების კომპენსაციის – 286.5 ლარის დაკისრების საფუძვლიანობა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება ხელშეკრულების შეფასების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და თავის მხრივ განმარტავს შემდეგს: კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოდებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის პრინციპით, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია თავდაცვის მინისტრის სამხედრო ქვედანაყოფში სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. მითითებული კონტრაქტის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დადებულია სწორედ ზემოაღნიშნული ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას.

საკასაციო სასამართლო ეთნახმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის თაობაზე და ადასტურებს სასამართლოს მხრიდან ხელშეკრულების შესახებ წარმოდგენილი მოტივაციის მართებულობას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 23 ოქტომბრის 12427 ბრძანებით მ. წ-შვილი კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, რომელიც იწვევს მხარეთა ორმხრივ ვალდებულებების გაქარწყლებას და ახალი ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ მხარეებმა ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დაბრუნონ (სკ-ის 352.1 მუხ.). «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანამად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაბამისად, მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა შეადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას, ამდენად მოსარჩელის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ხელფასის თანხის დაბრუნების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო რაც შეეხება სასურსათო ულუფას (286,5 ლარი), საკასაციო სასამართლო თვლის, რომ იგი არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს, ამასთანავე ხელშეკრულებიდან გასვლა განპირობებულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც სკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 407-ე მუხლის თანახმად ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. წ-შვილისათვის კვების კომპენსაციის – 286,5 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. წ-შვილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს კვების კომპენსაციის – 286.5 ლარის ანაზღაურება;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის დარღვევისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება
(კვების კომპენსაცია)**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

18ს-1620-1548(კ-09)

5 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 22 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს მოპასუხის – ნ. დ-ძის მიმართ თანხის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ ნ. დ-ძე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 1 აპრილის 1822 ბრძანებით, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობის თანახმად, 2005 წლის 31 მარტიდან დაინიშნა სამხედრო მოსამსახურედ.

მოსარჩელის განმარტებით, სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით, რაც გულისხმობს დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებას, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობს. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აქვს გამოყოფილი ასიგნებები და მათი მიზნობრივად გამოყენება სამინისტროს ვალდებულებაა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაზღვრავს ხელფასის ოდენობას, კვების, სანივთე უზრუნველყოფისა და წვრთნისა და აღჭურვისთვის განსახორციელებლად წინასწარ დაგეგმავს ფულად სახსრებს, იგი ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თითოეული ლარი განკარგოს დანიშნულებისამებრ ანუ უზრუნველყოს საქართველოს შეიარაღებული ძალები პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიცირებული სამხედრო პერსონალით.

კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, «სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით საშუალოდ 1400 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება მთელი თვის ხელფასის შესაბამისად; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 1000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

მოსარჩელის მითითებით, მოპასუხე – ნ. დ-ძე სამხედრო შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილ იქნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 ნოემბერს 13061 ბრძანებით 2005 წლის 14 ნოემბრიდან სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

«სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, საკონტრაქტო სამსახურის გამვლელთათვის დადგენილია არანაკლებ 3-წლიანი ვადა, ხოლო ნ. დ-ძეს ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიხედვით, ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება 4 წელი ემსახურა შეიარაღებულ ძალებში. კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების შეწყვეტიდან ათი დღის ვადაში, მოპასუხე ვალდებული გახდა აუნაზღაურებინა სამინისტროსათვის მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეადგენდა 14000 ლარს, ხოლო 3.2 პუნქტი სამხედრო მოსამსახურის მომზადების პერიოდად განსაზღვრავს სამხედრო სამსახურის პირველ სამ თვეს, მოპასუხე – ნ. დ-ძე კი, როგორც დათხოვნის ბრძანებიდან ირკვევა გათავისუფლებულია შეიარაღებული ძალებიდან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტით (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო), რის გამოც მასზე უნდა გავრცელდეს კონტრაქტის 7.3 პუნქტის მოქმედება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მოპასუხეს – ნ. დ-ძეს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა ჯარიმის – 14 000 ლარის, ზიანის – 3467,52 ლარისა და პირგასამტეხლოს – 14 000 ლარის 0,2%-ის ოდენობის ყოველდღიურად დაკისრება, 2005 წლის 25 ნოემბრიდან ძირითადი თანხის გადახდამდე.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება ნ. დ-ძის მიმართ ხელშეკრულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების ნაწილში განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული განჩინება სკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი სკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივლისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინება და საქმე განსჯადობით ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელზე ნ. დ-ძისათვის ზიანის სახით – 3467,52 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. იმავე კოდექსის 65¹ მუხლის პირველი ნაწილით კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ასეთ პირობებში მის მიმართ არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულების თაობაზე და მოსარჩელე ითხოვს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის გამო სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. სარჩელი ეფუძნება მხარეთა შორის სამხედრო მოსამსახურის თაობაზე დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას. კერძოდ, სამხედრო მოსამსახურის მიერ ხელშეკრულების (კონტრაქტის) 7.3 მუხლის არაჯეროვან შესრულებას. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ნ. დ-ძეს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რაც თვით ხელშეკრულების მუხლებით არის გათვალისწინებული და შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებებს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სამხედრო მოსამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ დამსაქმებლის მიერ სათანადო ანაზღაურების – ხელფასის სახით ნ. დ-ძეს 2005 წლის 31 მარტიდან 2005 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით მიღებული აქვს 2 753,52 ლარი და სასურსათო ულუფა – 714 ლარი, სულ – 3467,52 ლარი.

კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის თანახმად, «სამხედრო მოსამსახურის» მიერ სამხედრო მოსამსახურის ვადა შეადგენს 4 წელს...», 3.2 პუნქტით: «სამხედრო მოსამსახურის პირველი 3 თვე შეადგენს «სამხედრო მოსამსახურის» სწავლებისა და მომზადების პერიოდს, რაც შედის 3.1 მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში...». მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის შესაბამისად, «სამხედრო მოსამსახურეს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მიეცემა ანაზღაურება საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით დადგენილი 1 ა) კატეგორიის ხელფასის სახით თვეში 447 ლარის ოდენობით. მე-5 მუხლის 5.1.2 პუნქტის თანახმად სამინისტრო ვალდებულია: სამხედრო მოსამსახურეს გადაუხადოს 4.1 მუხლში აღნიშნული ხელფასი».

კონტრაქტის 5.1.5 მუხლით სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს სამხედრო მოსამსახურე კანონმდებლობით დადგენილი სასურსათო ულუფით.

აღნიშნული კონტრაქტიდან გამომდინარე, უდავოა, რომ სამხედრო მოსამსახურე კონტრაქტის გაფორმებიდან, მათ შორის, მომზადების პერიოდშიც უზრუნველყოფილია სათანადო ანაზღაურებით, ანუ ხელფასითა და სასურსათო ულუფით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურის მხრიდან მიყენებულ ზიანს უწოდებს იმ ხარჯს, რაც ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე იქნა გაწეული და ამ თანხას განსაზღვრავს ნ. დ-მისათვის 2005 წლის 31 მარტიდან – 2005 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით გადახდილი თანხით.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო მოსამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება არ განსაზღვრავს რა ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის შეწყვეტის პირობებში მოსამსახურის პასუხისმგებლობას, შესაბამისად, უსაფუძვლოა სამხედრო მოსამსახურის მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფდა საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურის ეტაპობრივ წვრთნასა და მომზადებას ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე დასახარჯი თანხების ისეთი აუცილებელი კომპონენტები, როგორც არის გადასახდელი ხელფასი. აღსანიშნავია, რომ ხელფასის ზრდა გამოწვეული იყო სწორედ იმ გარემოებით, რომ პირი, რომელიც ვალდებულებას აიღებდა სრული 4 წლის ვადით ემსახურა სამხედრო მოსამსახურედ 4 წლის განმავლობაში მიიღებდა შესაბამისი ოდენობის ანაზღაურებას, რომლის გაცემა ხორციელდებოდა ეტაპობრივად და ის არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა ანალოგიური ოდენობის, თუ სამხედრო მოსამსახურე სხვა უფრო მოკლე ვადით სამსახურის გავლის ვალდებულებას იკისრებდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით განპირობებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტით, თავდაცვის სამინისტრომ ვერ მიაღწია მიზანს, ვერ მიიღო პროფესიულად გაწვრთნილი სამხედრო მოსამსახურე, ხოლო მის მომზადებაზე დახარჯული საბიუჯეტო თანხები (მათ შორის, სახელფასო თანხები) უშედეგოდ დაიხარჯა და იგივე დონის სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე სამინისტრო იძულებული გახდა კვლავ გაეწია შესაბამისი დანახარჯები. ამდენად, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ თითქოს ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებისას გაცემული ხელფასი არ არის მიზეზობრივ კავშირში მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან.

შესაბამისად, თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისგან არ ითხოვს მასზე გადახდილ ხელფასს, არამედ ეს არის მოპასუხის სანაცვლოდ დასაქმებულ სამხედრო მოსამსახურეზე დახარჯული თანხა. ე.ი. სამინისტრო ითხოვს ზიანის სახით იმ თანხას, რომლის ხელახალ გადახდაც მას მოუწია ახალი სამხედრო მოსამსახურის იმ დონემდე გაწვრთნისათვის, რა დონეზეც იყო მოპასუხე კონტრაქტის დარღვევის დროისათვის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება ხელშეკრულების შეფასების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და თავის მხრივ განმარტავს შემდეგს: კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოდებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის პრინციპით, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია თავდაცვის მინისტრის სამხედრო ქვედანაყოფში სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. მითითებული კონტრაქტის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დადებულია სწორედ ზემოაღნიშნული ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას.

საკასაციო სასამართლო ეთნახმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის თაობაზე და ადასტურებს სასამართლოს მხრიდან ხელშეკრულების 7.3 მუხლის თაობაზე განმარტების შესახებ წარმოდგენილი მოტივაციის მართებულობას.

ხელშეკრულების 7.3 მუხლი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებსა და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი. «სამხედრო მოსამსახურე» უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) 2 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით 10000 ლარის ოდენობით; გ) 3 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

ამდენად, როგორც ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, სამხედრო მოსამსახურეს ფულადი თანხების – ჯარიმის გადახდის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ კონტრაქტის 1-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. რაც შეეხება ერთ წლამდე პერიოდს, აღნიშნულზე მხარეთა შორის ჯარიმა-საურავების თაობაზე შეთანხმება არ არსებობს, რაც გამორიცხავს სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის დაკისრებას კონტრაქტის ერთ წლამდე შეწყვეტის შემთხვევაში.

საქმეზე კი უდავოა დადგენილი, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ნ. დ-მეს შორის ხელშეკრულება დაიდო 2005 წლის 31 მარტს და შეწყდა 2005 წლის 22 ნოემბერს. ამდენად, ხელშეკრულების მოქმედების ვადამ შეადგინა 7 თვე და 14 დღე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 7.3 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამხედრო ძალებში სულ მცირე 1 წლის სამსახური, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ამდენად, არ არსებობს მოპასუხის მიმართ ხელშეკრულების 7.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების სახით საჯარიმო თანხების გამოყენების საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და ხელშეკრულების შესახებ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 ნოემბრის '3061 ბრძანებით ნ. დ-მე კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, რომელიც იწვევს მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების გაქარწყლებას და ახალი ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ, მხარეებმა ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დააბრუნონ (სკ-ის 352.1 მუხ.). «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაბამისად, მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა შეადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას, ამდენად მოსარჩელის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ხელფასის თანხის დაბრუნების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო რაც შეეხება სასურსათო ულუფას (714 ლარს), საკასაციო სასამართლო თვლის, რომ იგი არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს, ამასთანავე ხელშეკრულებიდან გასვლა განპირობებულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც სკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 407-ე მუხლის თანახმად, ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნ. დ-ძისათვის კვების კომპენსაციის – 714 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. დ-ძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს კვების კომპენსაციის – 714 ლარის ანაზღაურება;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კვების კომპენსაციის ანაზღაურება

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

18ს-1554-1483(კ-09)

25 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 17 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარგებლო განცხადებით მიმართა წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე – ვ. ა-იანის მიმართ თანხის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარგებლო განცხადებაში მიუთითებდა, რომ ვ. ა-იანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 11 მაისის 1344 ბრძანებით, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობის თანახმად, 2005 წლის 1 მაისიდან დაინიშნა სამხედრო მოსამსახურედ.

მოსარჩელის განმარტებით, სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობს. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აქვს გამოყოფილი ასიგნებები და მათი მიზნობრივად გამოყენება სამინისტროს ვალდებულებაა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაზღვრავს ხელფასის ოდენობას, კვების, სანიტო-უზრუნველყოფისა და წვრთნისა და აღჭურვისთვის განსახორციელებლად წინასწარ დაგეგმავს ფულად სახსრებს, იგი ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თითოეული ლარი განკარგოს დანიშნულებისამებრ ანუ უზრუნველყოს საქართველოს შეიარაღებული ძალები პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიცირებული სამხედრო პერსონალით.

კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, «სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით საშუალოდ 1400 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება მთელი თვის ხელფასის შესაბამისად; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 1000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

მოსარჩელის მითითებით, მოპასუხე – ვ. ა-იანი სამხედრო შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილ იქნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 21 იანვრის 171 ბრძანებით 2005 წლის 22 ნოემბრიდან სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

«სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, საკონტრაქტო სამსახურის გამვლელთათვის დადგენილია არანაკლებ 3-წლიანი ვადა, ხოლო ვ. ა-იანს

ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიხედვით, ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება 4 წელი ემსახურა შეიარაღებულ ძალებში. კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების შეწყვეტიდან ათი დღის ვადაში, მოპასუხე ვალდებული გახდა აენაზღაურებინა სამინისტროსათვის მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეადგენდა 16092 ლარს, ხოლო 3.2 პუნქტი სამხედრო მოსამსახურის მომზადების პერიოდად განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურის პირველ სამ თვეს, მოპასუხე - ვ. ა-იანი კი, როგორც დათხოვნის ბრძანებიდან ირკვევა გათავისუფლებულია შეიარაღებული ძალებიდან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტით (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო), რის გამოც მასზე უნდა გავრცელდეს კონტრაქტის 7.3 პუნქტის მოქმედება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მოპასუხე - ვ. ა-იანს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა ჯარიმის - 16092 ლარის, ზიანის - 2956,73 ლარისა და პირგასამტეხლოს - 16092 ლარის 0,2%-ის ოდენობის ყოველდღიურად გადახდა, 2005 წლის 3 დეკემბრიდან ძირითადი თანხის გადახდამდე.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ სამხედრო მოსამსახურეს თანხის გადახდა ეკისრებოდა ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, როგორც საქმის მასალებით დადგენილია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მოპასუხეს შორის ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო ერთი წლის გასვლამდე, ვინაიდან ხელშეკრულება დადებული იყო 2005 წლის პირველ მაისს და მოპასუხე სამხედრო მოსამსახურიდან დათხოვნილ იქნა 2006 წლის 12 იანვრის 171 ბრძანებით, 2005 წლის 3 დეკემბრიდან.

სასამართლოს განმარტებით, კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, თავისი სურვილითა და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს, ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდებოდა, შეეწყვიტა ოთხწლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროსათვის მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები. კონტრაქტით აღნიშნული თანხების გადახდა დადგენილი იყო მხოლოდ ერთი, ორი ან სამი წლის სამხედრო მოსამსახურის გავლის შემთხვევაში. ვლადიმერ ახვლედიანს კი ნამსახურები ჰქონდა 6 თვე და 21 დღე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებით ადმინისტრაციული საქმიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო ვ. ა-იანის მიმართ ცალკე წარმოებდა გამოიყო სასარჩელო მოთხოვნა ზიანის - 2 956,73 ლარის დაკისრების ნაწილში და იგი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 24 სექტემბრის განჩინებით გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინება; საქმე განსახილველად დაუბრუნდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების ნაწილში დარჩა უცვლელად;

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ სამინისტროსა და ვ. ა-იანს შორის 2005 წლის პირველ მაისს დადებული ხელშეკრულება მიეკუთვნება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა კატეგორიას. სარჩელი ეფუძნება მითითებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, შესაბამისად სააპელაციო პალატის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას არ ქმნის ხელშეკრულების 7.3 მუხლი. ხელშეკრულების 7.3 მუხლი განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებსა და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს. იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი. ასეთ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონ-

ტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა, შემდეგი წესით: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14 000 ლარის ოდენობით. ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10 000 ლარის ოდენობით. გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5 000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ანაზღაურების წესი განსაზღვრულია ბოლო აზნაცით, რაც, თავის მხრივ, გამოირიცხავს სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას ერთ წლამდე სამხედრო სამსახურის შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამისად, კონტრაქტით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის მოთხოვნის უფლება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმოეშვება ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდეგ. დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ვ. ა-იანს შორის ხელშეკრულება შეწყდა პირველი წლის გასვლამდე – ხელშეკრულება დადებულია 2005 წლის პირველ მაისს, ხოლო დათხოვნილ იქნა 2005 წლის 22 ნოემბერიდან.

სასამართლოს განმარტებით, მართალია მოცემულ საქმეზე წარმოდგენილია 2005 წლის 6 ოქტომბრის დანართი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას ერთ წლამდე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მაგრამ აღნიშნული ეხება ჯარიმის თანხის დაკისრებას და ზიანის ანაზღაურების წესს არ არეგულირებს.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება ხელშეკრულების შეფასების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და თავის მხრივ, განმარტავს შემდეგს: კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოღებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის პრინციპით, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია თავდაცვის მინისტრის სამხედრო ქვედანაყოფში სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. მითითებული კონტრაქტის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დადებულია სწორედ ზემოაღნიშნული ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის თაობაზე და ადასტურებს სასამართლოს მხრიდან ხელშეკრულების 7.3 მუხლის თაობაზე განმარტების შესახებ წარმოდგენილი მოტივაციის მართებულობას.

ხელშეკრულების 7.3 მუხლი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძველს და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი. «სამხედრო მოსამსახურე» უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) 2 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით 10000 ლარის ოდე-

ნობით; გ) 3 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

ამდენად, როგორც ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, სამხედრო მოსამსახურეს ფულადი თანხების – ჯარიმის, გადახდის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ კონტრაქტის 1-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. რაც შეეხება ერთ წლამდე პერიოდს, აღნიშნულზე მხარეთა შორის ჯარიმა-საურავების თაობაზე შეთანხმება არ არსებობს, რაც გამორიცხავს სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის დაკისრებას კონტრაქტის ერთ წლამდე შეწყვეტის შემთხვევაში.

საქმეზე კი უდავოა დადგენილი, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ვ. ა-იანს შორის ხელშეკრულება დაიდო 2005 წლის 1 მაისს და შეწყდა 2005 წლის 22 ნოემბერს. ამდენად, ხელშეკრულების მოქმედების ვადამ შეადგინა 6 თვე და 21 დღე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 21 იანვრის 171 ბრძანებით ვ. ა-იანი კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, რომელიც იწვევს მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების გაქარწყლებას და ახალი ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ მხარეებმა ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დააბრუნონ (სკ-ის 352.1 მუხ.). «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაბამისად, მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა შეადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას, ამდენად მოსარჩელის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ხელფასის თანხის დაბრუნების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო რაც შეეხება სასურსათო ულუფას (612 ლარი), საკასაციო სასამართლო თვლის, რომ იგი არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს, ამასთანავე ხელშეკრულებიდან გასვლა განპირობებულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც სკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 407-ე მუხლის თანახმად ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებული კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ვ. ა-იანისათვის კვების კომპენსაციის – 612 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ა-იანს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს კვების კომპენსაციის – 612 ლარის ანაზღაურება;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შსს საჯარო მოხელის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებისა და კვების კომპენსაციის საფუძვლები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1608-1536(კ-09)

7 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 5 მაისს ნ. ქ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიმართ და მოითხოვა მოპასუხეს დავალეზო-და სახელფასო დავალიანების – 1 445 (ათას ოთხას ორმოცდახუთი) ლარის ოდენობით ანაზღაურება.

2009 წლის 14 მაისს ნ. ქ-შვილმა დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც მოითხოვა მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს დავალეზოდა სახელფასო დავალიანების, კერძოდ, 1998, 1999 და 2000 წლების კუთვნილი ხელფასის ანაზღაურება, რაც მთლიანობაში შეადგენდა 1 445, 40 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ქ-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს, მოსარჩელეს – ნ. ქ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 1999-2000 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, სულ 443,78 ლარის ოდენობით. მოსარჩელე ნ. ქ-შვილს უარი ეთქვა მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის 1998 წლის სახელფასო დავალიანების (მათ შორის კვების კომპენსაციის) ანაზღაურებაზე, საერთო ჯამში – 588,62 ლარის ოდენობით, ხანდაზმულობის გამო. მოსარჩელე ნ. ქ-შვილს უარი ეთქვა მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის 1999-2000 წლების ულუფის კომპენსაციის თანხის დაკისრებაზე – 413,00 ლარის ოდენობით, ხანდაზმულობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლო მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, ნ. ქ-შვილი შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოსთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, რის გამოც შრომითი-სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისას მასზე ვრცელდება აღნიშნული კანონის მოთხოვნები. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს 2009 წლის 10 მაისის 127/7/6/1-ქ.14 ცნობის თანახმად, მოსარჩელე ნ. ქ-შვილის 1998-1999-2000 წლების კუთვნილი სახელფასო დავალიანება შეადგენს 1 445, 40 ლარს.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო ხსენებული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებზე ვრცელდება აღნიშნული კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სასურსათო ულუფა წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახეებისგან, კერძოდ, სასურსათო ულუფისგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134¹ მუხლში.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმის შესახებ, რომ ხელფასზე დანამატს წარმოადგენს კვების კომპენსაცია და მის მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება. «საჯარო სამსახურის შესახებ კანონის» 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო, ხოლო სადავო ურთიერთობების დროს მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, დაწესებულება, რომელშიც მუშაობს თანამშრომელი, თვითონ არის პასუხისმგებელი ხელფასის ანაზღაურებაზე. «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მიხედვით, პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებს ხელფასს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლისათვის ხელფასის ანაზღაურებას ითვალისწინებს ასევე «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის 139 ბრძანებულების 55-ე მუხლიც.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 1998 წლის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ ხანდაზმულია, ვინაიდან, სარჩელი სასამართლოში შეტანილი იქნა 2009 წლის 5 მაისს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ქ-შვილმა, რომელმაც სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ქ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის პირველი მარტის განჩინებით ნ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დასაშვებად და საქმე განხილულ იქნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება სახელფასო დავალიანებისა და კვების (ულუფის) კომპენსაციის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ნ. ქ-შვილის სარჩელი 1998 წლის სახელფასო დავალიანების – 293,62 ლარისა და 1998-1999-2000 წლების კვების (ულუფის) კომპენსაციის – 708,00 ლარის, სულ – 1 001,62 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს კასატორის მოთხოვნაზე 1999-2000 წლების სახელფასო დავალიანების - 443,78 ლარის ოდენობით ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ნ. ქ-შვილის აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს 2009 წლის 10 მაისის '27/7/6/1-ქ/14 ცნობით დადგენილია, რომ ნ. ქ-შვილის 1998-1999-2000 წლების სახელფასო დავალიანება, მათ შორის, კვების (ულუფის) კომპენსაცია შეადგენს 1 445,40 ლარს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოსთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით დაცულია მოქალაქეთა შრომითი უფლებები და აღიარებულია შრომის სამართლებრივი ანაზღაურება. გარდა ამისა, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით კი დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნ. ქ-შვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოსთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა, როგორც საჯარო მოსამსახურე «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის '139 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» შესაბამისად. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახეზეა არა კერძო-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართალურითიერობიდან წარმოშობილი დავა. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა არ იზიარებს საქალაქო სასამართლოს დასაბუთებას მოსარჩელისათვის 1998 წლის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე უარის თქმასთან მიმართებაში და განმარტავს, რომ მოსარჩელე ნ. ქ-შვილსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის სამმართველოს შორის არსებული ურთიერთობა რეგულირდებოდა არა რაიმე სახის ხელშეკრულების, არამედ საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – ბრძანებების მეშვეობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ სასარჩელო მოთხოვნაზე ვერ გავრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი მოთხოვნათა ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა და ნ. ქ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა 1998 წლის სახელფასო დავალიანების – 293, 62 ლარის ოდენობით ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისთვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ასეთივე დანაწესი შეიცავდა მოსარჩელის სახელფასო დავალიანების წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის 1139 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» 55-ე მუხლი, რომლის პირველი აბზაციით დადგენილი იყო, რომ პოლიციაში სამსახურისათვის თანამშრომელი იღებდა ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლეოდათ), რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის, ისევე როგორც «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ დებულების» შესაბამისი ნორმებით დადგენილი იყო, რომ პოლიციის ხელფასი მოიცავდა არა მარტო თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, არამედ – ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას და სხვა. თუმცა 2000 წლის 28 ივნისის 1413 კანონით «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, ხსენებული კანონის 31-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, ხელფასი მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნ. ქ-შვილის წინაშე სახელფასო დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა 1998, 1999 და 2000 წლებში და დღეისათვის მოსარჩელე დავობს სწორედ ამ პერიოდში წარმოშობილ და შეუსრულებელ ვალდებულებებზე. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 1998, 1999, 2000 წლების კვების (ულუფის) კომპენსაცია და სახელფასო დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის ძველი რედაქციის მოქმედების პირობებში, რომლის დროსაც ხელფასში გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი განაკვეთი, არამედ – ნამსახურობის დანამატი, სასურსათო ულუფის ღირებულება და სხვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის, აგრეთვე «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» არც ერთი მუხლი არ შეიცავს დათქმას ახალი რედაქციის ნორმებისათვის უკუძალის მინიჭების თაობაზე. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების შესაბამისი მუხლების ახალი რედაქცია ძველ ურთიერთობებზე არ უნდა გავრცელდეს, რადგან კანონის ახალი ნორმას არ აქვს მინიჭებული უკუქმედების ძალა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა იქნეს ის სამართლებრივი ნორმები (იმ რედაქციის სამართლებრივი ნორმები), რომელთა მოქმედების დროსაც წარმოიშვა სახელფასო დავალიანება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134¹ მუხლზე (ან-გარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) რომლის თანახმად, დადგენილია და შესაბამისად აღიარებულია, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის გაცემა (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული კომპენსაციისა) უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად, ხოლო 2006 წლის 29 დეკემბერს მიღებული «საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ასევე აღირებს წინა წლებში წარმოქმნილ ფაქტობრივ დავალიანებებს და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, გამოიყენონ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არსებული დავალიანებების დასაფარავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებას, არ არსებობს მოსარჩელის მიმართ არსებული 1998 წლის სახელფასო დავალიანების – 293, 62 ლარისა და 1998-1999-2000 წლების კვების(ულუფის კომპენსაციის) – 708, 00 ლარის ოდენობით ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 სექტემბრის განჩინება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმარ-

თველოს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე და 33¹ მუხლების თანახმად, მოსარჩელის ნ. ქ-შვილის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1998 წლის სახელფასო დავალიანების – 293, 62 ლარისა და 1998-1999-2000 წლების კვების (უღლუფის) კომპენსაციის – 708,00 ლარის ოდენობით ანაზღაურება, რომელიც საერთო ჯამში შეადგენს 1 001,62 ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 სექტემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტი, მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოსათვის მოსარჩელე – ნ. ქ-შვილის სასარგებლოდ 1999-2000 წლების სახელფასო დავალიანების – 443,78 ლარის ანაზღაურების შესახებ.
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 სექტემბრის განჩინება მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოსათვის, მოსარჩელის – ნ. ქ-შვილის სასარგებლოდ 1998 წლის სახელფასო დავალიანების – 293,62 ლარისა და 1998-1999-2000 წლების კვების(უღლუფის) კომპენსაციის – 708,00 ლარის ოდენობით ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ნ. ქ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
5. მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს ნ. ქ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს 1998 წლის სახელფასო დავალიანების ანაზღაურება – 293,62 ლარის ოდენობით;
6. მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს ნ. ქ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს 1998-1999-2000 წლების კვების(უღლუფის) კომპენსაციის ანაზღაურება – 708,00 ლარის ოდენობით;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კვების კომპენსაციის ხანდაზმულობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-424-407(კ-10)

21 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 7 აგვისტოს ა. ს-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ ა. ს-მე 2001 წლამდე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში.

მოსარჩელის განმარტებით, სამსახურში მუშაობის დროს მიუღებელი დარჩა 1998 წლის ხელფასი – 308,26 ლარი, კვება – 192,34 ლარი, სულ – 500,60 ლარი და 1999 წლის ხელფასი – 150,38 ლარი, კვება – 94,40 ლარი, სულ – 244,78 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 1998-1999 წლების სახელფასო დავალიანების სულ – 745,38 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ს-მის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

ა. ს-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 1998 წლის ხელფასის – 308,26 ლარისა და 1999 წლის ხელფასის – 150,38 ლარის ანაზღაურება, ხოლო კვების კომპენსაციის ანაზღაურებაზე ეთქვა უარი ხანდაზმულობის მოტივით.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად – მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის გასამრჯელო. მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში.

სასამართლოს განმარტებით, «საბიუჯეტო სისტემის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ხელისუფლების ვალდებულებათა შესრულების მიზნით მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტია. «ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად – ბიუჯეტში თავს იყრის ფულადი სახსრები, რომელიც ხმარდება ქვეყნის ვალდებულებათა შესრულებას. ფინანსთა სამინისტრო ახდენს კანონით გათვალისწინებული თანხების გამოყოფას და შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელფასო დავალიანების გასტუმრებას.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად – მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს 2009 წლის «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-20 მუხლის თანახმად – წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს 2008 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებანი, იმ პირობით, რომ არ იქნება დამზღვეული აღნიშნული მუხლის მიხედვით ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ შესაბამის დაწესებულებასა და ორგანიზაციას. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად – საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

რაც შეეხება, 1998 და 1999 წლების კვების კომპენსაციის ანაზღაურებას, სასამართლოს განმარტებით, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად – სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სახელმწიფო კმაყოფაზე. ამავე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად – სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფო ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ასევე სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება და პროცენტული დანამატი. მითითებული ვალდებულებები პერიოდულად შესასრულებელია და ვინაიდან, პერიოდულად შესრულებული ვალდებულებები არ წესრიგდება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით ან/და შრომის კანონთა კოდექსით ან სპეციალური კანონით «სამხედრო მოსამსახურის შესახებ», მათ მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, შრომის კანონთა კოდექსის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად – ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ დღეს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო მისი უფლების დარღვევის შესახებ. ივარაუდება, რომ პირმა უნდა იცოდეს ან უნდა გაეგო მისი უფლების დარღვევის შესახებ. სწორედ ამ მომენტიდან იწყება ხანდაზმულობის ვადის დაწყება. სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად – თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დღიდან როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ს-ძისათვის ცნობილი იყო, რომ მოპასუხე არ უნაზღაურებდა კვების კომპენსაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მას წარმოეშვა მოთხოვნის უფლება მოპასუხის მიმართ თანხის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვაზე, რაც მოსარჩელეს არ განუხორციელებია 2009 წლის ივლისამდე.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. ს-ძემ და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

აპელანტი – ა. ს-ძე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმებას, რომლითაც უარი ეთქვა კვების კომპენსაციის ანაზღაურებაზე და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

მეორე აპელანტი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაკმაყოფილებულ ნაწილში გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ა. ს-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ა. ს-ძის სასარგებლოდ, დაეკისრა 1998-1999 წლების კვების კომპენსაციის – 286,18 ლა-

რის გადახდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, ხოლო რაც შეეხება, ა. ს-ძის მოთხოვნას – საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების ფულადი კომპენსაციის თანხის დაკისრების თაობაზე, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქალაქო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი, როდესაც 1998-1999 წლების კვების კომპენსაციის დავალიანება, ამ მუხლზე აპელირებით, მიიჩნია ხანდაზმულად, ვინაიდან, საქმეში წარმოდგენილია შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის მმართველობის საფინანსო უზრუნველყოფის სამმართველოს 2009 წლის 23 ივნისის 110-8/1564 წერილი, რომლითაც მოსარჩელეს ეცნობა, რომ «დავალიანების გაცემა მოხდება მას შემდეგ, როდესაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გამოყოფს ასიგნებებს მიზნობრივად დავალიანებების დასაფარად».

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად – ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ზემოაღნიშნული წერილით საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ პირდაპირ, ნათლად და გარკვევით აღიარა ა. ს-ძის მიმართ არსებული დავალიანება, რითაც ფაქტობრივად შეწყდა მოსარჩელის მიმართ, აღნიშნული დავალიანების ნაწილში, ხანდაზმულობის ვადის დენა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არ არსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11.2 «თ» ქვეპუნქტით სამხედრო მოსამსახურეებზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამდენად, ხელფასის არსა და მის შემადგენელ კომპონენტებზე მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს 1998-2000 წლებში მოქმედი «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მოთხოვნები, ხოლო ამ კანონმდებლობაში განსხვავებული დებულებების არარსებობის შემთხვევაში, სადავო ურთიერთობა უნდა მოგვარდეს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის დებულებებით, კერძოდ, 37-ე მუხლით (1998-2000 წლების რედაქციით), მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფინანსურ გასაცემელს მიეცეს ხელფასზე დანამატის სტატუსი და ჩაითვალოს ხელფასის შემადგენელ ელემენტად, საჭიროა, ამ ფულად გასაცემელს (კვარტალური პრემია, კვების კომპენსაცია), კანონმდებლობის მიხედვით, ჰქონდეს «დანამატის» სტატუსი.

კასატორის განმარტებით, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე პუნქტით (2001 წლამდე რედაქციით) სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, სანიმუშო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებული მაჩვენებლებისათვის სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება.

ამავე მუხლის მესამე პუნქტით – სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

ამავე მუხლის მესამე პუნქტით – ოფიცერს თანამდებობაზე ნამსახური კალენდარული წლების (მათ შორის, ყოფილი სსრკ-ის და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში) მიხედვით ეძლევა თანამდებობრივ და სამხედრო წოდებების ფულად სარგოებზე პროცენტული დანამატები ნამსახურობისათვის შემდეგი ოდენობით: 1-დან 2 წლამდე – 5%; 2-დან 5 წლამდე – 10%; 5-დან 10 წლამდე – 20%; 10-დან 15 წლამდე – 25%; 15-დან 20 წლამდე – 40%; 30 წელზე მეტი – 45%.

როგორც «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეოთხე პუნქტიდან ირკვევა, «დანამატის» სტატუსი მინიჭებული აქვს მხოლოდ ფულად თანხებს, რომლებიც დაიანგარიშება ნამსახური წლების მიხედვით. რაც შეეხება კვების კომპენსაციას «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე და მესამე პუნქტებიდან გამომდინარე, «დანამატის» სტატუსი არ აქვს მინიჭებული.

აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ კვების კომპენსაციის თანხები არ წარმოადგენს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.1 მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატებს და ისინი ხელფასისაგან დამოუკიდებელ ფულად გასაცემელს წარმოადგენს.

კასატორის განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნა კვების კომპენსაციის ნაწილში ხანდაზმულია, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლით – საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

აქედან გამომდინარე, კანონიერია საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობისას წარმოშობილი დავის დროს გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტია, მაგრამ მისი ნორმები ხშირ შემთხვევაში იმ ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებადაც გვევლინება, რომლებიც თავისი შინაარსით წარმოადგენს ადმინისტრაციულ (საჯარო) ურთიერთობებს.

საყურადღებოა, განისაზღვროს, მოსარჩელესა და თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული ურთიერთობა წარმოადგენდა თუ არა სახელშეკრულებო ურთიერთობას. აღნიშნული ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობა იყო იმ მარტივი გარემოებიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელის განცხადება – ნების გამოვლენა – თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამსახურის დაწყების შესახებ (ოფერტი) და სამინისტროს თანხმობა (აქცეფტი – ბრძანების სახით), მასთან შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ, ასევე ამ ორ სუბიექტს შორის ურთიერთობის და მათი უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები ერთობლიობაში წარმოადგენს მოსარჩელესა და სამინისტროს შორის ფაქტობრივი საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტს და ამის დასადასტურებლად სრულიად არ არის საჭირო ერთიანი, გარკვეულ სისტემაში მოყვანილი ან გარკვეული ფორმის მქონე დოკუმენტის – ხელშეკრულების არსებობა.

აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა არ ავალდებულებს მხარეებს კონკრეტული შინაარსისა და სტილის მქონე დოკუმენტის გაფორმებას ხელშეკრულების დადებისას. ხელშეკრულებათა ფორმები და სტილი შეიძლება იყოს განსხვავებული და შესაბამისად, წერილობითი განცხადება და ბრძანება თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ერთობლიობაში წარმოადგენს წერილობითი შრომითი ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

აღნიშნული მიდგომა სახელმწიფოს მიერ ასევე ფაქტობრივად აღიარებულია შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილითაც – პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

ის ფაქტი, რომ საჯარო სამსახურზე ვრცელდება შრომითი კანონმდებლობა, უდავოა, უფრო მეტიც, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. ამდენად, სახელფასო დავალიანებების ხანდაზმულობის საკითხზე, რომელიც არ წესრიგდება მითითებული კანონით, უნდა გავრცელდეს შესაბამისი კანონმდებლობა, ანუ: ა) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის ვალდებულებას მიეცა სახელშეკრულებო ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა; ბ) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივ საკითხზე მოქმედების განხორციელების ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა.

სსკ-ის 130-ე მუხლის მიხედვით, როგორც სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით განსაზღვრული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მოსარჩელეს უნდა მიეღო თითოეული თვის ან პერიოდის კვების კომპენსაციის გაცემისათვის დაწესებული დღის მეორე დღიდან.

როგორც ცნობილია, სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2009 წელს.

ამდენად, სარჩელის შეტანის დროს მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა როგორც სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით გათვალისწინებული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადები.

სსკ-ის 129-ე მუხლის გამოყენების უპირობო კანონიერებაზე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლიც, სადაც განმარტებულია, რომ წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ, გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართაც.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია საქმეში არსებული 2009 წლის 5 მაისის 110-ბ/1099 ცნობა ადმინისტრაციულ დაპირებად ვინაიდან, მასში მოცემული არ არის დაპირება, რომ სამომავლოდ ადმინისტრაციული ორგანო ანაზღაურებს დავალიანებას, არამედ შიარაღებული ძალების გენერალური შტაბის საფინანსო სამმართველოს მიერ გაცემულ წერილში ჩამოყალიბებულია დებულება სარჩელით მოთხოვნილი თანხების არა უპირობო ანაზღაურების შესახებ, არამედ მოსაზრება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა შესაბამისი ბიუჯეტის ასიგნებების გამოყოფის შემთხვევაში ხელახლა იქნება განხილული, რაც ბუნებრივია, არ წამოადგენს სწავის მე-9 მუხლის დისპოზიციამ ჩამოყალიბებულ ადმინისტრაციული დაპირების ძირითად არსს.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების გაქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა. ს-მე 2001 წლამდე მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის საფინანსო უზრუნველყოფის სამმართველოს¹ 10-8/8099 ცნობის თანახმად, მოსარჩელის მიმართ მოპასუხის დავალიანება შეადგენს: 1998 წლის ხელფასს – 308,26 ლარს, კვების კომპენსაციას – 192,34 ლარს. 1999 წლის ხელფასს – 150,38 ლარსა და კვების კომპენსაციას – 94,40 ლარს, სულ – 745,38 ლარს.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. კვების კომპენსაცია წარმოადგენს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ამდენად, სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ღებულობს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის – ულუფის სახით. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან – სასურსათო ულუფისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134¹ მუხლში. ამდენად, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა («საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134¹ მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, თუ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის საფინანსო უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ გაცემულ საინფორმაციო ხასიათის ცნობაში სახელფასო დავალიანებასთან ერთად, მითითებულია კვების ულუფის დავალიანებაზე, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების ულუფის დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის საფინანსო უზრუნველყოფის სამმართველოს ცნობა ატარებს ინფორმაციულ ხასიათს, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება კვების კომპენსაციის თანხის – 286,18 ლარის ა. ს-მის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში ა. ს-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

რაც შეეხება გასაჩივრებულ განჩინებას დანარჩენ ნაწილში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში განჩინება მიღებულია კანონის სწორი გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება გაზიარებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. ს-ძის მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის – 286.74 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სახელფასო დავალიანების – 458.64 ლარის დაკისრების ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პოლიციის თანამშრომლებზე ნამსახურების დანამატისა და კვების კომპენსაციის დავალიანების 2000 წლამდე ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ბს-1410-1374(კ-10)

19 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

გ. ხ-ამ სარჩელი აღძრა მარტვილის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხის – საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

გ. ხ-ა მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მარტვილის შს სამმართველოში, მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში და არის ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი. საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს 2010 წლის 13 იანვრის 136/6/7-6/11 ცნობის შესაბამისად, მის 1998, 1999, 2000 და 2003 წლების სახელფასო დავალიანებას შეადგენდა 1317,89 ლარი, მათ შორის ხელფასი – 528,26 ლარი, წელთა ნამსახურობის დანამატი – 81,63 ლარი და კვების ულუფა – 708,00 ლარი.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი:

მოსარჩელის მიმართ სახელფასო დავალიანების ანგარიშსწორება არ მომხდარა, რის გამოც საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს მის მიმართ გააჩნია დავალიანება სახელფასო დავალიანება.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველები:

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6, მე-14, 37-ე მუხლები და საქართველოს კონსტიტუცია.

მოპასუხე – საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველომ შესაგებლით სარჩელი არ ცნო, ხანდაზმულობის მოტივით.

მარტვილის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით გ. ხ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს - საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს დაევალია მოსარჩელის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 528,26 ლარის გადახდა, ხოლო სარჩელი კვების ულუფის კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონი და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი და განმარტა, რომ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად, პოლიციელის ხელფასი შედგება თანამდებობრივი და წოდებისათვის დადგენილი სარგოებიდან. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პოლიციელს ხელფასის გარდა მიეცემა ხელფასზე დანამატი და კომპენსაცია. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში პოლიციელისათვის შეიძლება განისაზღვროს კანონით გათვალისწინებული სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებები და შეღავათები.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან დათხოვნის დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). ამავე კანონის 134-ე მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ

საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციის) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

ხოლო, რაც შეეხება კვებისა და წელთა ნამსახურობის დანამატის მოთხოვნას, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ხანდაზმულია, ვინაიდან, სარჩელი აღიძრა 2010 წლის 1 მარტს ანუ სსკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისათვის 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველომ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, არამართებულია რაიონული სასამართლოს განმარტება წელთა ნამსახურობისა და ულუფის ფულადი კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმა ხანდაზმულობის მოტივით, ვინაიდან, ხანდაზმულობის ვადის მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, გარდა ამისა, ის 2003 წლიდან იმყოფებოდა ძებნაში, ხოლო 2007 წლის ნოემბრიდან 2009 წლის აპრილამდე – სასჯელის მოხდის ადგილზე. სარჩელის წარდგენა დააბრკოლა განსაკუთრებულმა, მოცემულ შემთხვევაში აუცდენელმა, დაუძლეველმა ძალამ.

ამასთან, აპელანტის მითითებით, საქმეში არსებული საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის 13.01.2010 წლის წერილი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს აღიარებასა და მორატორიუმს, რაც ხანდაზმულობის ვადის გასვლისა და ვადის დენის შეჩერების საფუძველია.

საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველომ სააპელაციო შესაგებლით გ. ხ-ას სააპელაციო საჩივარი არ ცნო და მოითხოვა აპელანტისათვის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 16 ივნისის განჩინებით საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მარტივის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის 2010 წლის 13 იანვრის წერილი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს აღიარებას და მორატორიუმს, ვინაიდან, პალატის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს ცნობა, შეიცავს გ. ხარებავს მიმართ ამ ორგანოს სახელფასო დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას და არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გ. ხ-ას მიმართ ვალის აღიარების დამადასტურებელ დოკუმენტს, რაც არ იწვევს სახელფასო დავალიანების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას. რაც შეეხება «მორატორიუმს» ის არის სახელმწიფო ხელისუფლების განკარგულებით განსაკუთრებული გარემოებების გამო ვალდებულების შესრულების გადავადება (მაგ. საომარი მდგომარეობა და სხვა). მორატორიუმი შეიძლება გავრცელდეს განსაზღვრულ ტერიტორიაზე ვალდებულებათა ცალკეულ სახეებზე, პირთა განსაზღვრულ ქმედებაზე და სხვა. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის 2010 წლის 13 იანვრის წერილში მითითებული გარემოება, რომ «შინაგან საქმეთა სამინისტროზე მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში არ არის გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების დაფარვისათვის საჭირო თანხა», არანაირად არ აკმაყოფილებს «მორატორიუმის» ცნებას, რადგან არ არსებობს მთავრობის დადგენილება ვალდებულების შესრულების გადავადების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ხ-ამ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

«საჯარო მოსამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე – გ. ხ-ა წარმოადგენს საჯარო მოხელეს, რის გამოც მასზე შრომითი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისას გამოყენებულ უნდა იქნეს აღნიშნული კანონის მოთხოვნები.

ამავე კანონის მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებზე ვრცელდება აღნიშნული კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. ამავე კანონის ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურეთა დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც აღნიშნული კანონმდებლობით არ წესრიგდება რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. ამავე კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, «მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს».

კასატორის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციით დაცულია მოქალაქეთა შრომითი უფლებები და გარანტირებულია შრომის სამართლიანი ანაზღაურება, ის რომ შესრულებული სამუშაოსათვის მუშაკმა უნდა მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება საყოველთაოდ აღიარებულია ადამინის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით, რომელსაც საქართველო შეუერთდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის 1655 დადგენილებით და რომლის შესაბამისადაც, ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიან და დამაკმაყოფი-

ლებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის, რომელსაც ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 38-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს მიიღოს მისთვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება მოხელის ან დამხმარე მოსამსახურეს დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი, დანამატი).

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით მომართა გ. ხ-ამ და მოითხოვა მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიღებულ 2011 წლის 15 თებერვლის განჩინებით გ. ხ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 «ბ» პუნქტის საფუძველზე /დივერგენტული კასაცია/.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ხ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, გ. ხ-ას სარჩელი 1998-2000 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის – 708 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდეს, ხოლო 2003 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს 2010 წლის 13 იანვრის 136/6/7-6/11 ცნობით დადგენილია, რომ გ. ხ-ს 1998, 1999, 2000 და 2003 წლების დარიცხული და გაუცემელი შრომის ანაზღაურება შეადგენს 1317,89 ლარს, მათ შორის: ძირითადი ხელფასი – 528,26 ლარი, წელთა ნამსახურობის დანამატი – 81,63 ლარი და კვების (ულუფის) ფულადი კომპენსაცია – 708,00 ლარი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მარტვილის შს სამმართველოსთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციის, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. იმავე კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით კი დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისთვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. ასეთივე დანაწესი შეიცავდა მოსარჩელის სახელფასო დავალიანების წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის 1139 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულებების» 55-ე მუხლი, რომლის პირველი აზვაციით დადგენილი იყო, რომ პოლიციაში სამსახურისათვის თანამშრომელი იღებდა ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლეოდათ), რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო, დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის, ისევე როგორც «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ დებულებების» შესაბამისი ნორმებით დადგენილი იყო, რომ პოლიციელის ხელფასი მოიცავდა არა მარტო თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, არამედ – ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას და სხვა. თუმცა 2000 წლის 28 ივნისის 1413 კანონით «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, ხსენებული კანონის 31-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, ხელფასი მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ გ. ხ-ას წინაშე სახელფასო დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა 1998, 1999, 2000 და 2003 წლებში და დღეისათვის მოსარჩელე დაობს სწორედ ამ პერიოდში წარმოშობილ და შეუსრულებელ ვალდებულებებზე. 1998, 1999, 2000 წლის წელთა ნამსახურობის დანამატისა და კვების (ულუფის) კომპენსაციის დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა «პოლიციის შესახებ» საქართველოს

კანონის 31-ე მუხლის ძველი რედაქციის მოქმედების პირობებში, რომლის დროსაც ხელფასში გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი განაკვეთი, არამედ – ნამსახურობის დანამატი, სასურსათო ულუფის ღირებულება და სხვა, ხოლო 2003 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლში 2000 წლის 28 ივნისის 1413 კანონით განხორციელებული ცვლილების შემდეგ, რომელთა შედეგადაც პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნება მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 1996 წლის 29 ოქტომბრის რედაქციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 2009 წლის 22 ოქტომბრის რედაქციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. უდავოა, რომ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის, აგრეთვე «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» არც ერთი მუხლი არ შეიცავს დათქმას ახალი რედაქციის ნორმებისათვის უკუძალის მინიჭების თაობაზე. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების შესაბამისი მუხლების ახალი რედაქცია ძველ ურთიერთობებზე არ უნდა გავრცელდეს, რადგან კანონის ახალ ნორმას არ აქვს მინიჭებული უკუქმედების ძალა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიუთითებს, რომ გ. ხ-ას სარჩელიდან გამომდინარე დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა იქნეს ის სამართლებრივი ნორმები (იმ რედაქციის სამართლებრივი ნორმები), რომელთა მოქმედების დროსაც წარმოიშვა სახელფასო დავალიანება.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიუთითებს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესის სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, დადგენილია და შესაბამისად აღიარებულია, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის გაცემა (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული კომპენსაციისა) უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. რის გამოც, საკასაციო სასამართლო უკანონოდ მიიჩნევს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებას, მოსარჩელის მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების, რომელშიც 2000 წლის 28 ივნისამდე გათვალისწინებული იყო კვების (ულუფის) კომპენსაცია, ანაზღაურებაზე უარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე და 33¹ მუხლების თანახმად, მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1998, 1999 და 2000 წლების წელთა ნამსახურობისა და კვების (ულუფის) კომპენსაცია.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპეალაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის 1998, 1999 და 2000 წლის წელთა ნამსახურობის დანამატისა და კვების (ულუფის) კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლი. ამდენად, აღნიშნულ ნაწილში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

ხოლო, რაც შეეხება 2003 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიუთითებს, რომ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლი, 2000 წლის 28 ივნისის 1413 კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად, პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნებაში გულისხმობდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით აღნიშნავს, რომ კვების (ულუფის) კომპენსაციის თანხა 2000 წლის 28 ივნისის შემდეგ მოქმედი რედაქციის «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს არ წარმოადგენს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «მ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

რაც შეეხება ვალის აღიარების საკითხს, საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით განმარტავს: იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი განხილულ იქნეს ამ ორგანოს მიერ ვალის აღიარებად, მასში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე, ამასთან, იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამავე ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალში დაუბრუნდება ამ საკითხს და/ან ანაზღაურებს დავალიანებას.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2003 წლების კვების (ულუფის) კომპენსაციის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიაჩნია, რომ გ. ხ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ხ-ას სარჩელი 1998, 1999 და 2000 წლების წელთა ნამსახურების დანამატისა და კვების (ულუფის) კომპენსაციის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოსათვის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდება, ხოლო 2003 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. ხ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ხ-ას სარჩელი 1998, 1999 და 2000 წლების წელთა ნამსახურების დანამატისა და კვების (ულუფის) კომპენსაციის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოსათვის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს, ხოლო 2003 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოსათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კონტრაქტის დარღვევის გამო კვების კომპენსაციის დაკისრება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1664-1620(კ-10)

10 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე**

დავის საგანი: კვების კომპენსაციის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 6 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა გორის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე გ. ბ-შვილის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით – 24366,10 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის – 2795,47 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 7309,83 ლარისა და სანივთე ქონების დავალიანების სახით – 404,77 ლარის ანაზღაურების დაკისრება შემდეგი საფუძველით:

მოპასუხე გ. ბ-შვილმა 2006 წლის 3 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა კონტრაქტი, რის შედეგადაც დაინიშნა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2007 წლის 5 თებერვლის 1300 ბრძანებით მოპასუხე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან 2006 წლის 20 დეკემბრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

მოსარჩელის მითითებით, მოპასუხე შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხვის დღიდან იყო სამხედრო მოსამსახურე. სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით «სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ,

სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობს. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აქვს გამოყოფილი ასიგნებები და მათი მიზნობრივად გამოყენება სამინისტროს ვალდებულებაა. მაშინ, როდესაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაზღვრავს ხელფასის ოდენობას, კვების, სანივთე უზრუნველყოფის, წვრთნისა და აღჭურვის განსახორციელებლად წინასწარ გეგმავს ფულად სახსრებს, იგი ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თითოეული ლარი განკარგოს დანიშნულებისამებრ ანუ უზრუნველყოს საქართველოს შეიარაღებული ძალები პროფესიული, დისციპლინური, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით.

სამხედრო მოსამსახურესთან გაფორმებული კონტრაქტის 7.3 პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები.

მოპასუხე გ. ბ-შვილის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენს 4 თვესა და 17 დღეს, შესაბამისად, მოსარჩელის მოსაზრებით, მასზე ვრცელდება კონტრაქტის 7.3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტი. მისი ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა 561 ლარს, შესაბამისად, ასანაზღაურებელი თანხაა 24366,10 ლარი.

კონტრაქტის 7.4 პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 პუნქტებში აღნიშნული თანხების დადგენილ ვადაში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების XVI თავის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვადაში შეწყვეტის მიზეზით სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე, ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდება გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე.

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით – 24366,10 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 7309,83 ლარის, სანივთე დავალიანების სახით – 404,77 ლარის ანაზღაურება, ხოლო ზიანის საკომპენსაციო თანხის – 2795,47 ლარის დაკისრებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი უსაფუძვლოდ გამო, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის ფაქტი დადასტურებული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამანდატო კომისიის 2007 წლის 16 იანვრის 12 ოქტით და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის 1300 ბრძანებით, რომელთა თანახმად, გ. ბ-შვილი დათხოვნილია შეიარაღებული ძალების რიგებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. აღნიშნული მტკიცებულებები მოპასუხეს არ გაუსაჩივრებია და კანონით დადგენილი წესით არ გაუხდია სადავოდ.

რაიონულმა სასამართლომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და მხარეებს შორის გაფორმებული კონტრაქტის 7.3 მუხლზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ ჯარიმის თანხა შესაბამებოდა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ თანხას. ასევე მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხის – 7309,83 ლარი, ჯარიმის თანხის 30%-ის გადახდის ვალდებულება განსაზღვრული იყო კონტრაქტის 7.4 პუნქტით.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით იხელმძღვანელა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების XVI თავის მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტით.

რაიონული სასამართლოს მითითებით, ზიანის სახით მოთხოვნილ თანხაში შედიოდა მოპასუხე გ. ბ-შვილზე დახარჯული მთლიანი თანხა და სახელმწიფოს მხრიდან სხვა სამხედრო მოსამსახურეზე გაწეული დანახარჯი, ვისაც ახალი კონტრაქტი გაუფორმეს გ. ბ-შვილის ნაცვლად.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს არ წარუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, თუ საიდან, რა კრიტერიუმით იქნა გაანგარიშებული და მოთხოვნილი ეს თანხა.

მხარეებს შორის 2006 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრულია სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის განსაკუთრებული პირობები, ხოლო მე-8 მუხლით – სამხედრო მოსამსახურის მე-7 მუხლში აღნიშნული სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სამინისტროს მიერ აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები, სადაც აღნიშნულია ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ მხოლოდ სამხედრო მოსამსახურისათვის მინდობილ ქონებაზე, აგრეთვე ოდენობისა და მისი გადახდის შესახებ. ხელშეკრულების არც ერთ სხვა პუნქტში არ არის გათვალისწინებული ზიანის ის სახე და მისი განსაზღვრის ოდენობა, რაც სარჩელითაა მოთხოვნილი. ხელშეკრულება არ ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურის ვალდებულებას ანაზღაუროს მასზე ხელფასის, ჯილდოსა და ულუფის სახით გაცემული თანხები ხელშეკრულების გასვლისას ან ხელშეკრულების შეწყვეტისას.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ 2795,47 ლარი არის სხვა პირის სამხედრო სამსახურში აყვანის გამო გახარჯული თანხა, ხოლო იმ პირობებშიც კი, თუ აღნიშნული გარემოება დადასტურდებოდა, აღნიშნული ვერ იქნებოდა მიჩნეული გ. ბ-შვილის მხრიდან მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების დამადასტურებელ ერთადერთ მტკიცებულებად, რამდენადაც აღნიშნულით

მოსარჩელის მიერ ზიანის მიყენებას ადგილი არა აქვს, იგი, ისევე როგორც მის ნაცვლად აყვანილი სხვა პირი იმსახურებდა ხელშეკრულების საფუძველზე და აიღებდა შესაბამის გასამრჯელოს – ხელფასს.

რაიონულმა სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო კოდექსის 317-ე, 412-ე, 394-ე და 407-ე მუხლების საფუძველზე.

რაიონულმა სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია მოთხოვნა ნივთების ღირებულების – 404,77 ლარის ანაზღაურების ნაწილში ხელშეკრულების მე-7 და მე-8, ასევე სამოქალაქო კოდექსის 317.1 მუხლების შესაბამისად.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

აპელანტის მითითებით, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია სსსკ-ის 393.2, 393.3, 102-ე, 105.2 მუხლების დარღვევით, სასამართლომ არ იმსჯელა მოსარჩელის პოზიციასთან დაკავშირებით, რომ ზიანის სახით მოთხოვნილი თანხა არის თანხა, რომლის ხელახლა გადახდა უწევს სამინისტროს კონტრაქტით გათვალისწინებული ინტერესის მისაღწევად – სხვა სამხედრო მოსამსახურის მოსამზადებლად. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვს არა მასზე გადახდილი ხელფასის სახით გაცემულ თანხებს, არამედ მოპასუხის სანაცვლოდ დასაქმებულ სამხედრო მოსამსახურეზე გადახდილ თანხას. შესაბამისად, რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი დასკვნები და მიიჩნია, რომ არ არსებობდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ მიიჩნია დაუსაბუთებლად, რამდენადაც მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულება ზიანის სახით მოთხოვნილი მოპასუხის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე დახარჯული თანხის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისგან არ ითხოვდა მასზე გადახდილ ხელფასს, ეს თანხა იყო მოპასუხის სანაცვლოდ დასაქმებულ სამხედრო მოსამსახურეზე გადახდილი თანხა. სამინისტრო ითხოვდა ზიანის სახით იმ თანხას, რომლის ხელახლა გადახდაც მას მოუწია ახალი სამხედრო მოსამსახურის იმ დონემდე გაწვრთნისათვის, რა დონეზეც იყო მოპასუხე კონტრაქტის დარღვევის დროისათვის.

კონტრაქტის დადებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი იყო საქართველოს შეიარაღებულ ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიცირებული სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფდა საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურის ეტაპობრივ წვრთნასა და მომზადებას ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე დასახარჯი თანხების ისეთი აუცილებელი კომპონენტი, როგორცაა გადასახდელი ხელფასი. ხელფასის ზრდა გამოწვეული იყო სწორედ იმ გარემოებით, რომ პირი, რომელიც ვალდებულებას იღებდა სრული 4 წლის ვადით ემსახურა სამხედრო მოსამსახურედ – მიიღებდა შესაბამისი ოდენობის ანაზღაურებას, რომლის გაცემა ხორციელდებოდა ეტაპობრივად და ის არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა ანალოგიური ოდენობის, თუ სამხედრო მოსამსახურე სხვა უფრო მოკლე ვადით სამსახურის გავლის ვალდებულებას იკისრებდა.

მოპასუხე მხარის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით განპირობებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტით, თავდაცვის სამინისტრომ ვერ მიაღწია მიზანს, კერძოდ, ვერ მიიღო პროფესიულად გაწვრთნილი სამხედრო მოსამსახურე, ხოლო მის მომზადებაზე დახარჯული საბიუჯეტო თანხები (მათ შორის სახელფასო თანხები) უშედეგოდ დაიხარჯა და იგივე დონის სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე სამინისტრო იძულებული იყო კვლავ გაეწია შესაბამისი დანახარჯები.

კასატორის მითითებით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კონსტიტუციის 98.3 მუხლის მიხედვით, სამხედრო ძალების რაოდენობას ყოველწლიურად ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ საქართველოს 29.12.2004 წლის კანონით 2005 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა განისაზღვრა 23000-ით, ხოლო «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს 09.12.2005 წლის კანონით 2006 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა განისაზღვრა – 28000.

კასატორის მითითებით, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხე გ. ბ-შვილზე ზიანის სახით – 2795,47 ლარის, მათ შორის კვებაზე დახარჯული თანხის – 241,89 ლარის და სწავლებაზე დახარჯული თანხის – 72,60 ლარის გადახდა. რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში არ დააკმაყოფილეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის განმარტებით, გ. ბ-შვილის საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის გამო «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს 29.12.2004 წლის და 09.12.2005 წლის კანონებით განსაზღვრული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის რაოდენობის შენარჩუნების მიზნით სამინისტროს მოუწია სხვა სამხედრო მომსახურესთან ახალი კონტრაქტის გაფორმება და მოპასუხეზე მოთხოვნილი თანხის ხელახლა დახარჯვა (მათ შორის, ხელფასის და სხვა თანხების) ახალი სამხედრო მოსამსახურის სამხედრო მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, რაც ჰქონდა მიღწეული მოპასუხის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით 2011 წლის 8 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად /დივენგერტული კასაცია/.

მხარეებს შესაგებელი საკასაციო საჩივართან დაკავშირებით არ წარმოუდგენიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხისათვის კვების კომპენსაციის 241,89 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს; მოპასუხე გ. ბ-შვილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს კვების კომპენსაციის სახით 241,89 ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით განმარტავს: ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 8 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი გ. ბ-შვილისათვის კვების კომპენსაციის დაკისრების ნაწილში იქნა დასაშვებად მიჩნეული, ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ გ. ბ-შვილისათვის კვების კომპენსაციის – 241,89 ლარის დაკისრების საფუძვლიანობა.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა სრულად ეთანხმება ხელშეკრულების შეფასების ნაწილში საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და თავის მხრივ განმარტავს შემდეგს: კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოღებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის პრინციპით, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია თავდაცვის მინისტრის სამხედრო ქვედანაყოფში სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. მითითებული კონტრაქტის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დადებულია სწორედ ზემოაღნიშნული ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის 13000 ბრძანებით გ. ბ-შვილი კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, რომელიც იწვევს მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების გაქარწყლებას და ახალი ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ, მხარეებმა ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დააბრუნონ (სკ-ის 352.1 მუხ.). «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო

(ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაბამისად, მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა შეადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას, ამდენად, მოსარჩელის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა სასურსათო ულუფის მოთხოვნის ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს (241,89 ლარი), საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა თვლის, რომ იგი არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს, ამასთანავე ხელშეკრულებიდან გასვლა განპირობებულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც სკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 407-ე მუხლის თანახმად ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი I საარტილერიო ბრიგადის მეთაურის მიერ 2006 წლის 24 თებერვალს გაცემული 10886414 ცნობით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ ზიანის სახით მოთხოვნილი თანხიდან 241,89 ლარი წარმოადგენდა კვებაზე დახარჯულ თანხას. შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, გ. ბ-შვილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს კვების კომპენსაციის – 241,89 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243.2 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ბ-შვილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს კვების კომპენსაციის – 241,89 ლარის ანაზღაურება;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კვების კომპენსაციის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-347-344(კ-11)

5 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე**

დავის საგანი: კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 17 აგვისტოს ვ. ჩ-ვამ, ვ. კ-იამ, გ. პ-ვამ და რ. ქ-ემ სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხეების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამავე სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიმართ და მოითხოვეს მათ სასარგებლოდ მოპასუხისათვის გაუცემელი დავალიანების ანაზღაურების დაკისრება, კერძოდ, ვ. ჩ-ვასათვის – 886,95 ლარის, ვ. კ-იასათვის – 1666,87 ლარის, რ. ქ-ისათვის – 864,30 ლარისა და გ. პ-ვასათვის – 1488,16 ლარის გადახდა შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელეთა მითითებით, ისინი არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები, სამსახურიდან გათავისუფლდნენ პენსიის მიღების ულუფებით. გათავისუფლების შემდეგ არ მიუღიათ გაუცემელი, 1998, 1999, 2003 წლების დარიცხული შრომის ანაზღაურება. აღნიშნული დავალიანება აღიარებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, მაგრამ თანხის გაუცემლობის მიზეზად ადმინისტრაციული ორგანო უთითებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დავალიანებების დასაფარად საჭირო დამატებითი ასიგნებების არ გამოყოფას.

მოსარჩელებმა სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითეს საქართველოს კონსტიტუციაზე, «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონზე, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის 1139 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულებაზე და შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლზე.

სარჩელი არ ცნო მოპასუხე შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარმა სამმართველომ და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ვ. ჩ-ვას სასარგებლოდ დაეკისრა გაუცემელი ხელფასის – 289,64 ლარის, გ. პ-ვას სასარგებლოდ – 587,12 ლარის, რ. ქ-ძის სასარგებლოდ – 328,40 ლარის გადახდა, კვების ულუფის კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის გამო დანამატის ანაზღაურებაზე მოსარჩელებს ეთქვათ უარი მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე, 134-ე სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეთათვის ანაზღაურებას ექვემდებარება «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებული თანხები – თანამდებობრივი და წოდებისათვის დადგენილი სარგო, ხოლო სხვა თანხები – კვების ულუფის კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის შესახებ მოთხოვნა საქალაქო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად, მიიჩნია ხანდაზმულად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ჩ-ვამ, გ. პ-ვამ და რ. ქ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

აპელანტების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რამდენადაც მოსარჩელებმა წინა წლების განმავლობაში არაერთხელ მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით და ადმინისტრაციული ორგანოები პირდებოდნენ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჭირო ასიგნებების გამოყოფის შემდეგ მოახდენდა დავალიანებების დაფარვას. ამდენად, აპელანტების მოსაზრებით მოთხოვნა კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების შესახებ არ არის ხანდაზმული.

აპელანტების მითითებით, საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა «პოლიციის შესახებ» კანონის 31-ე მუხლი, რამდენადაც ხელფასი მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, რაც იგულისხმება კუთვნილ თანხებში, რომელთა ანგარიშსწორების წესი განისაზღვრა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134-ე მუხლში. შესაბამისად, აპელანტებმა მიიჩნიეს, რომ სასამართლოს სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა სასარჩელო მოთხოვნა.

გარდა აღნიშნულისა, საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა «საქართველოს შსს სამინისტროს მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის თანახმად, განმარტებულია ხელფასი და მისი შემადგენელი კომპონენტები. კანონით დადგენილ დანამატებში იგულისხმება ხელფასზე ყოველთვიური დანამატები და სასურსათო ულუფა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 დეკემბრის განჩინებით ვ. ჩ-ვას, გ. პ-ვასა და რ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელები წარმოადგენენ საჯარო მოსამსახურეებს, შესაბამისად, მათ მიმართ ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სასურსათო ულუფა წარმოადგენს მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან – სასურსათო ულუფისაგან და ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს როგორც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით, ისე «პოლიციის შესახებ» კანონით განსაზღვრულ შრომითი გასამრჯელოს შემადგენელ ნაწილს. ამასთან, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის (დანამატი) სახეს, ხანდაზმულობის გამომრიცხავი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები აღნიშნულ კომპენსაციაზე ვერ გავრცელდება, რადგან სასურსათო ულუფის ან მისი შესაბამისი ფულადი კომპენსაციის გაცემის ვალდებულება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა და ამ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელებს არა აქვთ მიღებული 1998-1999-2000 და 2003 წლების კვების კომპენსაცია და ვინაიდან სარჩელის აღძვრის მომენტისათვის გასული იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, ამ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ჩ-ვამ, გ. პ-ვამ და რ. ქ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 დეკემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

კასატორთა მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რამდენადაც მოსარჩელებმა წინა წლების განმავლობაში არაერთხელ მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით და ადმინისტრაციული ორგანოები პირდებოდნენ, რომ სა-

ხელმწიფო ბიუჯეტიდან საჭირო ასიგნებების გამოყოფის შემდეგ მოახდენდა დავალიანებების დაფარვას. ამდენად, აპელანტების მოსაზრებით მოთხოვნა კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების შესახებ არ არის ხანდაზმული.

კასატორთა მითითებით, მოცემულ საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო ვ. კ-იას საქმე სამოქალაქო წესით განსახილველად, რომლის სარჩელი დაკმაყოფილდა ასევე ნაწილობრივ, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა და მოსარჩელეს მიაკუთვნა კვებისა და წელთა ნამსახურობის თანხები.

კასატორთა მითითებით, სასამართლომ არასწორად განმარტა «პოლიციის შესახებ» კანონის 31-ე მუხლი, რამდენადაც ხელფასი მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, რაც იგულისხმება კუთვნილ თანხებში, რომელთა ანგარიშსწორების წესი განისაზღვრა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134¹ მუხლში.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ არ გამოიყენა «საქართველოს შს სამინისტროს მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის 1139 ბრძანებულება, რომლის 55-ე მუხლის თანახმად, განმარტებულია ხელფასი და მისი შემადგენელი კომპონენტები. კანონით დადგენილ სხვა დანამატებში, რომლებიც ექვემდებარება ხანდაზმულობას, არ შედის ხელფასზე ყოველთვიური დანამატები და სასურსათო ულუფა.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის 2011 წლის 3 მაისის განჩინებით ვ. ჩ-ვას, გ. პ-ვასა და რ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი 1998-2000 წლების კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ხოლო 2003 წლის კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების ნაწილში დაუშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ჩ-ვას, გ. პ-ვასა და რ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება 1998, 1999, 2000 წლების კვების (ულუფის) კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ვ. ჩ-ვას, გ. პ-ვასა და რ. ქ-ძის სარჩელი 1998, 1999, 2000 წლების კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდეს; მოპასუხე საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ვ. ჩ-ვას სასარგებლოდ დაეკისროს 1998, 1999 წლების კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურება 513,18 ლარის ოდენობით, გ. პ-ვას სასარგებლოდ – 1998, 1999, 2000 წლების კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურება 818,51 ლარის ოდენობით, რ. ქ-ძის სასარგებლოდ – 1998, 1999, 2000 წლების კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურება 540,28 ლარის ოდენობით შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 3 მაისის განჩინებით ვ. ჩ-ვას, გ. პ-ვასა და რ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი 1998, 1999, 2000 წლების კვების (ულუფის) კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების ნაწილში იქნა დასაშვებად მიჩნეული, ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მოსარჩელეთათვის მხოლოდ 1998, 1999, 2000 წლების კვების (ულუფის) კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ამონაწერით დარიცხული და გაუცემელი შრომის ანაზღაურების უწყისებიდან დგინდება, რომ ვ. ჩ-ვასათვის ასანაზღაურებელი 1998, 1999 წლების კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის თანხა შეადგენს 513,18 ლარს; გ. პ-ვასათვის ასანაზღაურებელი 1998, 1999, 2000 წლების კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის თანხა შეადგენს – 818,51 ლარს, ხოლო რ. ქ-ძისათვის გადასახდელი 1998, 1999, 2000 წლების კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის თანხა შეადგენს 818,51 ლარს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელები შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ადმინისტრაციულ ორგანოსთან – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოსთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენენ საჯარო მოხელელებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციის, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. იმავე კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით კი დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისთვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობის-

თვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. ასეთივე დანაწესს შეიცავდა მოსარჩელის სახელფასო დავალიანების წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის 1139 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» 55-ე მუხლი, რომლის პირველი აბზაცი დადგენილი იყო, რომ პოლიციაში სამსახურისათვის თანამშრომელი იღებდა ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლეოდათ), რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო, დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის, ისევე როგორც «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ დებულების» შესაბამისი ნორმებით დადგენილი იყო, რომ პოლიციელის ხელფასი მოიცავდა არა მარტო თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, არამედ – ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას და სხვა. თუმცა 2000 წლის 28 ივნისის 1413 კანონით «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, ხსენებული კანონის 31-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, ხელფასი მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელეთა წინაშე სახელფასო დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა 1998, 1999, 2000 წლებში და დღეისათვის მოსარჩელები დავობენ სწორედ ამ პერიოდში წარმოშობილ და შეუსრულებელ ვალდებულებებზე. 1998, 1999, 2000 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის ძველი რედაქციის მოქმედების პირობებში, რომლის დროსაც ხელფასში გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი განაკვეთი, არამედ – ნამსახურობის დანამატი, სასურსათო ულუფის ღირებულება და სხვა, ხოლო 2003 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის დავალიანება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. უდავოა, რომ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის, აგრეთვე «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» არც ერთი მუხლი არ შეიცავს დათქმას ახალი რედაქციის ნორმებისათვის უკუძალის მინიჭების თაობაზე. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების შესაბამისი მუხლების ახალი რედაქცია ძველ ურთიერთობებზე არ უნდა გავრცელდეს, რადგან კანონის ახალ ნორმას არ აქვს მინიჭებული უკუქმედების ძალა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სარჩელიდან გამომდინარე დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა იქნეს ის სამართლებრივი ნორმები (იმ რედაქციის სამართლებრივი ნორმები), რომელთა მოქმედების დროსაც წარმოიშვა სახელფასო დავალიანება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134-ე მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, დადგენილია და შესაბამისად აღიარებულია, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის გაცემა (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული კომპენსაციისა) უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად, ხოლო 2006 წლის 29 დეკემბერს მიღებულ იქნა «საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონი, რომლის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ასევე აღიარებს წინა წლებში წარმოქმნილ ფაქტობრივ დავალიანებებს და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, გამოიყენონ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არსებული დავალიანებების დასაფარავად. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უკანონოდ მიიჩნევს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებას, მოსარჩელეთა მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების, რომელშიც 2000 წლის 28 ივნისამდე გათვალისწინებული იყო კვების (ულუფის) კომპენსაცია და წელთა ნამსახურობის დანამატი, ანაზღაურებაზე უარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე და 33-ე მუხლების თანახმად, მოსარჩელეთა სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1998, 1999 და 2000 წლების კვების (ულუფის) კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 372-ე, 390-ე, 399-ე, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ვ. ჩ-ვას, გ. პ-ვასა და რ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 დეკემბრის განჩინება 1998, 1999, 2000 წლების კვების (ულუფის) კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ვ. ჩ-ვას, გ. პ-ვასა და რ. ქ-ძის სარჩელი 1998, 1999, 2000 წლების კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდეს;

4. მოპასუხე საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ვ. ჩ-ვას სასარგებლოდ დაეკისროს 1998, 1999 წლების კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურება 513,18 ლარის ოდენობით, გ. პ-ვას სასარგებლოდ – 1998, 1999, 2000 წლების კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურება 818,51 ლარის ოდენობით, რ. ქ-ძის სასარგებლოდ – 1998, 1999, 2000 წლების კვების კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურება 540,28 ლარის ოდენობით;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კვების კომპენსაციის ანაზღაურების ხანდაზმულობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ბს-442-439(კ-11)

26 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: კვების (ულუფის) კომპენსაციის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

თ. ფ-ძემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხეს დაკისრებოდა სახელფასო დავალიანების 2233,20 ლარისა და აღნიშნული თანხის დაყოვნებისათვის ყოველი გადაცილებული დღისათვის მითითებული თანხის 0.07%-ის – 6246,12 ლარის, სულ – 8479,32 ლარის ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში, სხვადასხვა თანამდებობებზე. 1998 წლიდან 2003 წლამდე არ მიუღია ხელფასი, რომლის საერთო რაოდენობამაც შეადგინა 2233,20 ლარი. მოსარჩელემ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, მაგრამ სახელფასო დავალიანების ანაზღაურება მოპასუხის მიერ არ განხორციელდა, ვინაიდან «საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ» და «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონების შესაბამისად, მიმდინარე წლის ასიგნებები ფინანსთა სამინისტროს არ აძლევდა საშუალებას ნებაყოფლობით აენაზღაურებინა წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებები.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელემ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 იანვრის 12 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს საბაჟო სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულებისა და საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული იყო და არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. ფ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე – სსიპ შემოსავლების სამსახურს მოსარჩელის – თ. ფ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 1998 წლის ხელზე ასაღები ხელფასის – 978,51 ლარის, 1999 წლის ხელზე ასაღები ხელფასის – 471,82 ლარის, 2000 წლის ხელზე ასაღები ხელფასის 158,23 ლარისა და 2003 წლის ხელზე ასაღები ხელფასის – 52,80 ლარის ანაზღაურება, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე თ. ფ-ძე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა მოპასუხე – ადმინისტრაციულ ორგანოსთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი და განმარტა, რომ მითითებული კანონის 37.1 მუხლის მიხედვით, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ

ამავე კანონის 134¹ მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებული საჯარო მოხელეების მიმართ არსებობდა საბიუჯეტო დავალიანებები და კუთვნილი თანხის გაცემა უნდა განხორციელებულიყო წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანებების დაფარვის წესის შესაბამისად. აღნიშნული მუხლით რეგლამენტრეზული იყო საჯარო მოსამსახურეებზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეთა მიმართ სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს ხანდაზმულობის ვადები, ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით დაცულია მოქალაქეთა შრომითი უფლებები და აღიარებულია შრომის სასამართლიანი ანაზღაურება. სასამართლოს განმარტებით, შესრულებული სამუშაოსათვის მუშაკის მიერ კანონით დადგენილი გასამრჯელოს მიღება დამსაქმებლის კანონისმიერი ვალდებულებაა. საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს მოსამსახურის უფლებას მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

ხოლო სასარჩელო მოთხოვნა, კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში, საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მხარის მოსაზრება და მიუთითა, რომ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო, ვინაიდან მასზე უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის საწლიანი ვადა, რადგან მითითებული დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება, სასამართლოს განმარტებით, წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი კი, ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებდა დროს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამასთან, ულუფის (კვების) კომპენსაცია ხელფასის თანხისა და დანამატისგან განსხვავებით, არ არის მოქცეული «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134¹ მუხლის მოქმედების ფარგლებში.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ მოქმედების განუხორციელებლობა – ხელფასის გაუცემლობა პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, რის გამოც, საქალაქო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლი, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე, უკანონო იყო და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანდა გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებდა, განეხორციელებინა ეს მოქმედება ან თავი შეეკავებინა ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისთვის 0,07%-ის დაკისრების მოთხოვნასთან დაკავშირებით, შრომის კოდექსის 31.3 მუხლის საფუძველზე სასამართლომ განმარტა, რომ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში შრომის ანაზღაურების საკითხის განსაზღვრისას კანონმდებელმა დაადგინა ფულად ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი – ასანაზღაურებელი გასამრჯელოს დაყოვნებული თანხის ყოველ ვადაგადაცილებული დღისთვის 0,07 %. კონკრეტულ შემთხვევაში, კი სასამართლოს მითითებით, სადავოა არა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში კანონით გათვალისწინებული ფულად-ვალდებულებითი ურთიერთობა, რა დროსაც მხარეებს შორის არც შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის და არც შეწყვეტის მომენტში შრომის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამგვარ ფულად-ვალდებულებით ურთიერთობას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ფ-მემ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

«საბიუჯეტო სისტემის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ხელისუფლების ვალდებულებათა შესრულების მიზნით მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტია. «ბიუჯეტის შესახებ» კანონის თანახმად, ბიუჯეტში თავს იყრის ფულადი სახსრები, რომელიც ხმარდება ქვეყნის ვალდებულებათა შესრულებას, ბიუჯეტით გათვალისწინებული ფისკალური წლის განმავლობაში საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მიზნებისათვის დამტკიცებული ასიგნებათა მოცულობით. მითითებული კანონის თანახმად ფინანსთა სამინისტრო ახდენს კანონით გათვალისწინებული თანხების გამოყოფას და შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციის სახელფასო დავალიანების გასტუმრებას.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, კი, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის გასამრჯელო. «მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო(ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს».

აპელანტის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 იანვარის 12 ბრძანებით დამტკიცებულ «საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის დებულების და «საქართველოს საბაჟო სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ» დებულების 1-ელი მუხლის თანახმად «ეს დებულება განსაზღვრავს და აწესრიგებს საქართველოს საბაჟო ორგანოების სისტემაში მომუშავე სახელმწიფო მოხელეთა მიერ სამსახურის გავლის წესს, მათ უფლებებს, მოვალეობებსა და სამართლებრივ საფუძვლებს». ამავე დებულების 39-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად «საბაჟო ორგანოების თანამშრომელი იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივ და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, დანამატს ნამსახურები წლებისათვის, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლევათ), რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია, დანამატს დასვენების და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალის-

წინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს», მითითებული დებულებიდან გამომდინარე, სასურსათო ულუფა სასამართლოს მიერ უნდა განხილულიყო, როგორც ხელფასის შემადგენელი ნაწილი.

აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა, შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა და არ დააკმაყოფილა სარჩელი დაყოვნების ყოველი დღისათვის თანხის 0.07%-ის ოდენობით დაკისრების შესახებ, ვინაიდან, მითითებული მუხლიდან გამომდინარე, დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07%.

შემოსავლების სამსახურმა შესაგებლით სააპელაციო საჩივარი არ ცნო და მოითხოვა აპელანტისათვის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ფ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა თ. ფ-ძის სარჩელი – ულუფის ანაზღაურების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ფ-ძის სარჩელი – ულუფის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა და სსიპ შემოსავლების სამსახურს თ. ფ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 2000 წლის და 2003 წლის ხელზე ასაღები ულუფის კომპენსაციის – 571.83 (519,92+51.92) ლარის ანაზღაურება, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 იანვრის 12 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის დებულების და საქართველოს საბაჟო სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ» დებულების 1-ელი მუხლის თანახმად «ეს დებულება განსაზღვრავს და აწესრიგებს საქართველოს საბაჟო ორგანოების სისტემაში მომუშავე სახელმწიფო მოხელეთა მიერ სამსახურის გავლის წესს, მათ უფლებებს, მოვალეობებსა და სამართლებრივ საფუძვლებს». ამავე დებულების 39-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად «საბაჟო ორგანოების თანამშრომელი იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლევათ), რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია, დანამატს დასვენების და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებს და კომპენსაციებს».

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 იანვრის 12 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის დებულების და საქართველოს საბაჟო სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ» დებულების 39-ე მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული სასურსათო ულუფის ღირებულება წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ ისეთ დანამატს, რომელზედაც მითითებულია «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ელ პუნქტში და რომელიც განიხილება საჯარო მოხელის შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) შემადგენელ ნაწილად.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი. ამავე კანონის გარდამავალი დებულებების 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან განთავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე დაწესებული კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა განხორციელდება დაცულ მუხლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

რაც შეეხება მოთხოვნას, თანხის დაყოვნების ყოველი დღისათვის 0.07%-ის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, სააპელაციო პალატის განმარტებით, 2006 წლის 4 ივლისიდან ამოქმედებული საქართველოს შრომის კოდექსის 31.3-ე მუხლს არ გააჩნია უკუქვეითი ძალა და «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, იგი არ აწესრიგებს საქართველოს შრომის კოდექსის ძალაში შესვლამდე წარმოშობილ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, იგი მიღებულია სამართლის ნორმების დარღვევით, აგრეთვე ფაქტობრივ გარემოებათა შეფასების გარეშე.

კასატორის მითითებით, დავალიანების წარმოქმნის პერიოდისათვის მოქმედი საქართველოს საბაჟო კოდექსის 168.1 მუხლის თანახმად, საბაჟო ორგანოს საჯარო მოხელეზე ვრცელდებოდა პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც განსაზღვრული იყო «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლით. 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, წელთა სამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო. დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონ-

მდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. ამასთან, «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლი 2000 წლის 28 ივნისის 1413 კანონით განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნებაში გულისხმობდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს. ამდენად, სასურსათო ულუფის თანხა 2000 წლის 28 ივნისის შემდეგ მოქმედი რედაქციის «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს არ წარმოადგენს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზეც უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

ამასთან, ულუფის თანხა არ წარმოადგენდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლით განსაზღვრულ ხელფასის კომპონენტს.

კასატორის განმარტებით, შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა დავალიანების თაობაზე კი მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა და იგი მოწმობს არა მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ ფაქტს იმის შესახებ, თუ რა თანხა ერგება მოსარჩელეს, რომელიც მას არ მიუღია, ხოლო ვალის აღიარების, დავალიანების ანაზღაურების თაობაზე დაპირებას შემოსავლების სამსახურის მიერ ადგილი არა აქვს.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული 2011 წლის 3 მაისის განჩინებით, სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი მოსარჩელისათვის 2003 წლის კვების კომპენსაციის - 51,92 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 «ბ» მუხლის საფუძველზე /დივერგენტული კასაცია/, ხოლო 2000 წლის კვების კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში დაუშვებლად.

მოწინააღმდეგე მხარეს მოსაზრება და წერილობითი შესაგებელი საკასაციო საჩივართან დაკავშირებით არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაშვებულ 2003 წლის კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება 2003 წლის კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ფ-ძის სარჩელი 2003 წლის კვების კომპენსაციის - 51,92 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხისათვის 2003 წლის კვების კომპენსაციის თ. ფ-ძის სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში არასწორია, შესაბამისად, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 6 ოქტომბრის ცნობით დადგენილია, რომ თ. ფ-ძის ხელზე მისაღები ხელფასი შეადგენდა სულ 2233,20 ლარს, მათ შორის: 1998 წლის ხელფასი - 978,51 ლარს, 1999 წლის ხელფასი - 471,82 ლარს, 2000 წლის ხელფასი - 158,23 ლარს და ულუფა - 519,92 ლარს, 2003 წლის ხელფასი - 52,80 ლარსა და ულუფა - 51,92 ლარს.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიუთითებს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისთვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. ამასთან, «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლი, 2000 წლის 28 ივნისის 1413 კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად, პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნებაში გულისხმობდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით აღნიშნავს, რომ კვების (ულუფის) კომპენსაციის თანხა 2000 წლის 28 ივნისის შემდეგ მოქმედი რედაქციის «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს არ წარმოადგენს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168.1. მუხლის მიხედვით კი საბაჟო ორგანოს საჯარო მოხელეებზე ვრცელდებოდა პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც განსაზღვრული იყო პოლიციის შესახებ კანონის 31-ე მუხლში.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კვების კომპენსაციის თანხა არ წარმოადგენს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით აღნიშნავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. იმავე პუნქტის მესამე წინადადების მიხედვით, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით ხაზგასმით განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სასურსათო ულუფა წარმოადგენს მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან – სასურსათო ულუფისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134¹ მუხლში. ამდენად, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა («საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134¹ მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემულ საინფორმაციო ხასიათის ცნობაში სახელფასო დავალიანებასთან ერთად, მითითებულია კვების ულუფის დავალიანებაზე, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების ულუფის დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

იმის გათვალისწინებით, რომ თ. ფ-მემ, სარჩელი აღძრა 2010 წლის 8 ოქტომბერს, ხოლო სადავოა 2003 წლის კვების ულუფის თანხა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოთხოვნა 2003 წლის კვების კომპენსაციის – 51,92 ლარის ანაზღაურების ნაწილში აღძრულია მოთხოვნის 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გაშვებით, რაც სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ხანდაზმულობის მოტივით მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის საფუძველს.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2003 წლის კვების კომპენსაციის თანხის – 51,92 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულია, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს კი არ უღიარებია მოსარჩელის წინაშე კვების დავალიანება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეთათვის 2003 წლის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამდენად, აღნიშნულ ნაწილში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ მიაჩნია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება 2003 წლის კვების კომპენსაციის თანხის – 51,29 ლარის თ. ფ-ის სასარგებლოდ სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამავე ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც 2003 წლის კვების კომპენსაციის თანხის – 51,92 ლარის თ. ფ-ის სასარგებლოდ სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის დაკისრების თაობაზე სარჩელი არ დაკმაყოფილდება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243.2, 257-ე, 372-ე, 243.2, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. სსპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება მოსარჩელე თ. ფ-ისათვის 2003 წლის კვების ულუფის კომპენსაციის 51,92 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. თ. ფ-ძის სარჩელი 2003 წლის კვების ულუფის კომპენსაციის – 51,92 ლარის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სოციალური დახმარება

იძულებით გადაადგილებული პირისათვის კომუნალური გადასახადის ანაზღაურება, დავალიანების თანხის განსაზღვრა

განჩინება

18ს-1349-1288 (კ-09)

17 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 21 მაისს შპს «...ის» დირექტორმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და მესამე პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე, მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ შენობაში, მდებარე ქ. თბილისი, ...ის ქ. 148 და ...ის ქ. 18-ში 1996 წლიდან ჩასახლებულია აფხაზეთიდან დროებით იძულებით გადაადგილებული 215 პირი.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, დადგენილი ტარიფით, თითოეული დევნილის კომუნალური მომსახურებისათვის უნდა აენაზღაურებინა ყოვეთვიურად 3,5 ლარი.

მოსარჩელის განმარტებით, 1996-2000 წლებში დევნილთა მომსახურებისათვის განკუთვნილი თანხები არ მიუღია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაკისრებოდა წლების განმავლობაში დევნილთა (აფხაზეთიდან იძულებით ადგილმონაცვლეთა) კომუნალური გადასახადების სახით 22100 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს «...ის» სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაეკისრა შპს «...ის» 9030 ლარის გადახდა; ხოლო სასარჩელო მოთხოვნა 1998-1999 წლების დავალიანების გადახდის ნაწილში არ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შპს «...ის» სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 275 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2006 წლის 4 იანვრის 106.01-17/374 წერილის თანახმად, ...ის ქ. 148-ში მდებარე «...ისა» და ...ის ქ. 18-ში მდებარე «...ის» შენობაში რეგისტრირებულია 277 პირი.

აფხაზეთის დროებითი კომისიის მიერ შესწავლილ იქნა ქ. თბილისში, ...ის ქ. 148-ში და ...ის ქ. 18-ში მდებარე სასწავლო სამეცნიერო ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა მდგომარეობა, მათი სულადობის რაოდენობისა და ჩასახლების დროს დაზუსტების მიზნით, რის შედეგადაც 2006 წლის 25 ივლისს შედგა აქტი 11. შემოწმების შედეგების მიხედვით, ...ის ქ. 148-ში 1996 წლიდან ჩასახლებულია – 123, ხოლო ...ის ქ. 18-ში – 92 დევნილი.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2003 წლის 27 მაისის წერილის შესაბამისად ობიექტზე, სადაც დევნილებია ჩასახლებული «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, კომუნალური მომსახურებისათვის თითოეულ დევნილზე გათვალისწინებულია 3,50 ლარი.

შპს «...ის» 2003 წლის 29 აპრილის 121 წერილის საფუძველზე, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დაადასტურა, რომ შპს «...ის» სარჩელის წარდგენის დროისათვის არ ჰქონდა მიღებული სახელმწიფოს მიერ დაწესებული და ბიუჯეტით გათვალისწინებული კომუნალური ხარჯები.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნა 1998-1999 წლების დავალიანების ნაწილში ხანდაზმულია, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი, ამასთან, საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2006 წლის 4 იანვრის 106.01-17/374 წერილით დადასტურებულია, რომ შპს «...ში» ჩასახლებული არიან დევნილები. «ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებულია მათი კომუნალური ხარჯების ანაზღაურე-

ბის თანხები, მაგრამ იმის გამო, რომ ორგანიზაციას არ წარუდგენია საბანკო რეკვიზიტები საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვის, 2003 წლის 4 ივნისამდე ფერხდებოდა თანხების გადარიცხვა, ამასთან, მოპასუხე წერილობით დაჰპირდა მოსარჩელეს, რომ მასიდან საჭირო თანხას მიიღებდა ცენტრალური ბიუჯეტიდან დფინანსების კვალობაზე, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას და რომელიც გახდა მოსარჩელის კანონიერი ნდობის საფუძველი.

სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დაპირების საფუძველზე შპს «...მა» 2003 წლის 23 სექტემბრის 127 წერილით თანხის გადარიცხვის მოთხოვნით კვლავ მიმართა სამინისტროს და აცნობა თავისი რეკვიზიტები, თუმცა მოპასუხეს თანხები არ გადაურიცხავს. ამდენად, დევნილთა კომუნალური მომსახურებისათვის 2000 წლის დავალიანების, კერძოდ, ...ის ქ. 148-ში 123 დევნილისა და ...ის ქ. 18-ში 92 დევნილის კომუნალური გადასახადის ნაწილში მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს, საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებებს.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ თანხა, რომელიც ყოველწლიურად არის გაწერილი «ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონში, წარმოადგენს სრული კომუნალური მომსახურების თანხას, აქედან 2 ლარი განკუთვნილია იმ პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის, რომელიც მომსახურებას უწევს დევნილებს (ანუ ორგანიზაციის ადმინისტრაციას), ხოლო დარჩენილი 1,5 ლარი განკუთვნილია საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების გაწევისათვის. კერძოდ, მომხმარებელი წყლისათვის, ნარჩენების გატანისათვის, დეზინფექციონდერატორებისათვის, რომლის ანაზღაურებასაც სამინისტრო ახორციელებს უშუალოდ იმ ორგანიზაციასთან, რომელიც აღნიშნულ მომსახურებას უწევს დევნილებს და არა თვით ამ კომპაქტურად ჩასახლების ობიექტის ადმინისტრაციასთან. ამდენად, სამინისტროს ვალდებულება კომპაქტური ჩასახლების ობიექტის ორგანიზაციასთან მიმართებაში განისაზღვრა 2 ლარით და არა 3,5 ლარით, შესაბამისად, მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილ სქემაში მითითებული თანხის ოდენობა არასწორადაა დაანგარიშებული და მიუხედავად სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული საკითხის არაერთგზის დაყენებისა, არც ერთი სასამართლოს მიერ არ იქნა გაზარებული.

კასატორის განმარტებით, სამინისტროს ეკისრება კანონისმიერი ვალდებულება კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა მომსახურების ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც გაწერილია ყოველწლიურად «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონში. აღნიშნული ვალდებულება უნდა განხორციელდეს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, სავალდებულოა შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება მოცემულ ორგანიზაციასთან, რაც სამინისტროს ვალდებულების შესრულების არსებითი პირობაა და რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ განხორციელებულა, ხოლო სასამართლოს, აღნიშნული საკითხი, საქმის არსებითად განხილვის დროს არ გამოუკვლევია.

საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე, ხანდაზმულობის ვადა ჩათვალა შეწყვეტილად, დაეყრდნო რა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2003 წლის 12 ივნისის წერილს, სადაც სამინისტროს მიერ თანხის გადარიცხვაზე დაპირება გამოთქმულია სამომავლოდ შესასრულებელ ვალდებულებაზე და არა წინა პერიოდის დავალიანებაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის განჩინების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსხილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2006 წლის 4 იანვრის '06/01-17/374 წერილის თანახმად, ქ. თბილისში, ...ის ქ. 148-ში მდებარე «...ის» და ...ის ქუჩა 18-ში მდებარე «...ის» შენობაში რეგისტრირებულია 277 პირი.

აფხაზეთის დროებითმა კომისიამ 2006 წელს შეისწავლა ქ. თბილისში, ...ის ქ. 148-ში და ...ის ქუჩა 18-ში მდებარე სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა

მდგომარეობა, მათი სულადობის რაოდენობისა და ჩასახლების დროის დაზუსტების მიზნით. რაზედაც 2006 წლის 25 ივლისს შედგა 11 აქტი.

შემოწმებით დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. 148-ში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით ცხოვრობდა 175 დევნილი, რომელთაგან 123 პირი აღნიშნულ მისამართზე ჩასახლებული იყო 1996 წლიდან, ხოლო დანარჩენი მაცხოვრებლები შესახლდნენ შემდგომ წლებში. ...ის ქ.18-ში მდებარე შენობაში ცხოვრობდა 102 დევნილი, რომელთაგან 92 პირი აღნიშნულ შენობაში ჩასახლებული იყო 1999 წლიდან, დანარჩენი მაცხოვრებლები შესახლდნენ შემდგომ წლებში.

ზემოაღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით სასამართლოებმა დადგენილად მიიჩნიეს, რომ ...ის ქ. 148-ში ჩასახლებული იყო 123 დევნილი, ხოლო ...ის ქუჩა 18-ში – 92 დევნილი.

კასატორი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას და თვლის, რომ ლტოლვილთა რაოდენობა არ შეესაბამება სასამართლოს მიერ მითითებულ ოდენობას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას ლტოლვილთა რაოდენობის ნაწილში და კასატორის ყურადღებას მიაქცევს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის შესაბამისადაც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

საგულისხმოა, რომ კასატორი ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით არა თუ არ წარმოადგენს დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას, არამედ ქვედა ინსტანციის სასამართლოთა არა ერთი მოთხოვნის მიუხედავად, ვერ უზრუნველყო იმ მასალების მოძიება, რაც სადავოს გახდიდა საქმეში ლტოლვილთა რაოდენობის თაობაზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს. მითითებული, კი საკასაციო სასამართლოს ართმევს პროცესუალურ შესაძლებლობას ეჭვქვეშ დააყენოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ ლტოლვილთა ოდენობის თაობაზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება და უდავოდ მიიჩნევს, რომ ...ის ქ. 148-ში 1996 წლიდან ჩასახლებული იყო 123 დევნილი, ხოლო ...ის ქუჩა 18-ში – 92 დევნილი.

საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს წინამდებარე დავის სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებზე მითითებით გადაწყვეტას და თვლის, რომ არ არსებობს კანონის არასწორი გამოყენების მოტივით გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოს შეფასებას საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2003 წლის 12 ივნისის 1რ-01/01-17/498 წერილთან მიმართებაში და თვლის, რომ აღნიშნული წერილის საფუძველზე სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება, რომლის მიმართაც შპს «...ს» წარმოეშვა კანონიერი ნდობა.

საკასაციო სასამართლო ასევე უდავოდ მიიჩნევს ფაქტს იმის თაობაზე, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო წარმოადგენს იმ ორგანოს, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა მომსახურების ანაზღაურების უზრუნველყოფის ვალდებულება. აღნიშნული ანაზღაურება უნდა განხორციელდეს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მხარეთა უფლებების სრული დაცვით. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო ეჭვქვეშ აყენებს შპს «...ს» მიკუთვნებული თანხის ოდენობას და თვლის, რომ საკითხი სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ ნაწილში საჭიროებს დამატებით შესწავლა-გამოკვლევას.

საგულისხმოა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში თითქმის ყოველწლიურად ხდებოდა იმ თანხების გაწერა, რაც უზრუნველყოფდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების ხარჯების ანაზღაურებას. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ნება ეძლეოდა, ორგანიზებულად ჩასახლებულ ადგილებში მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის მიემართა 2,0 ლარი, ხოლო დანარჩენი კომუნალური მომსახურებისათვის – 1,5 ლარი. ამდენად უდავოა ფაქტი იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს მხრიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა კომუნალური მომსახურებისათვის სულ გათვალისწინებული იყო 3,5 ლარი. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კანონმდებლის მიერ კონკრეტიზირებულია, თუ რა რაოდენობის თანხა, რა სახით უნდა ყოფილიყო მიმართული. ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლიოს, კანონით განსაზღვრული 3,5 ლარიდან რა წესით უნდა ყოფილიყო გადანაწილებული დანარჩენი კომუნალური მომსახურებისათვის გათვალისწინებული 1,5 ლარი. გადახდა უნდა მომხდარიყო უშუალოდ იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა კომუნალურ მომსახურებას, თუ აღნიშნული თანხის გადახდა ხდებოდა ე.წ შუალედური რგოლის, ანუ იმ სუბიექტების მეშვეობით, რომლის საკუთრებაშიც მითითებული პირები იყვნენ ჩასახლებული.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს ასევე «წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანების დაფარვის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს 1607 განკარგულებას, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა 13 069 900.0 ლარის ფარგლებში 11 და 12 დანართებით განსაზღვრული ორგანიზაციების საგადასახადო დავალიანების დაფარვა «საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონით განსაზღვრული ორგანიზაციული კლასიფიკაციის კოდიდან – «23 10 – ორგანიზაციების წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანების დაფარვა».

ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 11-ში, მე-12 ნომრად მითითებულია შპს «...». საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს დადგინდეს, ხომ არ მოხდა მითითებულ განკარგულებაში განსახილველი სადავო პერიოდის კრედიტორულ დავალიანებად ასახვა, რაც არსებითად ცვლის საქმის არსს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის შემდგომი გამოკვლევის მიზნით იმავე სასამართლოში დაბრუნებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის შეწყვეტის საფუძველი

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

18ს-1464-1398(კ-09)

24 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 12 სექტემბერს ნ. თ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოსა და მესამე პირის – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს გორის რაიონული განყოფილების მიმართ და მოითხოვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2008 წლის 18 აგვისტოს 102/09-17751 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელება – 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ივლისის ჩათვლით გაუცემელი (8 თვის) შემწეობის გაცემა.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავდა, რომ მისი ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. 2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის აპრილის ჩათვლით ღებულობდნენ შემწეობას 42 ლარის ოდენობით.

2007 წლის მარტში მოსარჩელეს გარდაეცვალა მამა. მამის გარდაცვალების შემდეგ ნ. თ-შვილის ოჯახი დაექვემდებარა ხელახალ შემოწმებას. შეფასების შემდეგ სარეიტინგო ქულამ შეადგინა 59 000, რაც საარსებო შემწეობის დანიშვნის უფლებას არ იძლეოდა. 2008 წლის ივლისის თვიდან მოსარჩელემ კვლავ მოიპოვა საარსებო შემწეობის დანიშვნის უფლება.

მოსარჩელის მოსაზრებით, საარსებო შემწეობის გაცემის შეწყვეტა განხორციელდა უკანონოდ. 2008 წლის მაისში მან განცხადებით მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს და მოითხოვა 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ივლისის ჩათვლით საარსებო შემწეობის გაცემა.

სოციალური სუბსიდიების სააგენტოში განხილულ იქნა ნ. თ-შვილის განცხადება და მას ეცნობა, რომ მოიპოვა საარსებო შემწეობის დანიშვნის უფლება 2008 წლის ივლისიდან.

ნ. თ-შვილმა ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოში და მოითხოვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სოციალური პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსის 2008 წლის 10 ივნისის 110/10-12377 ადმინისტრაციული აქტის გაუქმება და ახალი აქტის გამოცემა, რომლის საფუძველზეც იგი მიიღებს 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ივნისის, გაუცემელი 8 თვის ფულადი სახის სოციალურ დახმარებას – საარსებო შემწეობას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს გადაწყვეტილებით ნ. თ-შვილის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მოითხოვდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2008 წლის 18 აგვისტოს 102/09-17751

გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ივნისის გაუცემელი 8 თვის საარსებო შემწეობის გაცემას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. თ-შვილის სარჩელი მოპასუხე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოსა და მესამე პირის – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს გორის რაიონული განყოფილების მიმართ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 2008 წლის 18 აგვისტოს 102/09-17751 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების – 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ივლისის ჩათვლით გაუცემელი (8 თვის) შემწეობის გაცემის დავალების თაობაზე დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებაში განმარტავდა, რომ წარმოდგენილი სარჩელი აღძრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად. კერძოდ, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. ასეთი სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით აღძრული სარჩელის საფუძველზე მოსარჩელეს შეუძლია მიაღწიოს იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას ან ძალადაკარგულად გამოცხადებას, რომელიც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას და შესაბამისად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ იმ პირის ან პირების მიერ, რომელსაც ფაქტების შემდგომი შეუძლია დაამტკიცოს, რომ მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები დარღვეული იქნა ამ აქტით.

სასამართლო აღნიშნავდა, რომ ადმინისტრაციული წარმოება ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა, რომელიც მიმართულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემის და აღსრულებისკენ. ადმინისტრაციული კოდექსი ჩამოთვლის ადმინისტრაციული წარმოების სახეებს და ამკვიდრებს პრინციპს, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს გამოსცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საფუძველია: ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველების დაცვა, კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დაწესების დაუშვებლობა, დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, აცილების უფლება, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების განსაზღვრის პროცესში აუცილებელია ყურადღება მიექცეს მის დასაბუთებას – ყოველი წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს მის დასაბუთებას. მასში უნდა იყოს მოცემული ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზე გამოიცა ეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაუდო თავის გადაწყვეტილებას. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირი ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 179-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება დადგენილი წესის შესაბამისად დაიწყება მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, რაც კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ განხორციელდა.

საქალაქო სასამართლო მიუთითებდა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ვალდებული იყო ემსჯელა, რეალურად არსებობდა თუ არა მოსარჩელისათვის უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი და განეხილა ადმინისტრაციული საჩივარი.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავდა, რომ დაუშვებელია ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი, ისე, რომ არ შეაჯეროს და არ შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის

მქონე ყველა გარემოება, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, რასაც ადგილი აქვს განსახილველ დავაში. კერძოდ:

მოპასუხე მხარის მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლი, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრავს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმის საფუძველს, ასევე 201-ე მუხლი, სადაც მოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით, ხოლო ამავე კოდექსის 202-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი უნდა აკმაყოფილებდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, რაც მოპასუხე მხარის მიერ უგულებელყოფილია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევდა, რომ მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია და საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღების დროს შესწავლილი იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. გარდა ამისა, სასამართლოს მოსაზრებით, დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, არგუმენტებზე, რომლებიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი. ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციული აქტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს წინასწარი გამოკვლევის გარეშე უარი განაცხადოს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხზე განცხადების ან შუამდგომლობის მიღებაზე იმ საფუძველზე, რომ ეს განცხადება ან შუამდგომლობა დაუშვებელი ან დაუსაბუთებელია, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2008 წლის 18 აგვისტოს '02/09-17751 გადაწყვეტილება.

სასამართლო აღნიშნავდა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ივლისის ჩათვლით გაუცემელი (8 თვის) შექმნობის გაცემის დავალების ნაწილში წარმოადგენს სადავო აქტის ბათილობის თანამდევ შედეგს, რაც განხორციელებული უნდა იქნეს მოპასუხე მხარის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი წესით, ვინაიდან ქმედების განხორციელების თაობაზე 24-ე მუხლით აღმრული სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების კრიტერიუმები მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლში.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველების შემოწმება შეუძლებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო განმარტავდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377.1 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3 «გ» მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით განმარტა შემდეგი:

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 4 აგვისტოს '126 დადგენილებით «სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ» დამტკიცებულ იქნა სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების თანდართული მეთოდოლოგია, რომლითაც დადგენილი იქნა სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მსურველ პირთა კეთილდღეობის დონის შეფასების წესი. ამ დადგენილების 1.1 მუხლის თანახმად, სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მსურველ შენამეურნეობათა (შემდგომში-მამიებელთა) კეთილდღეობის დონის შესაფასებლად ამ მეთოდოლოგიის მიხედვით გამოიყენება შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსი, რომლის სტრუქტურა განისაზღვრება მე-2 მუხლით. ამ მუხლის მე-2 პუნქტით, ამა თუ იმ მამიებლის კეთილდღეობის ინდექსის გამოთვლის პროცედურა ეფუძნება სოციალური აგენტის მიერ მისთვის ჩამორთმეული ინტერვიუს შედე-

გებს. ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად, ინტერვიუს დროს სოციალური აგენტი ავსებს სოციალურ კითხვარს, რომელშიც ფიქსირდება მამიებლის მახასიათებლების ყველა ის მნიშვნელობა, რომლებიც გამოიყენება კეთილდღეობის ინდექსის გამოსათვლელ ფორმულაში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს 1225 ბრძანებით «მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ» დამტკიცდა მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის თანდართული წესი. ამ წესის 1.1. მუხლის თანახმად, ეს წესი შემუშავებული იქნა «სოციალური დახმარების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 1145 დადგენილების, ქვეყანაში სიღატაკის როლის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის 151 დადგენილების, აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი მიზანია საქართველოში უკიდურეს სიღატაკში მყოფი ოჯახებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნა-გაცემასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება. ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეს წესი ადგენს «სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში» რეგისტრირებულ ოჯახებზე, მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესსა და პირობებს, რაც გულისხმობს მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნა-გაცემისათვის საჭირო მთელი ორგანიზაციული ციკლის რეგულირებას, განსაზღვრავს სოციალური დახმარების ადმინისტრირების ორგანოს კომპეტენციებს, არეგულირებს მიზნობრივი სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

მითითებული წესის 16.1 მუხლის თანახმად, საარსებო შემწეობის შეწყვეტის საფუძველია: ა) საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახის ყველა სრულწლოვანი ქმედუნარიანი წევრის გარდაცვალება; ბ) ოჯახის განცხადება; გ) ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმება; დ) ოჯახის სარეიტინგო ქულის ცვლილება; ე) საარსებო შემწეობის ზღვრული ქულის ცვლილება.

სააპელაციო პალატა აღნიშნავდა, რომ განსახილველი დავის შემთხვევაში ნ. თ-შვილისათვის დანიშნული შემწეობის შეწყვეტის საფუძველად მიეთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს 1225 ბრძანების «მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ» 16.1 «დ» მუხლი – ოჯახის სარეიტინგო ქულის ცვლილება.

სააპელაციო პალატა მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 4 ივნისითა (შეწყდა შემწეობა) და 2008 წლის 18 იანვრით (დანიშნა შემწეობა) დათარიღებული «ოჯახის დეკლარაციების» შედარებით დგინდება, რომ მითითებულ პერიოდში მოსარჩელის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ შეცვლილა, არ გაუმჯობესებულა, ორივე დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები არის იდენტური და რაიმე ცვლილება ამ მონაცემებს შორის არ აღინიშნება. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ «ოჯახის დეკლარაციების» სხვადასხვა სარეიტინგო ქულებით შეფასება და ამის საფუძველზე მოსარჩელისათვის საარსებო შემწეობის შეწყვეტა კანონშეუსაბამია.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ივლისის განჩინების გაუქმება და ნ. თ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, სასამართლოს მიერ სათანადოდ არ შეფასებულა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც საქმეზე სასამართლოს დასკვნები ყოველგვარ საფუძველზე მოკლებულია.

კასატორი აღნიშნავდა, რომ ნ. თ-შვილი არც ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებისას და არც საქმის სასამართლოში განხილვისას სადავოდ არ ხდოდა ოჯახის დეკლარაციებში შეტანილი მონაცემების სისწორეს და შესაბამისობას მის მიერვე სოც. აგენტისათვის დეკლარირებულ მონაცემებთან. ეს კი მეტყველებს, რომ მისი ოჯახის მიმართ დაცულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 29 სექტემბრის 11-1/1024 ბრძანებით დამტკიცებული «სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის» მოთხოვნები.

სოციალური მომსახურების სააგენტო მიუთითებდა, რომ ნ. თ-შვილის ოჯახის დეკლარაციაში ასახული მონაცემები დამუშავდა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 4 აგვისტოს 1126 დადგენილებით დამტკიცებული «სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის» შესაბამისად და ყოველი შეფასებისას დადგინდა ამ ოჯახის სარეიტინგო ქულები. კასატორის განმარტებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ამ მეთოდოლოგიის მიხედვით ხორციელდება ავტომატიზებული პროგრამის საფუძველზე და მასში გარე, მექანიკური ჩარევა შეუძლებელია. შესაბამისად, სააგენტოს მხრიდან ნ. თ-შვილის ოჯახის შეფასება როგორც მიმდინარე ეტაპზე, ასევე 2007 წლის 4 ივნისის და 2008 წლის 18 იანვრის დეკლარაციების საფუძველზე, განხორციელებულია სწორედ ამ მეთოდოლოგიით, ავტომატიზებული პროგრამული სისტემით და მასში რაიმე ცდომილების არსებობა გამორიცხულია.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლო ჩაერია სააგენტოს ფუნქციებში და მიიღო ნ. თ-შვილისათვის 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ივლისის ჩათვლით შემწეობის ანაზღაურების გადაწყვეტილება, ნაცვლად იმისა, რომ დაევალებინა ნ. თ-შვილის მიმართ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

კასატორი საკასაციო საჩივარში ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ ნ. თ-შვილს საარსებო შემწეობა შეუწყდა მის მიერ სადავოდ ქვეული არა სააგენტოს 2008 წლის 10 ივნისის 110/10-12377 წერილისა და 2009 წლის 18 აგვისტოს 102/09-17751 გადაწყვეტილების, არამედ შემწეობის შეწყვეტის შესახებ მიღებული სააგენტოს გადაწყვე-

ტილების საფუძველზე, რაც დავის მიუხედავად, დღემდე ძალშია. კასატორის მითითებით, იმისათვის, რომ არსებობდეს შემწეობის შეწყვეტის გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველები, ნ. თ-შვილმა უნდა დაასაბუთოს, რომ მისი ოჯახის მიმართ ადგილი ჰქონდა ადმინისტრირების პროცედურების დარღვევას ან სოც. აგენტის მიერ არასწორად იქნა ასახული მისი ოჯახის მონაცემი ოჯახის დეკლარაციაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: **2005 წლის 28 ოქტომბერს** ნ. თ-შვილმა განცხადებით მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს გორის რაიონულ განყოფილებას სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეყვანის თაობაზე. ნ. თ-შვილის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა განხორციელდა იმავე წლის **3 დეკემბერს**, რის შედეგადაც ოჯახის სარეიტინგო ქულა განისაზღვრა **34710**. საქართველოს მთავრობის **2006 წლის 28 ივლისის 1145** დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და იმავე წესების მე-7 და მე-11 მუხლების საფუძველზე ნ. თ-შვილის ოჯახს **2006 წლის** სექტემბრიდან დაენიშნა ფულადი სახის სოციალური დახმარება **2 სულზე, 42 ლარის** ოდენობით.

2007 წლის 25 მაისს ნ. თ-შვილმა განცხადებით მიმართა სააგენტოს გორის რაიონულ განყოფილებას და მამის გარდაცვალების მოტივით, მოითხოვა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი შესწავლა. შესწავლის შედეგად ოჯახის სარეიტინგო ქულამ შეადგინა **47080**, რის საფუძველზეც **2007 წლის 1** სექტემბრიდან გაუგრძელდა საარსებო შემწეობის გაცემა **1 სულზე 30 ლარის** ოდენობით, შესაბამისად აღნაზღაურდა შეჩერების მომენტიდან მიუღებელი დახმარება.

2007 წლის ნოემბრიდან, მორიგი გადამოწმების შედეგად, ნ. თ-შვილს შეუჩერდა საარსებო შემწეობის გაცემა. შესწავლისა და მონაცემების არსებული მეთოდოლოგიით დამუშავების შემდეგ სარეიტინგო ქულამ შეადგინა **59800**, რაც ჩაითვალა ზღვარზე მაღალ ქულად და გამოიწვია შემწეობის გაცემის შეწყვეტა.

სააგენტოს შიდა ქართლის საკოორდინაციო ცენტრის **2007 წლის 17 მარტის 1172** წერილით სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტს გაეგზავნა «სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში» რეგისტრირებული ოჯახების სია, რომელშიც მოხსენიებული იყო ნ. თ-შვილი და ითხოვდა ნებართვას განმეორებით გადაამოწმებაზე. თანხმობის მიღების შემდეგ, **2008 წლის 14** ივნისს შიდა ქართლის საკოორდინაციო ცენტრის მიერ გადამოწმდა ნ. თ-შვილის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ოჯახს მიენიჭა სარეიტინგო ქულა – **50790**. სააგენტოს ცენტრალური აპარატის მიერ საქმის შესწავლით დადგინდა, რომ ოჯახის დეკლარაციის შევსების დროს ადილი არ ჰქონია კანონმდებლობით რეგლამენტირებული ნორმების დარღვევას, ოჯახის დეკლარაციით გათვალისწინებული მონაცემები დამუშავებული იყო საქართველოს მთავრობის **2005 წლის 4** აგვისტოს **1126** დადგენილებით დამტკიცებული «სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიით», რაც არ იძლეოდა საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს.

ნ. თ-შვილი სასარჩელო განცხადებით სადავოდ ხდის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს **2008 წლის 18** აგვისტოს **02/09-17751** გადაწყვეტილებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი ადმინისტრაციული საჩივარი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მხრიდან სადავოდ არაა ქცეული შემწეობის შეწყვეტის თაობაზე სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სარჩელის საფუძველზე სადავოდაა გამხდარი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს **2008 წლის 18** აგვისტოს **02/09-17751** გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. თ-შვილს უარი ეთქვა **2007 წლის** ნოემბრიდან **2008 წლის** ივნისის ჩათვლით საარსებო შემწეობის გაცემაზე და ასევე სააგენტოს სოციალური პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსის **2008 წლის 10** ივნისის **110/10-12377** აქტის ბათილობაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარემ ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე სადავოდ გახადა ყველა მანამდე არსებული აქტი, ხოლო საბოლოოდ სარჩელის საფუძველზე ითხოვს მისი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის თაობაზე მიღებული შემაჯამებელი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობას, რაც ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნის სრული მოცულობით დაკმაყოფილების შემთხვევაში, ყველა მანამდე მიღებული აქტი ჩაითვლება კანონშესაბამოდ. ამდენად საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას მოთხოვნის არასრულყოფილების თაობაზე და თვლის, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შეეძლო მოთხოვნის დაზუსტება, სარჩელის ფარგლებში დავის გადაწყვეტით არ დარღვეულა საპროცესო სამართლის ნორმები, რაც არ იძლევა ამ მოტივით გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ნ. თ-შვილს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა საქართველოს მთავრობის **2005 წლის 4** აგვისტოს **1126** დადგენილებაზე მითითებით.

საქართველოს მთავრობის **2005 წლის 4** აგვისტოს **1126** დადგენილებით დამტკიცდა სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების თანდართული მეთოდოლოგია, რომლითაც დადგინდა სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) მონაცემთა ბაზაში რეგისტრირების წესები.

ტრაციის მსურველ პირთა კეთილდღეობის დონის შეფასების წესი. მითითებული დადგენილების 1.1 მუხლის შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მსურველ შინამეურნეობათა (შემდგომში-მაძიებელთა) კეთილდღეობის დონის შესაფასებლად ამ მეთოდოლოგიის მიხედვით გამოიყენება შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსი, რომლის სტრუქტურა განისაზღვრება მე-2 მუხლით. მითითებული მუხლის მე-2 პუნქტით, ამა თუ იმ მაძიებლის კეთილდღეობის ინდექსის გამოთვლის პროცედურა ეფუძნება სოციალური აგენტის მიერ მისთვის ჩამორთმეული ინტერვიუს შედეგს. ხოლო მე-3 პუნქტის შესაბამისად, ინტერვიუს დროს სოციალური აგენტი ავსებს სპეციალურ კითხვარს, რომელშიც ფიქსირდება მაძიებლის მახასიათებლის ყველა ის მნიშვნელობა, რომელიც გამოიყენება კეთილდღეობის ინდექსის გამოსათვლელად ფორმულარში.

სარეიტინგო ქულების გამოთვლის მეთოდოლოგიის სპეციფიკა საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს გაიზიაროს კასატორის მითითება იმის თაობაზე, რომ სასამართლო, მოცემულ პირობებში, მოკლებულია შესაძლებლობას არსებითად იმსჯელოს სადავო აქტის კანონიერებაზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ შემწეობის შეწყვეტის მომენტისათვის შედგენილი «ოჯახის დეკლარაცია» და 2008 წლით დათარიღებული დეკლარაცია (დაინიშნა შემწეობა) თავისი შინაარსით არის იდენტური, მითითებულ პერიოდში მოსარჩელე ნ. თ-შვილის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ შეცვლილა და არ გაუმჯობესებულა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, იმ პირობებში, როდესაც დეკლარაციები არის იდენტური, ხოლო შეფასება მომხდარია სხვადასხვა სარეიტინგო ქულით, კასატორი ვალდებულია საკანონმდებლო ნორმებზე დაყრდნობით, დაასაბუთოს კონკრეტულად რა ფაქტობრივმა გარემოებებმა განაპირობა ქულათა სხვადასხვაობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 202-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი უნდა აკმაყოფილებდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

იმავე კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ხოლო მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქმეში წარმოდგენილი «ოჯახის დეკლარაციების» იდენტურობა და მიღებული გადაწყვეტილების განსხვავებული შინაარსი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იძლევა საფუძველს მივიჩნიოთ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხი გამოკვლეული და შესწავლილი არ არის სრულყოფილად, გასაჩივრებული აქტი არ იძლევა იმის განსაზღვრის შესაძლებლობას, რამ განაპირობა სარეიტინგო ქულის ცვლილება, იმ ვითარებაში, როდესაც ნ. თ-შვილი 2007 წლის ნოემბრამდე ითვლებოდა სოციალურად დაუცველ პირად და აკმაყოფილებდა შემწეობის მიღების პირობებს და ასეთადვე ითვლება 2008 წლის ივლისიდან. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, წარმოადგინოს დასაბუთება, რა სახის ცვლილებები განიცადა ნ. თ-შვილის სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ 8-თვიან შუალედში, რითიც მას მოესპო სოციალური შემწეობის მიღების უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მიიჩნევს დაუსაბუთებლად, თვლის, რომ საქმეზე სრულყოფილად არ არის დადგენილი და გამოკვლეული გარემოებები, რაც იძლევა სადავო აქტის ბათილობისა და მისი ხელახალი გამოკვლევის მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნების საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ივლისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. თ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 2008 წლის 18 აგვისტოს 102/09-17751 გადაწყვეტილება და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალოს საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ნ. თ-შვილისათვის 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ივნისის ჩათვლით საარსებო შემწეობის გაცემის თაობაზე;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის
დახმარების შეწყვეტის საფუძველი**

განჩინება

18ს-910-884(კ-10)

16 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ჩ-მემ სარჩელი აღძრა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის საკოორდინაციო ცენტრის მიმართ და მოითხოვა სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის საკოორდინაციო ცენტრის ოზურგეთის საკონტროლო ჯგუფის '3 შეწყვეტის ოქმის ბათილად ცნობა შემდეგი საფუძველით:

საქმის გარემოებები:

მოსარჩელის მითითებით, რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ღებულობდა საარსებო შემწეობის 42 ლარს. 2007 წლის 25 სექტემბერს ოზურგეთის საკონტროლო ჯგუფმა შეადგინა შეწყვეტის ოქმი '3, რის საფუძველზეც გაუქმდა მისი რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და შეუწყვიტეს შემწეობის – 42 ლარის მიღება, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველები:

მოსარჩელის განმარტებით, მან განცხადებით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს 2007 წლის 25 სექტემბრის '3 შეწყვეტის ოქმის თაობაზე, საიდანაც 2009 წლის 15 ივნისის წერილით ეცნობა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების სიაში რეგისტრაცია გაუქმებულია მისი მხრიდან არასწორი და ყალბი ინფორმაციის მიწოდების გამო, კერძოდ, თითქოს მის მიერ არასწორად იქნა მითითებული ოჯახის შემოსავალი და გასავალი. მოსარჩელემ 2009 წლის 17 სექტემბერს კვლავ მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის საკოორდინაციო ცენტრს, რომ წარმოედგინა კონკრეტული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველები:

მოსარჩელემ «სოციალური დახმარების შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ელი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის 1-ელი და მე-5 პუნქტების საფუძველზე მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

მოპასუხემ – სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის საკოორდინაციო ცენტრმა სარჩელი არ ცნო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის '51 დადგენილებით დამტკიცებული «სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის» მე-12 და მე-13 მუხლების საფუძველზე, ოჯახის მიერ დეკლარირებული მონაცემები არ შეესაბამებოდა ოჯახის რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ადგილი ჰქონდა არასწორი ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, მოსარჩელის მიერ დაირღვა ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა და წესი.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ჩ-მის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის '51 დადგენილებით დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, «მაძიებელი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შედეგად მიწოდებული არასწორი ინფორმაციის დადგენის შემთხვევაში მაძიებელი ოჯახის განაცხადი მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად ძალას კარგავს ავტომატურად. სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მაძიებელი ოჯახი კარგავს უფლებას მომდევნო სამი წლის განმავლობაში განმეორებით მოითხოვოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია», სასამართლოს განმარტებით, წარმოდგენილი მასალების შესაბამისად დასტურდება, რომ მოსარჩელემ მიუთითა, ოჯახის შემოსავალი, რომელიც განსხვავებულია ხარჯებისგან.

გარდა აღნიშნულისა, დადასტურებულია, რომ ა. ჩ-მეს ჰყავს ძლიერი თანადგომის ქსელი შვილისა და სიძის სახით, რომლებსაც აქვთ კერძო ბიზნესი.

ამასთან, სასამართლოს მითითებით, ა. ჩ-მეს დახმარება არ მიუღია 2007 წლის ივლისიდან და აღნიშნული მისი მხრიდან 2 წლის განმავლობაში არ გამხდარა სადავოდ.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ჩ-მემ და მოითხოვა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველით:

არამართებულია რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ ა. ჩ-მემ მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია ოჯახის ხარჯების შესახებ. კითხვას, რომელიც ეხებოდა ოჯახის მიერ გასული წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ ა. ჩ-მემ უპასუხა, რომ გასულ წელს მიიღო შემოსავალი 1570 ლარის ოდენობით. აპელანტის განმარტებით, 2006 წლის ივნისიდან 2007 წლის ივლისამდე ა. ჩ-მემ და მისმა მეუღლემ – ნ. ჩ-მემ პენსიის სახით მიიღეს შემოსავალი 1300 ლარის ოდენობით, ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახების სიაში რეგისტრაციის შემდეგ 2007 წლის 1 იანვრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით მიღებული აქვს დახმარების სახით 252 ლარი, საერთო ჯამში პენსიისა და დახმარების სახით მან მიიღო შემოსავალი 1552 ლარი, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ 18 ლარს, მას არ მისცეს საშუალება წარედგინა მტკიცებულება და დაესაბუთებინა საკუთარი ხარჯები.

ასევე არამართებულია იმაზე მითითება, რომ ა. ჩ-მის ოჯახს ჰყავს ძლიერი თანადგომის ქსელი შვილისა და სიძის სახით, რომელთაც აქვთ კერძო ბიზნესი. აპელანტის მითითებით, გაუგებარია შვილის ყოლა, რომელიც გათხოვილია და აქვს თავისი ოჯახი, როგორ აუმჯობესებს მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ამასთან, მოპასუხეს არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება იმისა, რაც დაადასტურებდა ზემოაღნიშნულ ფაქტს.

ხოლო რაც შეეხება ხანდაზმულობას, აპელანტის განმარტებით, ა. ჩ-მისათვის არ განუმარტავთ გასაჩივრების უფლება.

აპელანტის მითითებით, რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის 1-ელი ნაწილი, მე-13 მუხლი, 72-ე მუხლი, 92-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 98-ე მუხლი, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განჩინებით ა. ჩ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი დასკვნები და მიიჩნია, რომ არ არსებობდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 აპრილის სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი ა. ჩ-მის 2005 წლის 18 ნოემბრის ოჯახის დეკლარაციიდან ირკვევა, რომ იგი შედიოდა სოციალურად დაუცველი ოჯახის სიაში;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 აპრილის სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი ა. ჩ-მის 2007 წლის 20 თებერვლის ოჯახის დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ა. ჩ-მის ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა არის საშუალოზე მაღალი შეძლების; საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 18 ივლისის სოციალური აგენტის, ზ. კ-მის მიერ შედგენილი აქტიდან ირკვევა, რომ ა. ჩ-მეს ჰყავს ძლიერი თანადგომის ქსელი შვილისა და სიძის სახით, რომლებსაც აქვთ კერძო ბიზნესი. მისი ქალიშვილი არის მაღაზიის მფლობელი. იგი ასევე ფლობს წილს ქალაქის ცენტრში მდებარე სილაშაზის სალონში.

სააპელაციო პალატის განმარტებით, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის 151 დადგენილებით «დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზის ფორმირების წესის» მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მაძიებელი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შედეგად მიწოდებული არასწორი ინფორმაციის დადგენის შემთხვევაში მაძიებელი ოჯახის განაცხადი მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად ძალას კარგავს ავტომატურად. სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მაძიებელი ოჯახი კარგავს უფლებას მომდევნო სამი წლის განმავლობაში განმეორებით მოითხოვოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ა. ჩ-მის ოჯახს შემწეობა არ მიუღია 2007 წლის ივლისიდან, რაც მხარემაც დაადასტურა სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ჩ-მემ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 აპრილის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება, იმავე მოტივებით, რაზეც მიუთითებდა სარჩელში და სააპელაციო საჩივარში.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით მოსაზრება წარმოადგინა სოციალური მომსახურების სააგენტომ და მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ა. ჩ-მის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად (პროცესუალური კასაცია).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა. ჩ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394 «ე» მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილული და გადაწყვეტილია საპროცესო ნორმებით დადგენილი

მოთხოვნების უგულვებელყოფით, სასამართლო აქტი არ შეიცავს დასაბუთებულ მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტების მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშეუსაბამოდ.

სსსკ-ის **407.2** მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ **2007 წლის 20 თებერვლის** ოჯახის დეკლარაციიდან ირკვევა – ა. ჩ-ძის ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა არის საშუალოზე მაღალი შეძლების და ასევე ის ფაქტი, რომ როგორც **2007 წლის 18 ივლისის** სოციალური აგენტის მიერ შედგენილი აქტიდან ირკვევა ა. ჩ-ძეს ჰყავს ძლიერი თანადგომის ქსელი შვილისა და სიძის სახით, რომელთაც აქვთ კერძო ბიზნესი და აღნიშნულის გათვალისწინებით კანონიერად მიიჩნია სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის საკოორდინაციო ცენტრის ოზურგეთის საკონტროლო ჯგუფის **2007 წლის 18 ივლისის** შედგენილი ოქმი, რომლითაც გაუქმდა ა. ჩ-ძის რეგისტრაცია სოციალურად დაუცველ ოჯახთა მონაცემთა ერთიან ბაზაში და შეუწყდა საარსებო შემწეობის მიღება, რასაც საფუძვლად დაედო საქართველოს მთავრობის **2005 წლის 17 მარტის '51** დადგენილებით «დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზის ფორმირების წესის» მე-12 და მე-13 მუხლები.

იმ პირობებში, როცა სასამართლომ შეფასება არ მისცა, თუ რამდენად წარმოადგენდა შვილისა და სიძის ბიზნესი ა. ჩ-ძის ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის დონის განსაზღვრის წინაპირობას, მით უფრო მაშინ როცა საქმეში არ მოიპოვებოდა იმის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება, რომ ა. ჩ-ძის ქალიშვილსა და სიძეს მართლაც ჰქონდათ ქალაქის ცენტრში მაღაზია და ფლობდნენ სილამაზის სალონში წილს. ასევე არ შეაფასა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ნიგოეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ გაცემული **2009 წლის 30 ნოემბრის '38** ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ ა. ჩ-ძის ქალიშვილი არის ლანჩხუთის რ/ნ სოფ. ...ის თემის სოფ. ... მცხოვრები, ხოლო ა. ჩ-ძე კი ცხოვრობს ქ. ლანჩხუთში, ... ქ. '30-ში (ამჟამად ... ქ. '32-ში მეუღლესთან – ნ. ჩ-ძესთან ერთად სასამართლომ ისე გადაწყვიტა დავა, რომ არ გამოუკვლევია საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, რის საფუძველზე მოხდა მოსარჩელისათვის სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმება და შემწეობის შეწყვეტა, არსებობდა თუ არა საქართველოს მთავრობის **2005 წლის 17 მარტის '51** დადგენილებით «დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზის ფორმირების წესის» შესაბამისად სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განჩინებაში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები არ ემყარება სათანადო ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებს და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან.

საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **105.2** მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლომ საქმის განხილვისას სარწმუნოდ უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, მოცემულ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას საქმის ფაქტობრივი გარემოება დადგენილ იქნა არასრულყოფილად, შესაბამისად, სახეზეა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მითითებული ნორმით დადგენილი პირობების დარღვევულად მიჩნევის პროცესუალური საფუძველები, კერძოდ, მოცემული საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლო ისე დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ **2007 წლის 20 თებერვლის** დეკლარაციის შესაბამისად, ა. ჩ-ძის ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა არის საშუალოზე მაღალი შეძლების, რომ სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის მასალები, დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ ჰპოვებს დადასტურებას შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებები კი არაა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები სრულიად დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

საქართველოს მთავრობის **2005 წლის 17 მარტის '51** დადგენილებით «დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზის ფორმირების წესის» მე-12 მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სააგენტო მოიძიებს და იღებს ინფორმაციას მაძიებელთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებების შესახებ. ამავე მუხლის მე 2 ნაწილის თანახმად, კი ცვლილების შინაარსი შეიძლება ეხებოდეს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არსებით შეცვლას.

საკასაციო სასამართლომ ისე დააფუძნა განჩინება საქართველოს მთავრობის **2005 წლის 17 მარტის '51** დადგენილებით «დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზის ფორმირების წესის» მე-13 მუხლს, რომ არ გამოუკვლევია მართლა ჰქონდა თუ არა მაძიებლის მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდების ფაქტს ადგილი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე საჭიროებს დამატებით გამოკვლევას, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით და ოფიციალობის პრინციპიდან გამომდინარე მოიპოვოს მტკიცებულებები და მათი შეფასების შემდეგ გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის შესახებ, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ გამოარკვიოს მართლა ჰქონდა თუ არა მაძიებლის მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდების ფაქტს ადგილი, რეალურად წარმოადგენდა თუ არა ა. ჩ-ძის შვილისა და სიძის ბიზნესი მისი ეკონომიკური მდგომარეობის დონის განმსაზღვრელ წინაპირობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც, სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. ამდენად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ჩ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საარსებო შემწეობის გაცემის წესი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ბს-1256-1220(კ-10)

17 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 2 ნოემბერს გ. და დ. თ-ურებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ.

2009 წლის 17 დეკემბერს მოსარჩელებმა დააზუსტეს სარჩელი და დამატებით მოპასუხეებად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო მიუთითეს.

მოსარჩელეთა განმარტებით, ისინი 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების თავდასხმის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს წარმოადგენდნენ. 2008 წლის დეკემბერში ჩასახლდნენ მცხეთის რაიონის, სოფელ და ამავე წლის 19 დეკემბერს კანონით დადგენილი წესით ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დარეგისტრირდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში; გ. თ-ურის ოჯახი 11095 კოტეჯში, ხოლო დ. თ-ურის ოჯახი 11096 კოტეჯში.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 6 ნოემბრის 1731 განკარგულებით ახალ ჩასახლებულ ოჯახებზე გაიცემოდა ერთჯერადი ფულადი დახმარება, სულზე 200 ლარის ოდენობით. აღნიშნული დახმარება 2008 წლის 30-31 დეკემბერს ორივე ოჯახმა მიიღო.

მოსარჩელეთა განმარტებით, 2009 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 1145 დადგენილებაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, დადგენილების მე-7 მუხლით გათვალისწინებული საარსებო შემწეობის ზღვრული ქულა 2009 წლის 1 იანვრიდან გავრცელდა 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების თავდასხმის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებზე, რომლებიც არ იღებდნენ საარსებო შემწეობას, დადგენილი წესით აღრიცხულნი იყვნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში და განსახლებულნი იყვნენ სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში, მათი დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეუძლებელი იყო (ამ ადგილის ოკუპაციის გამო). ამასთან, ოჯახის არც ერთი წევრი არ ეწეოდა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მათ საარსებო შემწეობის მიღების მოთხოვნით არაერთხელ მიმართეს წეროვნის გამგეობას, შემდგომ კი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და საქართველოს ლტოლვილთა და განსახ-

ლების სამინისტროს, თუმცა მიუხედავად ამ გარემოებისა, 2009 წლის 1 იანვრის ნაცვლად მათ საარსებო შემწეობა 2009 წლის ივნისიდან მიიღეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2009 წლის 23 ივნისის 110/10-13635 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2009 წლის 11 ნოემბრის 105/01-14/5579 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხეებისათვის – 5 თვის მიუღებელი საარსებო შემწეობის თანხების, თითოეული ოჯახის სასარგებლოდ 390-390 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 თებერვლის საოქმო განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ამოირიცხა მოპასუხეთა სი-დან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით გ. თ-ურისა და დ. თ-ურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელები 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების თავდასხმის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს წარმოადგენდნენ. მოსარჩელეთა ოჯახებს 2009 წლის მაისიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული ჰქონდათ საარსებო შემწეობის თანხები. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2009 წლის 23 ივნისის 110/10-13635 წერილით მოსარჩელებს განემარტათ, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ წარდგენილი სია საარსებო შემწეობის თანხების გაცემაზე გადახედვას და გადაანგარიშებას არ ექვემდებარებოდა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2009 წლის 11 ნოემბრის 105/01-14/5579 წერილით კი მოსარჩელებს ეცნობათ, რომ ვინაიდან, მათი თანხმობა საარსებო შემწეობის მიღების თაობაზე შეივსო 2009 წლის 27 აპრილს, ინფორმაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს მიაწოდეს 2009 წლის მაისის თვეში და შესაბამისად, საარსებო შემწეობის გაცემა დაიწყო 2009 წლის ივნისიდან.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «სოციალური დახმარებების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 1145 დადგენილებით განისაზღვრებოდა სოციალური დახმარების ოდენობის გაანგარიშებისა და ანგარიშსწორების წესი. ამავე დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, საარსებო შემწეობის მიღების უფლებას მოიპოვებდნენ ის პირები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებულნი იყვნენ სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა ნაკლები იყო ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე. საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა იყო 57001.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, «სოციალური დახმარებების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 1145 დადგენილებაში 2009 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით 1145 დადგენილების მე-11 მუხლს დაემატა მე-9 პუნქტი, რომლის თანახმად, ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული საარსებო შემწეობის ზღვრული ქულა 2009 წლის 1 იანვრიდან ერთი წლით გავრცელდა იმ ოჯახებზე, რომლებიც 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების თავდასხმის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს წარმოადგენდნენ, არ იღებდნენ საარსებო შემწეობას, დადგენილი წესით აღრიცხულნი იყვნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, ცხოვრობდნენ სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში, მათი დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეუძლებელი იყო (ამ ადგილის ოკუპაციის გამო) და მათი ოჯახის არც ერთი წევრი არ ეწეოდა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამავე მუხლის მე-11 პუნქტით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან შეთანხმებით მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ ოჯახთა სიის სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიწოდება არა უგვიანეს 2009 წლის 10 იანვრისა, ხოლო შემდეგ თვეებში კი არა უგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 25 რიცხვისა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ წარდგენილი სია და სიის შესაბამისად დანიშნული საარსებო შემწეობის ოდენობა გადახედვას და გადაანგარიშებას არ ექვემდებარებოდა, გარდა მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე მუხლის მე-14 პუნქტით კი განისაზღვრა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ოჯახების მიერ საარსებო შემწეობის დანიშვნაზე წერილობითი თანხმობის გაცემა, რომელშიც აღინიშნებოდა ეწეოდა თუ არა რომელიმე პირი საბიუჯეტო დაწესებულებაში ანაზღაურებად საქმიანობას.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელები «სოციალური დახმარებების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 1145 დადგენილების მე-11 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ საარსებო შემწეობის მიმღებ სუბიექტებს წარმოადგენდნენ.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობის 1145 დადგენილების მე-11 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ამავე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, წერილობითი თანხმობის მოპოვება და ამავე დადგენილების მე-11 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ოჯახთა სიის სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიწოდება ევალებოდა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მართალია, საქართველოს მთავრობის 1145 დადგენილების მე-11 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული საარსებო შემწეობის ზღვრული ქულა 2009 წლის 1 იანვრიდან ერთი წლით გავრცელდა ზემოაღნიშნულ ოჯახებზე, მაგრამ ამავე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, საარსებო შემწეობის დანიშვნა ხორციელდებოდა მე-9 მუხლით გათვალისწინებული ოჯახების წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, ამდენად, დადგენილი წესით ოჯახების აღრიცხვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, სახელმწიფოს მიერ შესყიდულ რეაბილიტირებულ ან ახ-

ლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში მათი განსახლება და შესაბამისად, ამგვარი სიების წარდგენა, ავტომატურ რეჟიმში არ იწვევდა საარსებო შემწეობის დანიშვნას, რადგან ამავე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, საარსებო შემწეობის დანიშვნის აუცილებელ და სავალდებულო წინაპირობად განისაზღვრა სამინისტროს მიერ წერილობითი თანხმობის მოპოვება და სააგენტოსათვის მიწოდება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ დადგენილების მე-14 პუნქტის დათქმა «წერილობითი თანხმობის მოპოვება» გულისხმობდა არა სამინისტროს მიერ თითოეულ ოჯახთან მისვლას და წერილობითი თანხმობის მოპოვებას, არამედ უშუალოდ საარსებო შემწეობის მიმღები სუბიექტების მიერ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის წერილობითი თანხმობის წარდგენას, რომლის შემდეგ სამინისტრო ამავე დადგენილების ხსენებული მუხლის პროცედურული წესების დაცვით უზრუნველყოფდა მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ოჯახების სიის სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიწოდებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არ ეწინააღმდეგებოდნენ «სოციალური დახმარების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 1145 დადგენილების მე-11 მუხლის მოთხოვნებს და აღნიშნულ საკითხზე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სხვაგვარი გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა მიღებული.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. თ-ურმა და დ. თ-ურმა. აპელანტებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 27 მაისის განჩინებით გ. თ-ურისა და დ. თ-ურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე მიუთითა მათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 27 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. და დ. თ-ურებმა. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორები არ დაეთანხმნენ სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებულ საქალაქო სასამართლოს მსჯელობას საქართველოს მთავრობის 1145 დადგენილების მე-11 მუხლის მე-14 პუნქტთან მიმართებაში, რადგან კანონში ნათლად ეწერა, რომ წერილობითი თანხმობის მოპოვება და სააგენტოსათვის მიწოდება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ევალებოდა. კასატორთა მოსაზრებით, კანონში არ იყო მითითებული, რომ დევნილ მოსახლეობას ოჯახის მონაცემები სამინისტროში თავად უნდა წარედგინა. კასატორებმა ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ მათ საარსებო შემწეობის მიღებაზე წერილობითი თანხმობები ჩააბარეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს, მათი სოფლის რწმუნებულს, ხოლო შემდგომ განცხადებით მიმართეს როგორც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ისე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. ამასთან, მათ უკვე მიღებული ჰქონდათ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 6 ნოემბრის 1731 განკარგულებით ახალ ჩასახლებულ ოჯახებზე გაცემული ერთჯერადი ფულადი დახმარება.

კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს მთავრობის 1145 დადგენილების მე-11 მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტები, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გ. თ-ურისა და დ. თ-ურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ნოემბრის განჩინებით, გ. და დ. თ-ურების საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებლად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2011 წლის 27 იანვარს 12:30 საათზე.

2011 წლის 17 თებერვლის სასამართლო სხდომაზე კასატორებმა დააზუსტეს საკასაციო მოთხოვნა და საბოლოოდ მოპასუხეებისათვის თითოეული ოჯახის სასარგებლოდ, 5 თვის მიუღებელი საარსებო შემწეობის თანხების ანაზღაურების დავალდებულება მოითხოვეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: გ. და დ. თ-ურები 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების თავდასხმის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს წარმოადგენენ. ისინი 2008 წლის დეკემბერში ჩასახლდნენ მცხეთის რაიონის, სოფელ ... და ამავე წლის 19 დეკემბერს კანონით დადგენილი წესით, ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დარეგისტრირდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში. გ. თ-ურის ოჯახი დარეგისტრირდა – 11095 კოტეჯში, ხოლო დ. თ-ურის ოჯახი – 11096 კოტეჯში. გ. და დ. თ-ურების ოჯახებს 2009

წლის ივნისიდან 2009 წლის დეკემბრის ჩათვლით მიღებული აქვთ საარსებო შემწეობის თანხები. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2009 წლის 23 ივნისის 110/10-13635 წერილით კასატორებს განემარტათ, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ წარდგენილი სია, საარსებო შემწეობის თანხების გაცემაზე გადახედვას და გადაანგარიშებას არ ექვემდებარებოდა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2009 წლის 11 ნოემბრის 105/01-14/5579 წერილით კი კასატორებს ეცნობათ, რომ ვინაიდან, მათი თანხმობა საარსებო შემწეობის მიღების თაობაზე შეივსო 2009 წლის 27 აპრილს, ინფორმაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს მიაწოდეს 2009 წლის მაისის თვეში და შესაბამისად, საარსებო შემწეობის გაცემა დაიწყო 2009 წლის ივნისიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «სოციალური დახმარების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 1145 დადგენილებით განისაზღვრება სოციალური დახმარების ოდენობის განგარიშებისა და ანგარიშსწორების წესი. ამავე დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, საარსებო შემწეობის მიღების უფლებას მოიპოვებენ ის პირები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა ნაკლები არის ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე. ამჟამად საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა არის 57001.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ 2009 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 1145 დადგენილებაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, დადგენილების მე-11 მუხლს დაემატა მე-9 პუნქტი, რომლითაც მე-7 მუხლით გათვალისწინებული საარსებო შემწეობის ზღვრული ქულა 2009 წლის 1 იანვრიდან ერთი წლის ვადით გავრცელდა 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების თავდასხმის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებზე, რომლებიც არ იღებდნენ საარსებო შემწეობას, დადგენილი წესით აღრიცხულნი იყვნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში და ცხოვრობდნენ სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში, მათი დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეუძლებელი იყო (ამ ადგილის ოკუპაციის გამო) და ოჯახის არც ერთი წევრი არ ეწეოდა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა. ამავე დადგენილების მე-11 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან შეთანხმებით მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ოჯახების სიის სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიწოდება არა უგვიანეს 2009 წლის 10 იანვრისა, ხოლო შემდეგ თვეებში კი არა უგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 25 რიცხვისა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს და არც მხარეები ხდიან სადავოდ იმ გარემოებას, რომ კასატორები «სოციალური დახმარების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 1145 დადგენილების მე-11 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ საარსებო შემწეობის მიმღებ სუბიექტებს წარმოადგენენ.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებულ საქალაქო სასამართლოს მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ საარსებო შემწეობის მიღებაზე წერილობითი თანხმობის წარდგენა მოსარჩელების ვალდებულებას წარმოადგენს და მათ საარსებო შემწეობის თანხები, მხოლოდ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ უნდა აუნაზღაურდეთ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტის მიზნით არსებითი მნიშვნელობა აქვს კანონის სწორ განმარტებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს მიზანმიმართულად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. ამდენად, კანონის განმარტებისას, დადგენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი, რაც მხოლოდ გრამატიკული განმარტებით ვერ მიიღწევა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლის ნებისა და მისი მიზნის სწორი განმარტებისათვის საჭიროა ერთმანეთისაგან განვსხვავოთ პენსიის დანიშვნის და საარსებო შემწეობის დანიშვნის წესი და პირობები. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტში კანონმდებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პენსიის დანიშვნის სავალდებულო პირობას განცხადების წარდგენა წარმოადგენს და კომპეტენტური ორგანოს მიერ მისი დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პენსია ინიშნება მხოლოდ განცხადების წარდგენის დღიდან. «სოციალური დამხარების შესახებ» საქართველოს მთავრობის 1145 დადგენილების მე-11 მუხლის მე-12 პუნქტში კი კანონმდებელმა გამოხატა აშკარა ნება, რომ ამავე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ ოჯახებს საარსებო შემწეობა უნდა მიეცეს 2009 წლის იანვრიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. კანონმდებელს საარსებო შემწეობის დანიშვნის სავალდებულო პირობად არ განუსაზღვრავს საარსებო შემწეობის მიმღები სუბიექტების მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ «სოციალური დახმარების შესახებ» საქარ-

თველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 145 დადგენილების მე-11 მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე, ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ოჯახების მიერ საარსებო შემწეობის დანიშვნაზე წერილობითი თანხმობის (სადაც აგრეთვე აღნიშნება ოჯახის რომელიმე წევრი ეწევა თუ არა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა) მოპოვება და სააგენტოსათვის მიწოდება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევა. შესაბამისად, სამინისტროს მიერ წერილობითი თანხმობის დაგვიანებით მოპოვება და შემდგომ, აღნიშნული ინფორმაციის სააგენტოსათვის მიწოდება არ შეიძლება გახდეს საარსებო შემწეობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საარსებო შემწეობის თანხების გაცემა «სოციალური დახმარების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 145 დადგენილების მე-11 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ ოჯახებზე უნდა განხორციელდებოდეს 2009 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზემოაღნიშნული ოჯახის რომელიმე წევრი საბიუჯეტო ორგანიზაციაში ეწეოდა ანაზღაურებად საქმიანობას ან სხვა მიზეზით ოჯახი უარს განაცხადებდა საარსებო შემწეობის მიღებაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ როგორც გ., ისე დ. თ-ურის ოჯახმა 2008 წლის 30-31 დეკემბერს მიიღო საქართველოს მთავრობის 2008 წლის 6 ნოემბრის 1731 განკარგულებით ახალი ჩასახლებული ოჯახებისათვის განსაზღვრული ერთჯერადი ფულადი დახმარება და მათ აღნიშნული დახმარების მიღებაზე უარი არ განუცხადებიათ. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ კასატორებმა საარსებო შემწეობის მიღების მოთხოვნით არაერთხელ მიმართეს ადმინისტრაციულ ორგანოებს. ამდენად, წერილობითი თანხმობის დაგვიანებით წარდგენის მიზეზით მათთვის 5 თვის საარსებო შემწეობის ანაზღაურებაზე უარის თქმა საფუძველს მოკლებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. თ-ურისა და დ. თ-ურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 27 მაისის განჩინება და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. და დ. თ-ურების სარჩელი დაკმაყოფილდება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალება გ. და დ. თ-ურების ოჯახებზე (ორ ოჯახზე) გასცეს საარსებო შემწეობა 2009 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 ივნისამდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. და დ. თ-ურების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 27 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. და დ. თ-ურების სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. დაევალოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გ. და დ. თ-ურების ოჯახებზე (ორ ოჯახზე) გასცეს შემწეობა 2009 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 ივნისამდე;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მარტოხელა დაუცველი ოჯახისათვის დახმარების ანაზღაურების წესი

განჩინება

18ს-1491-1453(კ-10)

13 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 25 დეკემბერს ნ. ც-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ და მოითხოვა მარტოხელობის დახმარების თანხის – 1 232 ლარის ანაზღაურება.

2010 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ც-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ც-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ც-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. ც-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ნ. ც-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1 232 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 მარტის 169/ნ ბრძანებით დამტკიცდა უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალური დახმარების გაცემის წესი და ფორმა, რომლის თანახმად გაგრძელდა უკვე დანიშნული უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალური დახმარება.

ამავე ბრძანების მე-15 ნაწილის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სოციალური დახმარების განყოფილება სისტემატურად ამოწმებს დახმარების მიმღებ ოჯახებში მომხდარ ცვლილებებს, რის საფუძველზეც სოციალური დახმარების მიმღებთა საქმეებში შეაქვთ შესაბამისი შესწორებები (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა, გადაანგარიშება), ხოლო «ე» ქვეპუნქტის თანხმად აჩერებს დანიშნულ დახმარებას, თუ დახმარების დანიშვნის უფლებრივი საკითხი იმ დროისათვის წარმოშობილი გარემოებების გამო საჭიროებს დამატებით შესწავლა-შემოწმებას, რის შედეგადაც გამგე იღებს გადაწყვეტილებას აღდგენის ან შეწყვეტის თაობაზე.

სააპელაციო პალატის მიერ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების შესაბამისად, გამოთხოვილ იქნა სოციალური მომსახურების სააგენტოდან ნ. ც-ის საპენსიო საქმე, რომლის შესწავლის შედეგად დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მასში არ არის არანაირი ჩანაწერი ან შესწორება შეტანილი, აგრეთვე არ არის სოციალური მუშაკის ნ. ჯ-ის მიერ მოძიებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით არანაირი ჩანაწერი დაფიქსირებული, ნ. ც-ის სოფელში, ან სხვაგან ყოფნის თაობაზე.

სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, თითქოს ნ. ც-ემ თვითონ აღიარა, რომ მძიმე და ხანგძლივი ავადმყოფობის გამო მკურნალობდა ნათესავის ოჯახში, იმ მოტივით, რომ 2010 წლის 16 თებერვლის სასამართლო ოქმში დაფიქსირებულია ნ. ც-ის განმარტება, სადაც იგი უთითებდა, რომ მის პირად საქმეში არ არსებობდა საბუთი მისი შემოწმების თაობაზე და არც მეზობლების დასტური, ისე შეუწვიტეს დახმარების გაცემა.

სააპელაციო პალატა ასევე არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას, სადაც მითითებულია, რომ ვინაიდან ზემოთ აღნიშნული წესის შესაბამისად, დახმარების მიმღების პირადი საქმის საფუძველზე სოციალური დახმარების განყოფილება ადგენდა მიმღებთა პირად ბარათებს, რომელშიც აისახებოდა დახმარების თანხების მოძრაობა და იმის გათვალისწინებით, რომ ნ. ც-ეს 4 თვის განმავლობაში არ მიუღია დანიშნული სოციალური დახმარება და 2004 წლის იანვარში არ გამოცხადდა რეგისტრაციის გასაველად, ვაკე-საბურთალოს სოციალური დახმარების განყოფილების მიერ დახმარების გაცემის შეჩერება და შემდგომ შეწყვეტა კანონიერად იქნა სასამართლოს მიერ მიჩნეული. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების დანიშვნა-გაცემის წესის შესაბამისად, არ არის განსაზღვრული პენსიის მიუღებლობის შემთხვევაში მისი შეწყვეტის შესაძლებლობა და ამასთან სწორედ სოციალური დახმარების განყოფილების ვალდებულებას წარმოადგენს სისტემატურად დახმარების მიმღებ ოჯახებში მომხდარი ცვლილებების შემოწმება, რის საფუძველზეც სოციალური დახმარების მიმღებთა საქმეებში შეაქვთ შესაბამისი შესწორებები, რასაც მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, ადგილი არ ჰქონია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პალატამ მიიჩნია, რომ სოციალური მომსახურების სააგენტომ ისე შეუწყვიტა ნ. ც-ის დახმარების გაცემა, რომ არ დაუცვია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 მარტის 169/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალური დახმარების გაცემის წესი და ფორმა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 1145 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა სოციალური დახმარების პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპები, რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობა, სოციალური დახმარების ოდენობის გაანგარიშების, ღონისძიებათა დაფინანსებისა და ანგარიშსწორების წესი, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, საარსებო შემწეობის მიღება გამორიცხავს საოჯახო დახმარების მიღებას. ოჯახს, რომელსაც 2007 წლის 1 იანვარამდე დანიშნული აქვს საოჯახო დახმარება, უფლება აქვს აირჩიოს რომელიმე ზემოაღნიშნული სოციალური დახმარებიდან ერთ-ერთი, გახდეს საარსებო შემწეობის მიმღები ან დაიტოვოს საოჯახო დახმარება.

სააპელაციო პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ც-ეს, 2009 წლის მაისის თვიდან დაენიშნა 30 ლარიანი შემწეობა სარეიტინგო ქულების შესაბამისად, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გაკეთებულ დასკვნებს და მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ნ. ც-ის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 1 232 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ნ. ც-ის სარჩელის უარყოფა.

კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 1145 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2006 წლის 27 დეკემბრის 1254 დადგენილების მე-2 და მე-5 მუხლების თანახმად, 2007 წლის 1 აპრილიდან სააგენტო, ტერიტორიული ერთეულების მეშვეობით, ახორციელებს მხოლოდ იმ ბენეფიციართა საოჯახო დახმარების ადმინისტრირებას, რომელთა საქმეებიც გადმოეცა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან (სოციალური დახმარების განყოფილებები) დადგენილი წესის შესაბამისად. ამავე ნორმებით კი სააგენტოს გადმოეცა მხოლოდ იმ პირთა

საქმეები, რომლებსაც ეძლეოდათ საოჯახო დახმარება ან შეჩერებული (და არა შეწყვეტილი) ჰქონდათ მასზე უფლება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 მარტის 169/ნ ბრძანებით დამტკიცებული «უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების დანიშვნა-გაცემის წესის» მე-15 მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, ნ. ც-ეს შეუზღუდა და შემდგომ, შეუწყდა საოჯახო დახმარება, რის გამოც, სააგენტოს 2007 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მისი პირადი საქმეც არ გადასცემია და 2009 წლამდე მოსარჩელეს საოჯახო დახმარების შეწყვეტის ფაქტი არცერთ ორგანოში სადავოდ არ უქცევია.

კასატორი ასევე აღნიშნავდა, რომ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 1145 დადგენილებით დამტკიცებული «სოციალური დახმარების პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპები, რეინტეგრაციის შემწეობისა და შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურების ოდენობა, სოციალური დახმარების ოდენობის გაანგარიშების, ღონისძიებათა დაფინანსებისა და ანგარიშსწორების წესის» 81-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საოჯახო დახმარება მიეცემათ იმ ოჯახებს, რომელთაც დახმარება დანიშნული აქვთ 2007 წლის 1 იანვრამდე. ამავე წესის 121-ე მუხლის თანახმად, სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში უზრუნველყოფს 2006 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ იმ ვალდებულებათა დაფარვას (გაცემას), რომლებიც დაკავშირებულია უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის სოციალური დახმარების გაცემასთან.

«უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე დანიშნული სოციალური დახმარების გაცემისა და ადმინისტრირების წესის» (დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 31 აგვისტოს 1283/ნ ბრძანებით) მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, შეწყვეტის შემთხვევაში საოჯახო დახმარება აღდგენას არ ექვემდებარება.

კასატორის მითითებით, სახელმწიფო გასაცემლით უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ბენეფიციარის მიმართ პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, რის გამოც ამ ვალდებულებიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. ჩამოთვლილი ნორმების შესაბამისად, ნ. ც-ის მიმართ სააგენტოს რაიმე ვალდებულება, მით უფრო, 2006 წლის იანვრამდე პერიოდზე, არ შეიძლება დაეკისრებოდა.

კასატორის აღნიშვნით, სააპელაციო სასამართლომ სააგენტოსაგან გაითხოვა საპენსიო საქმე და მისი შესწავლის საფუძველზე მიიჩნია, რომ არ დასტურდება სოციალური მუშაკის მხრიდან მოსარჩელის ოჯახის სისტემატური შემოწმების ფაქტები, მაშინ როდესაც საპენსიო საქმე წარმოადგენს სრულიად განსხვავებული გასაცემლის ადმინისტრაციული წარმოების მასალების ერთობლიობას და მასთან არავითარ კავშირში არ არის ოჯახში სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული ვიზიტების ჩანაწერები. ამასთან, ზემოთ დასახელებული მიზეზებით, ნ. ც-ის როგორც საოჯახო დახმარების მიმღების საქმე სააგენტოს ფიზიკურად არ გააჩნია.

კასატორი ასევე აღნიშნავდა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ისე იქნა მიჩნეული სააგენტოს მხრიდან ნ. ც-ის მიმართ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 21 მარტის 169/ნ ბრძანებით დადგენილი სოციალური დახმარების გაცემის წესის და ფორმის დაუცველობა, რომ არ მიუთითებია კონკრეტულად რომელი ნორმა იქნა იგნორირებული ან დარღვეული მოსარჩელის მიმართ.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული საკანონმდებლო ნორმები, რამაც განაპირობა სააგენტოს კომპეტენციისა და ვალდებულების არასწორი განსაზღვრა. მტკიცებულებათა არასათანადო გამოკვლევის შედეგად, სააგენტოს მხრიდან საკუთარი მოვალეობის დარღვევად იქნა მიჩნეული ის, რომ საოჯახო დახმარების მიმღები პირების მონაცემთა ბაზაში არარსებული ბენეფიციარის მიმართ არ განხორციელდა და ვერც განხორციელდებოდა ოჯახის სისტემური შემოწმება, მით უფრო, გაუქმებული ნორმების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება, მოსარჩელე ნ. ც-ე სარჩელის საფუძველზე ითხოვს 2004 წლის მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 თვეების მიუღებელი დახმარების 88 ლარის ანაზღაურებას, 2005 წლის 1 იანვრიდან მარტოხელობის სტატუსის აღდგენას და 2005 წლის იანვრიდან 2009 წლის მაისამდე მიუღებელი დახმარების სულ 1232 ლარის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოხმობილი ნორმები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ იძლევიან საქმეზე შესაბამისი სამართლებრივი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

დადგენილია და მხარეები სადავოდ არ ხდიან ფაქტს იმის თაობაზე, რომ ნ. ც-ე მიეკუთვნება სოციალურად დაუცველი ოჯახის კატეგორიას, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და 2004 წლის სექტემბრამდე იღებდა მარტოხელა არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახისათვის გათვალისწინებულ დახმარებას 22 ლარის ოდენობით. 2004 წლის სექტემბრიდან 2009 წლის მაისამდე ნ. ც-ეს მითითებული დახმარება არ მიუღია.

სააპელაციო სასამართლო, მართალია, კანონშეუსაბამოდ მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებას და თვლის, რომ ეს უკანასკნელი ვალდებული იყო გამოეკვლია, დაეფიქსირებინა და შეექმნა დოკუმენტი მოსარ-

ჩელის მითითებულ მისამართზე არ ყოფნის თაობაზე, მაგრამ ცალსახად ადასტურებს ფაქტს იმის შესახებ, რომ ნ. ც-ეს შეუწყდა სოციალური დახმარების გაცემა.

«უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე დანიშნული სოციალური დახმარების ადმინისტრირების გაუმჯობესების შესახებ» საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 31 აგვისტოს 1283/ნ ბრძანების 7.7 მუხლის შესაბამისად, შეწყვეტის შემთხვევაში საოჯახო დახმარება აღდგენას არ ექვემდებარება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება, როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციულ ორგანოს ნორმატიული აქტის საფუძველზე აკრძალული აქვს საოჯახო დახმარების აღდგენა. ასეთ პირობებში, როცა სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს ავალეებს მსგავსი მოქმედების განხორციელებას, ვალდებულია მიუთითოს კანონზე ან კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტზე, რომელიც ამ ორგანოს მისცემს აღნიშნული კონკრეტული ქმედების განხორციელების შესაძლებლობას.

თუმცა, საგულისხმოა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოსათვის ღიად რჩება საკითხი იმის თაობაზე, მოხდა თუ არა სარჩელის იმ ნაწილის დაკმაყოფილება, რომლითაც ნ. ც-ე ითხოვდა მარტოხელობის სტატუსის აღდგენას.

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ კასაცია წამოდგენილია მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ თანხის გაცემის ნაწილში მოთხოვნა სრულადაა დაკმაყოფილებული, ხოლო აღნიშნული ორგანულადაა დაკავშირებული სტატუსის აღდგენის მოთხოვნაზე, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისათვის საჭიროდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს პოზიციის ცალსახა ჩამოყალიბებას.

თუ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება იყო კანონშეუსაბამო, რის საფუძველზეც მოსარჩელეს მიადგა ზიანი და ამდენად, სტატუსის აღდგენის აუცილებლობა არ არსებობს, ასეთ პირობებში სასამართლომ უნდა იზრუნოს მოთხოვნის ტრანსფორმირებაზე.

საკასაციო სასამართლო არ გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობას და აღნიშნავს, საქართველოს სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 მარტის 169/ნ ბრძანებით დამტკიცებული «უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალური დახმარების გაცემის წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ» ინსტრუქციის მე-15 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სოციალური დახმარების განყოფილებას ევალებოდა სისტემატურად შეემოწმებინა დახმარების მიმღებ ოჯახებში მომხდარი ცვლილებები რის საფუძველზეც სოციალური დახმარების მიმღებთა საქმეებში უნდა შეეტანა შესაბამისი შესწორებები (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა, გადაანგარიშება). ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მსგავსი დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის. მაგრამ იმავდროულად საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონმდებლობის მოთხოვნათა არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენდა თუ არა შემწეობის შეწყვეტის ერთადერთ საფუძველს და აღნიშნული გამორიცხავდა თუ არა მოსარჩელის ვალდებულებებს.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნის მიზნით 2004 წლიდან არაერთხელ მოხდა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმება. მათ შორის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2007 წლის 15 თებერვალს მიღებულ იქნა ბრძანება 147/ნ, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასება-გადამოწმება.

აღნიშნული ბრძანების საფუძველზე სოციალურად დაუცველი ოჯახის მონაცემთა ერთიანი ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახს ევალებოდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების განაცხადის წარდგენა.

უფრო მეტიც, სადავო პერიოდში მოქმედი თითქმის ყველა აქტი, რომელიც უკავშირდებოდა ქვეყანაში სიღატაკის დაძლევის მიზნით მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიების გატარებას, ოჯახის განმეორებითი შეფასების პერიოდში ითვალისწინებდა საარსებო შემწეობის გაცემის შეჩერებას და იმ შემთხვევაში, თუ გადამოწმების შედეგად მინიჭებული სარეიტინგო ქულა ნაკლები იქნებოდა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საარსებო შემწეობის ზღვრულ ქულაზე, ოჯახს აღუდგებოდა შემწეობის გაცემა შეჩერების თვითნებად.

დადგენილია, რომ ნ. ც-ეს 2004 წლიდან 2009 წლამდე დამატებითი რეგისტრაცია არ გაუვლია. ასეთ პირობებში სააპელაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს წარმოადგენდა თუ არა რეგისტრაცია უკვე დანიშნული სოციალური დახმარების გაგრძელების სავალდებულო წინაპირობას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას თანხის დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის თაობაზე და თვლის, რომ სასამართლოს არ უმსჯელია მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობის სამართლებრივ ბუნებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია საქმეზე არსებითი გადაწყვეტილების გამოტანა, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

1. სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-348-345(კ-11)

9 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა, სახელმწიფო შემწეობის დანიშვნა, ზიანის სახით – მიუღებელი სახელმწიფო შემწეობის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 9 ივნისს გ. ც-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი რეგისტრირებული იყო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ერთიან ბაზაში და ცხოვრობდა დევნილთათვის განკუთვნილ დროებით საცხოვრებელში.

მოსარჩელის განმარტებით, მან 2010 წლის 20 აპრილს განცხადებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და დევნილის სტატუსის მინიჭება მოითხოვა. სამინისტრომ ზემოხსენებული განცხადება დატოვა უპასუხოდ, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას ნიშნავდა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უარი «იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა სასამართლოში.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2006 წლის 6 აპრილს «იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტში შესული ცვლილების თანახმად, ამ კანონის პირველ მუხლში განსაზღვრული მიზეზების გამო მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს დევნილის სტატუსის მინიჭება ხდებოდა დაუყოვნებლივ. ამავე კანონის მე-5 მუხლის «ა» ქვეპუნქტში განხორციელებული ცვლილების თანახმად კი დევნილი იღებდა ყოველთვიურ შემწეობას. მოსარჩელის განმარტებით, სამინისტროს მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მას მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, დაუყოვნებლივ არ მიენიჭა დევნილის სტატუსი და შესაბამისად, არ დაენიშნა სახელმწიფო შემწეობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ც-შვილმა მოპასუხისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება, შემწეობის თანხის დანიშვნა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიყენებული მატერიალური ზიანის – მიუღებელი შემწეობის თანხის 2008 წლის სექტემბრიდან ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. ც-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, გ. ც-შვილისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ, 2010 წლის 27 აპრილს გაცემული 1554 ცნობის თანახმად, მოქალაქე გ. ც-შვილი 2008 წლის აგვისტოს ომამდე ცხოვრობდა გორის რაიონის, სოფელ ... და მისი ოჯახი შედგებოდა 4 წევრისაგან. საქართველოს მოქალაქის პირადობის

მოწმობით დასტურდებოდა, რომ მოქალაქე გ. ც-შვილის მისამართი იყო გორის რაიონი, სოფ. ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2009 წლის 9 სექტემბრის 101/12-09-18103 წერილის თანახმად, გ. ც-შვილი და მისი ოჯახი რეგისტრირებული იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ერთიან ბაზაში, როგორც საკომპენსაციო თანხის მიმღები ოჯახი. მისი ოჯახის მონაცემები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2009 წლის 27 თებერვლის 101/12-09-3964 წერილით გადაეგზავნა.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 20 აპრილს გ. ც-შვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და დევნილის სტატუსის მინიჭება მოითხოვა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაუტარებია.

საქალაქო სასამართლომ «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად განმარტა, რომ დევნილთა აღრიცხვა-რეგისტრაციას, დევნილის სტატუსის მაძიებლის დევნილად ცნობასა და დევნილის სტატუსის მინიჭებას ახორციელებდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხსენებული კანონის პირველი მუხლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად-დევნილად ჩაითვლებოდა საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ პირი, რომელიც აღნიშნულ კანონში ჩამოთვლილი მიზეზების გამო დატოვებდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართავდა სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-7 და მე-12 პუნქტების თანახმად, დევნილის სტატუსის მაძიებლის, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღებოდა განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე – ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ გ. ც-შვილის განცხადება არ აკმაყოფილებდა კანონმდებლის მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს, რის გამოც არ არსებობდა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების აუცილებლობა. აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლზე და განმარტა, რომ თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენდა კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელი იყო საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავდა ვადას, რომლის განმავლობაში მას უნდა წარედგინა დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადოდ არ ყოფილა გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც ამ ნაწილში გ. ც-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მატერიალური ზიანის, მიუღებელი შემწეობის ანაზღაურების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო ვინაიდან, «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 და მე-5 მუხლების პირველი ნაწილის თანახმად, დევნილთათვის დადგენილი ყოველთვიური შემწეობა გაიცემოდა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უკვე მინიჭებული ჰქონდათ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ც-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინებით გ. ც-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე მიუთითა მათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ც-შვილმა.

კასატორმა აღნიშნა, რომ 2006 წლის 6 აპრილს «იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტში შესული ცვლილების თანახმად, ამ კანონის პირველ მუხლში განსაზღვრული მიზეზების გამო მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს დევნილის სტატუსის მინიჭება ხდებოდა დაუყოვნებლივ.

კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული ნორმით რეგულირდებოდა განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილობაში ეჭვი არ არსებობდა და საჭირო იყო მათი მყისიერი აღრიცხვაზე აყვანა. მითითებული მუხლით დადგენილი იყო სამინისტროს ვალდებულება, დაუყოვნებლივ მიენიჭებინა

დევნილის სტატუსი პირისთვის, რომელიც იძულებით გადაადგილდა სამხედრო თავდასხმის გამო მოსახლეობის ექსტრემალური და მასობრივი გადაადგილების დროს.

კასატორის განმარტებით, სამინისტროსათვის ცნობილი იყო გ. ც-შვილის დევნილობის შესახებ. კასატორის მოსაზრებით, სამინისტროს მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო გ. ც-შვილს მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, მას დაუყოვნებლივ არ მიენიჭა დევნილის სტატუსი და შესაბამისად, არ დაენიშნა სახელმწიფო შემწეობა.

ამდენად, კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიყენებული მატერიალური ზიანის – მიუღებელი შემწეობის თანხის 2008 წლის სექტემბრიდან ანაზღაურება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 4 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინებით გ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2011 წლის 28 აპრილს 13:00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2010 წლის 27 აპრილს გაცემული 1554 ცნობის თანახმად, მოქალაქე გ. ც-შვილი 2008 წლის აგვისტოს ომამდე ცხოვრობდა გორის რაიონის, სოფელ ... და მისი ოჯახი შედგებოდა 4 წევრისაგან. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით დასტურდება, რომ მოქალაქე გ. ც-შვილის მისამართი იყო გორის რაიონი, სოფელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2009 წლის 9 სექტემბრის 01/12-09-18103 წერილის თანახმად, გ. ც-შვილი და მისი ოჯახი რეგისტრირებული არის იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ერთიან ბაზაში, როგორც საკომპენსაციო თანხის მიმღები ოჯახი. მისი ოჯახის მონაცემები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2009 წლის 27 თებერვლის 01/12-09-3964 წერილით გადაეგზავნა. გ. ც-შვილის ოჯახს, როგორც იძულებით გადაადგილებულ ოჯახს მიღებული აქვს დევნილთათვის განსაზღვრული საკომპენსაციო თანხა – 10 000 აშშ დოლარის ოდენობით. ამასთან, გ. ც-შვილის მეუღლეს ლ. ბ-შვილს მინიჭებული აქვს დევნილის სტატუსი და იგი იღებს დევნილისათვის განსაზღვრულ შემწეობას.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ 2010 წლის 20 აპრილს გ. ც-შვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და დევნილის სტატუსის მინიჭება მოითხოვა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაატარა და განცხადება უპასუხოდ დატოვა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გ. ც-შვილის სასარჩელო მოთხოვნას მოპასუხისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება, დევნილის შემწეობის თანხის დანიშვნა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიყენებული მატერიალური ზიანის – მიუღებელი შემწეობის თანხის 2008 წლის სექტემბრიდან ანაზღაურება წარმოადგენდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. ც-შვილის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების ნაწილში დაკმაყოფილდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში გ. ც-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე, მატერიალური ზიანის – მიუღებელი შემწეობის თანხის 2008 წლის სექტემბრიდან ანაზღაურება წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განჩინება მატერიალური ზიანის – მიუღებელი შემწეობის თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში არის სრულიად დაუსაბუთებელი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, დევნილთა აღრიცხვა-რეგისტრაციას, დევნილის სტატუსის მანიჭებლად ცნობასა და დევნილის სტატუსის მინიჭებას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. ხსენებული კანონის პირველი მუხლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად-დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე და განმარტავს, რომ პირი, რომელიც აღნიშნულ კანონში ჩამოთვლილი მიზეზების გამო დატოვებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართავს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-7 და მე-12 პუნქტების თანახმად, დევნილის სტატუსის მამიებლის, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის პირველ მუხლში განსაზღვრული მიზეზების გამო მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს დევნილის სტატუსის მინიჭება ხდება დაუყოვნებლივ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, კასატორის მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ნორმა გულისხმობს სამინისტროს ვალდებულებას იძულებით გადაადგილებულ პირს დევნილის სტატუსი მიანიჭოს ავტომატურად, მისი მხრიდან ყოველგვარი ნების გამოვლენის გარეშე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს მიზანმიმართულად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. ამდენად, კანონის განმარტებისას, დადგენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი, რაც მხოლოდ გრამატიკული განმარტებით ვერ მიიღწევა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს «იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭებისა და დევნილთა რეგისტრაციის წესის, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწოდების ფორმის, მოწოდების დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე» საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 1 ნოემბრის 124 ბრძანების მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, პირი დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართავს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად კი პირს, რომელიც განცხადებით მიმართავს სამინისტროს დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე, განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში შეიძლება ჩაუტარდეს გასაუბრება «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული პირის დევნილად ცნობის საფუძვლებთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა აწესრიგებს დევნილის სტატუსის მინიჭების ზოგად პროცედურას. ამავე ბრძანების მე-3 მუხლი კი არსებითად გამომდინარეობს «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტიდან და განსაზღვრავს, რომ მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს დევნილის სტატუსის მინიჭება ხდება დაუყოვნებლივ, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და პირთან გასაუბრების საფუძველზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმა გულისხმობს დევნილის სტატუსის არა ავტომატურ რეჟიმში, არამედ იძულებით გადაადგილებული პირის მხრიდან ნების გამოვლენის შემთხვევაში, პირადობის მოწოდებისა და მასთან გასაუბრების საფუძველზე შემჭიდროვებულ ვადაში მინიჭებას.

საკასაციო სასამართლო დადგენილად, მიიჩნევს რომ გ. ც-შვილმა ნება დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ 2010 წლის 20 აპრილს გამოავლინა. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ განცხადების წარდგენამდე მისთვის ცნობილი იყო დევნილის სტატუსის მინიჭების პროცედურის შესახებ, ვინაიდან, მის მეუღლეს ლ. ბ-შვილს მინიჭებული აქვს დევნილის სტატუსი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს, რომ დევნილთათვის დადგენილი ყოველთვიური შემწეობა გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მინიჭებული აქვთ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ც-შვილის მოთხოვნა მატერიალური ზიანის სახით – მიუღებელი შემწეობის თანხის 2008 წლის სექტემბრიდან (მის მიერ განცხადების წარდგენამდე) ანაზღაურების ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გ. ც-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებილთა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, გ. ც-შვილისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება სააკაციო წესით არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაში არის შესული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ ნაწილში გ. ც-შვილის სარჩელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ მავალდებულზე სარჩელს წარმოადგენდა. საგულისხმოა, რომ სასამართლო პროცესებზე სარჩელის დაზუსტება ან ტრანსფორმირება არ მომხდარა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული შეცილებითი სარჩელი არ წარდგენილა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი აწესრიგებს მავალდებულზე სარჩელის (23-ე მუხლის) საფუძველზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც ის ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს, გამოსცეს მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმა უკანონოა ან თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოსცა აქტი კანონით გათვალისწინებულ ვადაში (სზაკ-ის მე-100 და 183-ე მუხლები), რამაც შელახა ან დაარღვია მოსარჩელის უფლებები და კანონიერი ინტერესები. მითითებული ნორმის მიხედვით, სარჩელი დასაბუთებულია, თუ დადგინდება აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარის კანონშეუსაბამობა, ან მისი გამოცემის ვადების დარღვევა, რაც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას სასამართლო ასევე არკვევს, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარით რამდენად შეილახა მოსარჩელის ისეთი კანონიერი უფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ მატერიალური სამართლის ნორმებიდან. ამასთან, სასამართლომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას უნდა გამოიკვლიოს, მოქმედებდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში; თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის გამოცემის დავალდებულებასაც ითხოვს მოსარჩელე, მოქცეულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს შეცდომის არსებობა დისკრეციულ უფლებამოსილებაში, ასევე შეამოწმოს, თუ რამდენად დასაბუთებულია ამ უფლებამოსილების გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს სასაკ-ის 23-ე მუხლით აღძრული სარჩელის დასაბუთებულობის იმ წანამდღვრებს, რაც დადგენილია სასაკ-ის 33-ე მუხლით (აქტის გამოცემაზე უარის უკანონობა ან შეცდომა დისკრეციაში), მას ამავე მუხლის მიხედვით შეუძლია ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილებით დაავალოს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან თვითონ მოაწესრიგოს სადავო საკითხი. ამასთან, სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით და არსებით გამოკვლევას. ამასთანავე, საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უარი აქტის გამოცემის თაობაზე იყო კანონშეუსაბამო, რაც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს. ამასთან, საქალაქო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი თავად მოეწესრიგებინა სადავო საკითხი, ვინაიდან, აღნიშნული ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა და საქმის გარემოებათა დამატებით და არსებით გამოკვლევას საჭიროებდა. ამდენად, საქალაქო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გ. ც-შვილისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს «იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესის, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ფორმის, მოწმობის დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე» საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 1 ნოემბრის 1124 ბრძანების მე-2 მუხლის 22-ე პუნქტზე, რომლის თანახმად, განმცხადებლის მხრიდან სათანადო დოკუმენტაციის წარუდგენლობა არა განცხადებაზე უარის თქმის, არამედ განცხადებაზე ხარვეზის დადგენის საფუძველს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გ. ც-შვილის მიერ 2010 წლის 20 აპრილს წარდგენილ განცხადებაზე მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაუტარებდა და შესაბამისად, არც განცხადებისთვის დაუდგენია ხარვეზი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს «იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლზე, რომლის თანახმად, დევნილის უფლებებს იცავს სახელმწიფო. ამავე კანონის მე-10 მუხლის თანახმად კი დევნილთათვის ამ კანონის შესაბამისად გასაწევი ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც კასატორის მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიყენებული მატერიალური ზიანის – მიუღებელი შემწეობის თანხის ანაზღაურება წარმოადგენს, საქმეზე გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, რომლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე დადასტურებულია, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებით მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, ვერ მიიღო დევნილთათვის განსაზღვრული ყოველთვიური შემწეობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-7 და მე-12 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, დევნილის სტატუსის მამიებლის, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. «სოციალური დახმარების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 145 დადგენილების 10⁵ მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად კი, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და ლტოლვილთა ყოველთვიური შემწეობის ოდენობა კერძო სექტორში განსახლებულ ერთ დევნილსა და ლტოლვილზე შეადგენს – 28 ლარს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონით დადგენილ ვადაში კანონშესაბამისი (გ. ც-შვილისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ) გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გ. ც-შვილი 2010 წლის ივნისიდან ყოველთვიურად მიიღებდა შემწეობას – 28 ლარის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინება და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ც-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გ. ც-შვილის სასარგებლოდ 2010 წლის ივნისიდან, დაეკისრება მატერიალური ზიანი – მიუღებელი შემწეობის სახით – 28 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

- გ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
1. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
 2. გ. ც-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
 3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გ. ც-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს მატერიალური ზიანი – მიუღებელი შემწეობის სახით – 28 ლარის ოდენობით, 2010 წლის ივნისიდან;
 4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მუდმივი საცხოვრებელი ადგილის იძულებით დატოვების ფაქტის დადგენა

განჩინება

18ს-1896-1849(კ-10)

9 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; დევნილად აღიარება; დევნილის სტატუსის მინიჭება; ყოველთვიური დახმარების გაცემა; საცხოვრებელი უზრუნველყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 4 დეკემბერს მ. თ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ სარჩელში აღნიშნა, რომ ის დაბადებიდან დევნილობამდე ცხოვრობდა გორის რაიონის სოფელ ..., მამა-პაპისეულ სახლ-კარში. მამა-პაპისეული საკარმიდამო ნაკვეთი 40 წელზე მეტია ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთ ნაწილში, სადაც იდგა დიდი ორსართულიანი სახლი, ცხოვრობდნენ მოსარჩელის დედა და მისი ორი ძმის ოჯახი ცოლებით და ორ-ორი მოსწავლე ვაჟიშვილებით, ხოლო მეორე ნაწილში, ძველ ორსართულიან სახლში, დაბადებიდან ცხოვრობდა თვითონ მოსარჩელე ბებიასთან და გაუთხოვარ მამიდასთან ერთად, ხოლო მათი გარდაცვალების შემდეგ მამა-პაპისეულ სახლში მ. თ-ი დარჩა მარტო საცხოვრებლად.

მოსარჩელის განმარტებით, სოფელი ... მდებარეობს პატარა ღიახევის ხეობაში, რომელიც 90-იანი წლებიდან შედიოდა კომფლიქტის ზონაში, სადაც მუდმივად ჭირდა თავისუფლად გადაადგილება, რადგან მოპირდაპირე მხარეს ოსი შეიარაღებული რაზმები იდგა. ოსებისაგან მოშორებით კი სამშვიდობო ჯარები იდგა. 90-იანი წლები-

დან მოყოლებული ქართული სოფლის მოსახლეობას მუდმივად უხდებოდა ცხოვრება მუქარის, შიმშიის, მკვლევლობისა და უხედურების ქვეშ. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ეს უხედურება არ ამყოფინეს მათ და 2008 წლის 7 აგვისტოს დატრიალდა ახალი ტრაგედია, რომელმაც იძულებული გახადა მიეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი და თავი შეეფარებინა თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე «...» შენობას.

მოსარჩელე სარჩელში უთითებს, რომ მისი ძმის ოჯახები დროებით ჩასახლებულები არიან მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანის დევნილთა დასახლებაში. ვინაიდან მოსარჩელე ომამდე მშობლებისგან და ძმებისგან დამოუკიდებელ სახლში ცხოვრობდა ცალკე ოჯახად, თბილისში დევნილად ჩამოსვლის შემდეგაც რეგისტრირებულია დამოუკიდებელ ცალკე ოჯახად, ქ. თბილისში, ... ქ. 191 «...»-ს შენობაში, სადაც მისი ცხოვრება ასევე სადავო გახდა.

მოსარჩელის განმარტებით ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მისცეს ცნობა თითქოს ის მუდმივად არ ცხოვრობდა სოფელ ... მამინ როდესაც მან წარადგინა პირადობის მოწმობა, სადაც საცხოვრებელ ადგილად მითითებულია სოფელი ამასთან, მოსარჩელის მითითებით, ამდენი უხედურების შემდეგ მას შეერყა ჯანმრთელობა. უსახლკაროდ დარჩენილს არავითარი მატერიალური საშუალება არ გააჩნია და ვერც სოციალურ დახმარებას იღებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2009 წლის 5 ნოემბერს გაცემული 1927 და მის საფუძველზე ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 5 ნოემბერს გაცემული 1480 ცნობების, როგორც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ასევე, დევნილად აღიარება; დევნილის სტატუსის მინიჭება; ყოველთვიური დახმარების გაცემა და მის საცხოვრებელ მისამართზე – ქ. თბილისში, «...»-ს შენობაში საცხოვრებლად დატოვება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე მ. თ-ის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოსარჩელეს უარი ეთქვა 2009 წლის 5 ნოემბრის 1927 და 1480 აქტების ბათილად ცნობაზე; მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში მ. თ-ისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქმეში მ. თ-ის მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი, სადაც მითითებულია მისამართი – გორის რაიონის სოფელი ..., გაცემული ერედვის თემის მ/რ და სარ. სამსახურის მიერ, გაცემის თარიღი 13.01.2006 წელი უვადო. საქმეში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი მ. თ-ზე, რითაც დადგენილია მისი დაბადების ადგილი და თარიღი – საქართველო, ცხინვალი, გამცემი ორგანო – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ერედვის სამსახური, გაცემის თარიღი – 13.01.2006 წელი, რეგისტრაციის ადგილი – გორი, ს. ...; საქმეში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2009 წლის 6 ნოემბრის 01/12-09-2/9/2/ წერილი, რითაც დადგენილია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა სარეგისტრაციო ბაზაში რეგისტრირებულია მოსარჩელე შემდეგ მისამართზე – თბილისი, «...» მე-7 სართული, ბინა 165-ში; საქმეში მოსარჩელის მ. თ-ის მიერ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში დევნილის მინიჭების თაობაზე მისი განცხადების ჩაბარების რეგისტრაციის ნორმის ასლი.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიუთითა სადავო ფაქტობრივ გარემოებებზე: საქმეში ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ გაცემული 2009 წლის 05 ნოემბრის ცნობა 1927, რითაც დადგენილია, რომ მოქ. მ. თ-ი მუდმივად არ ცხოვრობდა გორის რაიონის სოფელ ...; საქმეში საქართველოს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 3 ნოემბრის 1480 წერილი, რითაც დადგენილია, რომ მ. თ-ი არ ცხოვრობს მუდმივად სოფელ ... და არ ექვემდებარება ბინით ან ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებული სამართლებრივი საფუძველები რეგლამენტირებულია «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონით, რომელიც განსაზღვრავს: იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სამართლებრივი სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძველებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული კანონის თანახმად, დევნილთა აღრიცხვა-რეგისტრაციას, დევნილის სტატუსის მაძიებლის დევნილად ცნობასა და დევნილის სტატუსის მინიჭებას ახორციელებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ხსენებული კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, პირს, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის შედეგად, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის გამო – მიენიჭა უფლებამოსილება დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართოს ხსენებულ სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს, ხოლო ამავე ნორმის მე-5 პუნქტის საფუძველზე, სამინისტრომ პირის განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პირის დევნილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე; ხოლო დევნილის სტატუსის მაძიებლად შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს პირი, თუ არსებობს საფუძლიანი

ვარაუდი იმისა, რომ პირი შეიძლება ჩაითვალოს დევნილად ხსენებული კანონის პირველი მუხლის საფუძველზე. ამასთან, აღნიშნული საკანონმდებლო აქტის მე-2 მუხლის მე-7 და მე-12 პუნქტების თანახმად, დევნილის სტატუსის მანიჭების, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების ან დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას, კომპეტენტური სამინისტრო იღებს განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში; ხოლო სამინისტროს უარი პირის დევნილის სტატუსის მანიჭებად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლზე და განმარტა, რომ ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და აღნიშნა, რომ მხარეებსაც სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტი, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მ. თ.-ის განცხადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი არ გამოუცია. ამდენად, სასამართლოს მოსარჩელით, მოპასუხის მიერ მ. თ.-ის განცხადების მიმართ ზომების მიუღებლობა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, რაც მოსარჩელეს ანიჭებს უფლებას მიმართოს სასამართლოს, მისი დარღვეული ან სადავო უფლების აღსადგენად.

სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთვევაში მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის განმსაზღვრელ მიზანს წარმოადგენს, მოპასუხის დავალდებულება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გამოსცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მოსარჩელე მ. თ.-ისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მიზნის გათვალისწინებით, ამ სახის სარჩელი წარმოადგენს მავალდებულებელი სარჩელის ერთ-ერთ სახეს, რომელიც გამოიყენება იმ შემთვევაში, თუ მოსარჩელის მიზანია დაინტერესებული პირის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და თუ მხარის მიერ მოთხოვნილ ღონისძიებას გააჩნია ადმინისტრაციულ სამართლებრივი ხასიათი. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დისკრეციული უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნებოდა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «ლ» ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამოდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. აღნიშნულ მუხლს კიდევ უფრო აკონკრეტებს მე-6 მუხლით გათვალისწინებული ნორმის დანაწესი, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას კანონის ნორმების მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, საკუთარი პასუხისმგებლობით, შეარჩიოს და მიიღოს გადაწყვეტილება, ამავე დროს, კანონმდებელი ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ კანონით დადგენილ ფარგლებში და მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადც მინიჭებული აქვს მას ეს უფლებამოსილება. ამასთან, დისკრეციული უფლებამოსილებისას გამოცემული აქტი არ შეიძლება იწვევდეს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელ შეზღუდვას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთვევაში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ იქნა, მისი მოთხოვნის დამადასტურებელი, როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი საფუძველები. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე აქტის გამოცემაზე მოსარჩელის უფლების სამართლებრივი საფუძველია «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლები, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირს ანიჭებს უფლებას დევნილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით მიმართოს შესაბამის სამინისტროს. დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების, ასევე დევნილთა რეგისტრაციის პროცედურა განისაზღვრება აღნიშნული კანონის შესაბამისად სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებელი ავალდებულებს მას იხელმძღვანელოს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპით. არსებულ ვითარებაში, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას, საჯარო ინტერესის დაცვა ემსახურება – რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მიმღე სოციალური ფონის გაუმჯობესებას და ამ მხრივ იგი თანმხვედრია მოსარჩელის კერძო ინტერესებისა. ამასთან, სასამართლომ ჩათვალა, რომ ვიდრე ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე არ გადაწყდება მოსარჩელის მიმართ დევნილად აღიარება ან არ აღიარება და მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭება ან არ მინიჭება, შესაბამისად, მოსარჩელის ის სასარჩელო მოთხოვნა, რაც დაკავშირებულია მისთვის ყოველთვიური დახმარების გაწევასთან და ასევე მისი დატოვება იმ საცხოვრებელ მისამართზე, სადაც მოსარჩელე ითხოვს, სასამართლო მოცემულ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ შეფასებაზე.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე და 33-ე მუხლებზე მითითებითა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად მიიჩნია, რომ საფუძვლიანი იყო მოსარჩელის მოთხოვნა და მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უნდა დაკისრებულიყო ვალდებულება – მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მ. თ.-ისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გამოეცა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მოსარჩელის მოთხოვნით ერთი თვის ვადაში.

რაც შეეხება მოსარჩელის - მ. თ.-ის სასარჩელო მოთხოვნას 2009 წლის 5 ნოემბრის ... რწმუნებულის მიერ გაცემული 1927 და მის საფუძველზე ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაცემული 1480 აქტების ბათილად ცნობის ნაწილში, საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია და მთლიანად დაეთანხმა და გაიზიარა მოპასუხის – ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსაზრება, კერძოდ, როგორც საქმეში წამოდგენილი, ისე სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეული მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებით და მათი შეფასების საფუძველზე სასამართლომ განმარტა, რომ მოქალაქე მ. თ.-ი დაბადებულია გორის რაიონის სოფელ ..., მან 1978 წელს დაამთავრა ... საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ ის საცხოვრებლად გადავიდა ქ. თბილისში და მხოლოდ სეზონურად აკითხავდა მშობლებს მ. და ზ. თ.-ებს სოფელ 2008 წლის აგრესიამდე ერთ საცხოვრებელ ბინაში ერთად ცხოვრობდნენ მ. და ზ. თ.-ები და მათი შვილი გ. თ.-ი მეუღლე ე. გ.-ძესა და შვილებთან ნ. და გ. თ.-ებთან ერთად, რომლებიც დაკმაყოფილებულნი არიან 11095 და 11096 საცხოვრებელი კოტეჯებით მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში, დევნილთა დასახლებაში. მოსარჩელე მ. თ.-ი არ ცხოვრობდა გორის რაიონის სოფელ ... და არ ფლობდა არანაირ საცხოვრებელ ფართს. გორის რაიონის სოფელი ... ტერიტორია არის ოკუპირებული ტერიტორია, ამ სოფლის მუდმივ მაცხოვრებლებს ეძლევათ კომპენსაცია, თუმცა ამ სოფელში სეზონურად ჩამსვლელთათვის ასეთი კომპენსაცია არაა გათვალისწინებული. სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად პირადობის მოწმობაში მითითებული საცხოვრებელი მისამართისა, ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად არ ახორციელებს იმ პირთა საცხოვრებელი ფართით ან მის სანაცვლოდ ფულადი ანაზღაურებით დაკმაყოფილებას, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად ახორციელებს 2008 წლის აგვისტოს რუსეთის აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებულ მხოლოდ იმ მოსახლეობის საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის გაწევას 10 000 დოლარის ექვივალენტით ლარებში, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ვინაიდან მოსარჩელე მ. თ.-ი მუდმივად არ ცხოვრობდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ის მუდმივად ცხოვრობდა თბილისში და მხოლოდ სეზონურად ჩადიოდა სოფელ ..., მას არ აქვს საცხოვრებელი ფართით ან ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლება. სასამართლოს მითითებით, ის რომ მოსარჩელე მ. თ.-ი მუდმივად არ ცხოვრობდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე დასტურდება მოპასუხის – ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი და სასამართლო განხილვის დროს დათვალთქმული საკომლო წიგნის ჩანაწერის მიხედვით, რომლის დედნები მხარეთა მონაწილეობით იქნა დათვალთქმული, ხოლო იქიდან გადაღებული ასლები დამოწმებული ზეჟდით კი დაერთო საქმეს, სადაც რიგით 127 ოჯახად არის რეგისტრირებული მ. და ზ. თ.-ები, ხოლო მოსარჩელე მ. თ.-ი არ არის რეგისტრირებული. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მხარე აპელირებს იმის თაობაზე, რომ აღნიშნული საკომლო წიგნი ომის შემდგომ იქნა შეცვლილი და ამის დამადასტურებლად მას მოჰყავს მის მიერვე საქმეში წარმოდგენილი ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ გაცემული 2008 წლის 25 სექტემბრის 145 ცნობა, თავად მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი ცნობის თანახმადაც კი დადგენილია, რომ მ. თ.-ი აღნიშნულ ცნობაში მითითებულ პირებთან ერთად არ ითვლებოდა მუდმივ მაცხოვრებლად. მართალია, მოპასუხე მხარის მიერ საქმეში ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე ნორმატიული აქტი იმის თაობაზე თუ რის საფუძველზე უთხრეს უარი მოსარჩელეს, რომ არ იყო მუდმივი მაცხოვრებელი და შესაბამისად, არ ექვემდებარებოდა ბინით ან ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილებას, მაგრამ სასამართლო განხილვის დროს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ იქნა სხვა პიროვნებებთან მიმართებაში ფორმის ნიმუშები, რომლითაც განისაზღვრებოდა და დგინდებოდა პირის მუდმივად ცხოვრების ფაქტი და შესაბამისად, დასკვნის ნიმუშები, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ვის მიერ და ვის მიცემოდა საცხოვრებელი ფართი ან საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხა 10 000 დოლარის ოდენობით, თუმცა ამის საპირისპირო რაიმე სამართლებრივი აქტი ვერც მოსარჩელის მხრიდან იქნა წარმოდგენილი, გარდა საქმეში არსებული მოსარჩელის პირადობის მოწმობის ასლისა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს ამონაწერისა (გადაწყვეტილების 5.1.1.-5.1.2 პუნქტები, 2010 წლის 25 ივნისის სასამართლოს სხდომის ოქმი).

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და განმარტა, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებებს, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი, წარადგინოს თავისი შესაგებელი და შესაბამისი მტკიცებულებანი. სასამართლომ განმარტა, რომ კანონის აღნიშნული ნორმები ადგენს მხარეთა საპროცესო მოვალეობებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას. აქვე კანონი ადგენს საგამონაკლისო შემთხვევას, კერძოდ: როდესაც დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების შემოწმება, მტკიცების ტვირთი გადადის აღნიშნული აქტის გამომცემ ორგანოზე, მოპასუხე სუბიექტზე. მიუხედავად ამისა მტკიცების ტვირთის ამგვარი გადაწარმოება ადმინისტრაციულ აქტთან დაკავშირებული სარჩელის წარდგენისას არ გულისხმობს, რომ მოსარჩელე საერთოდ თავისუფლდება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან, ანუ იმ გარემოებების შესაბამის-

სი მტკიცებულებებით დადასტურების მოვალეობისაგან, რითაც მისი მოთხოვნა ფაქტობრივად და იურიდიულად გამართლებული აღმოჩნდება.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ერედვის მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დაადასტურეს სადავო 2009 წლის 05 ნოემბრის 1927 და 1480 აქტების დასაბუთება, ხოლო მოსარჩელემ ვერ გააბათილა აქტების დასაბუთება წარმოდგენილი სასარჩელო განცხადებით და მასში მოყვანილი ფაქტების სინამდვილესთან შესაბამისობაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. თ-მა, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილების დაზუსტება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო შეიცვალა მისი უფლებამოსეცლით – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროთი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მ. თ-ის სააპელაციო საჩივარი; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლსა და 390-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტზე და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 ნოემბრის 1753 განკარგულებაზე, რომლითაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ინვენტარისა და სხვა საჭირო პირველადი მოხმარების საგნების შეძენა, ტრანსპორტირება და მონტაჟი დაევა. ასევე, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 19 თებერვლის განკარგულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა დაევა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლადამენებული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 29 დეკემბრის 1262 დადგენილებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 1145 დადგენილებაში და დადგენილების მე-11 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: «ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული საარსებო შემწეობის ზღვრული ქულა 2009 წლის 1 იანვრიდან ერთი წლის ვადით გავრცელდეს იმ ოჯახებზე, რომლებიც არ იღებენ საარსებო შემწეობას, 2008 წლის 6 აგვისტოდან საქართველოზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყვნენ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, დადგენილი წესით აღრიცხული არიან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში და განსახლებული არიან სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად ამენებულ საცხოვრებელ ფართობებში, მათი დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეუძლებელია (ამ ადგილების ოკუპაციის გამო) და ამავდროულად ოჯახის არც ერთი წევრი არ ეწევა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა».

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონის დარღვევით მიღების ფაქტი, რაც საფუძველი გახდებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით განსაზღვრული გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობისა. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ აქტის გამოცემა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება და სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მოთხოვნის ამ ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. თ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, სადავო აქტების ბათილად ცნობა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ იგი გათხოვილი არასდროს ყოფილა და საცხოვრებელი ადგილი არასდროს დაუტოვებია. არც მას, არც მის მშობლებსა და დედამიწვილებს სხვაგან საკუთრება არ ჰქონიათ სოფელ ... გარდა. მას ქ. თბილისში არ ჰქონია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

კასატორი უთითებს საქმის მასალებში წარმოდგენილ მისი პირადობის მოწმობის ასლსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს მიერ გაცემულ საინფორმაციო ბარათზე, რომელთა მიხედვითაც მ. თ-ი წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეს, მისი საცხოვრებელი მისამართია სოფელი ..., იგი დაიბადა ცხინვალში და 1989 წლიდან რეესტრირებულია გორის რაიონის სოფელ

კასატორის განმარტებით, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ მ. თ-ი ცხოვრობდა თბილისში და არა სოფელ მისი მოსაზრებით, საცხოვრებელი ადგილის არჩევა დამოკიდებულია პირის ნებაზე და არა რომელიმე სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებაზე. ამდენად, ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ არის ის ორგანო, რომელიც ადგენს პირის საცხოვრებელ ადგილს.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არის უკანონო, უსამართლო, დაუსაბუთებელი და არ გამომდინარეობს საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შესაბამისად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველია.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, პირის საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება, თუ იგი იძულებულების წესით ან სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით ტოვებს ამ ადგილს. ასევე, არ იქნა გამოყენებული «საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ» კანონი. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-3 თავის მე-12 მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას, მის ვინაობას და საცხოვრებელ ადგილს. ამავე კანონის მე-4 მუხლით განმარტებულია, რომ საცხოვრებელი ადგილის 6 თვეზე მეტი ვადით შეცვლისას პირი ვალდებულია 6 თვის გასვლიდან არა უგვიანეს 10 დღისა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით რეგისტრაციის გასაწველად და პირადობის მოწმობის მისაღებად ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართოს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, რომელიც 10 სამუშაო დღის ვადაში გაატარებს მას რეგისტრაციაში. აღნიშნული წესი არ ვრცელდება საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეზე. საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში პირის რეგისტრაციიდან მოხსნის თარიღად ითვლება ახალ მისამართზე მისი რეგისტრაციის თარიღი. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული ნორმები ადგენს პირის საცხოვრებელ ადგილს და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობას უფლება არ აქვს საცხოვრებელი ადგილის დასადასტურებლად იხელმძღვანელოს საკუთარი მოსაზრებით.

კასატორი აღნიშნავს, რომ ვერც ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმოადგინა და ვერც სასამართლომ მოიპოვა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მ. თ-მა სკოლის დამთავრების შემდეგ 1978 წლიდან უარი თქვა მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე და საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. კასატორის მოსაზრებით, არ არსებობს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მან გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი ან აქვს მეორე საცხოვრებელი ან სხვაგან რაიმე ქონება გააჩნია. სასამართლო კი ვერ უთითებს ნორმებს, რომლის საფუძველზეც კანონიერად მიიჩნია ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაცემული '927 და '480 აქტები.

ამასთან, კასატორის მოსაზრებით, ერედვის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილ «დასკვნას» არ გააჩნია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტისათვის დამახასიათებელი რეკვიზიტები.

კასატორი აღნიშნავს, რომ იმის შემდეგ დევნილობაში მისი დროებითი საცხოვრებელი იყო ქ. თბილისში, ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო შტაბის შენობა, საიდანაც 2010 წლის 13 აგვისტოს იძულებით გამოიყვანეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 5 იანვრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული მ. თ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მარტის განჩინებით მ. თ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2011 წლის 19 მაისს 12:00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მ. თ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე მ. თ-ის პირადობის მოწმობის თანახმად, რომელიც გაცემულია 2006 წლის 13 იანვარს ერედვის თემის მ/რ და სარ. სამსახურის მიერ, მ. თ-ი დაბადებულია 1961 წლის 3 სექტემბერს, ცხინვალში და რეგისტრირებულია მისამართზე – გორის რაიონის სოფელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს მიერ მ. თ-ზე გაცემული საინფორმაციო ბარათით დადგენილია მისი დაბადების ადგილი და თარიღი – საქართველო, ცხინვალი, 1961 წლის 3 სექტემბერი, გამცემი ორგანო – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ერედვის სამსახური, გაცემის თარიღი – 13.01.2006 წელი, რეგისტრაციის ადგილი – გორი, სოფელი ამასთან, საქმის მასალებში არსებული ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2010 წლის 15 ივნისს გაცემული '152 ცნობის თანახმად, მ. თ-ი გორის რაიონის სოფელ ... 1978 წლიდან აღარ ცხოვრობდა, ხოლო 2010 წლის 15 ივნისს გაცემული '151 ცნობის თანახმად, მ. თ-ი გორის რაიონის სოფელ ... 2008 წლის აგვისტოს რუსეთის აგრესიამდე არ ფლობდა არანაირ საცხოვრებელ ფართს. სადავო – ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2009 წლის 05 ნოემბერს გაცემულ '927 ცნობასა და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 5 ნოემბრის '480 ცნობაში აღნიშნულია, რომ მ. თ-ი მუდმივად არ ცხოვრობდა სოფელ ... და არ ექვემდებარება ბინით ან ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილებას.

ამასთან, საქმის მასალებით დადგენილია და დავას არ იწვევს, რომ თ-ების ოჯახი, რომელიც სოფელ ... მხოლოდ ერთ საცხოვრებელ ბინას ფლობდა, დაკმაყოფილებულია '1095 და '1096 საცხოვრებელი კოტეჯებით მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში, დევნილთა დასახლებაში. აღნიშნული საკასაციო სასამართლოს ხსდომაზე თავად კასატორის წარმომადგენელმაც დაადასტურა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე მ. თ-ის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში მ. თ-ისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დავადა; ამასთან, მოსარჩელეს უარი ეთქვა ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2009 წლის 5 ნოემბერს გაცემული 1927 და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 3 ნოემბრის 1480 აქტების ბათილად ცნობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მოპასუხე მხარეს არ გაუსაჩივრებია; ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილება ჯერ სააპელაციო წესით, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ კი საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. თ-მა. ამდენად, მოპასუხისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების ნაწილში გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ ყოველთვიური დახმარების გაწევასა და საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნები მიმბმულია დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე საკითხის გადაწყვეტასთან, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს სადავო – ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2009 წლის 5 ნოემბერს გაცემული 1927 და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 3 ნოემბრის 1480 აქტების სამართლებრივი შეფასება და მათი კანონიერების დადგენა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურთიერთობა რეგულირდება «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონით, რომელიც განსაზღვრავს: იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სამართლებრივ სტატუსს, დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული კანონის თანახმად, დევნილთა აღრიცხვა-რეგისტრაციას, დევნილის სტატუსის მამიებლის დევნილად ცნობასა და დევნილის სტატუსის მინიჭებას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

«იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლი ახდენს დევნილის ცნების დეფინიციას, რომლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ამდენად, კანონმდებელმა კონკრეტულად განსაზღვრა და პირდაპირ მიუთითა იმ სავალდებულო პირობებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირი ჩაითვლება იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად. კერძოდ, კანონის დანაწესიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ იძულებით გადაადგილებულად – დევნილად, მას იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ უნდა უხდებოდეს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება, ადგილის, სადაც იგი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებას, საქმიანობას ეწევა. შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტისას არსებითი მნიშვნელობა აქვს კასატორის – მ. თ-ის მიერ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის იძულებით დატოვების ფაქტის დადგენას.

კანონმდებელს ყოველ კონკრეტულ სამართლებრივ რეჟიმთან მიმართებაში შემოაქვს ცნება, რომელიც ცალკეული სამართლებრივი მოწესრიგების არსის განსაზღვრას და ნორმის შინაარსის დადგენას ემსახურება.

ამასთან, საგულისხმოა, რომ კანონმდებელი «იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონთან მიმართებაში იყენებს ცნებას «მუდმივი საცხოვრებელი ადგილი» და არა «რეგისტრაციის ადგილი» ან «საცხოვრებელი ადგილი» და ეს შემთხვევითი არ არის და იგი გამომდინარეობს სწორედ აღნიშნული კანონით მოწესრიგებული სამართალურთიერთობის არსიდან; ემსახურება იმ მიზნის მიღწევას, რომელიც ჩადებულია ნორმის შინაარსში. შესაბამისად, სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს «საცხოვრებელი ადგილის», «მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა» და «რეგისტრაციის ადგილის» ცნებების გამოიყენებას.

საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია და მასთან დაკავშირებული პირის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით, «საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ» კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით. საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება ძირითად, კონსტიტუციურ უფლებათა რიგს განეკუთვნება (საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ამდენად, კანონმდებლობის შესაბამისად, პირს მინიჭებული აქვს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად, შეუზღუდავად არჩევის უფლება. ამასთან, პირი არც იმაშია შეზღუდული, რომ ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ზოგადად, საცხოვრებელი ადგილი პირის იდენტიფიკაციის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. საცხოვრებელ ადგილზე მრავალი უფლება ან ინსტიტუტია დამოკიდებული. რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის

სამართლებრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები.

ამასთან, «საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ» კანონით, პირის რეგისტრაცია განიხილება რეჟიმად, რომლის პირობებშიც პირი დამოუკიდებლად ირჩევს საცხოვრებელს, რის შესახებაც ატყობინებს სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს, რომელიც ატარებს პირს რეგისტრაციაში და აძლევს რეგისტრაციის მოწმობას. მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპი წინ უსწრებს ნებისმიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მოწესრიგებას, რეგისტრაციით ეს უფლება არ იზღუდება, პირი-ქით, რეგისტრაციის უფლება ნაწარმოებია საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რეგისტრაციის მიზანია მოქალაქეთა უფლებების და მოვალეობების განხორციელების მიზნით პირის შესახებ მონაცემების, მათ შორის საცხოვრებელი ადგილის დადგენა.

«საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას, მის ვინაობას და საცხოვრებელ ადგილს. ამასთან, აღნიშნული კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის საფუძველზე, პირს მინიჭებული აქვს უფლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი და ასეთ შემთხვევაში, პირი არ არის შეზღუდული, რომ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობის შემთხვევაში საკუთარი არჩევანით რეგისტრაცია გაიაროს ერთ-ერთი მათგანის მიხედვით და სარეგისტრაციო მონაცემებში მითითოს საკუთარი სურვილით არჩეული საცხოვრებელი ადგილის მისამართზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საცხოვრებელი ადგილი უფრო ფართო მნიშვნელობისაა, რომლის კონკრეტულ სახეებს წარმოადგენს «რეგისტრაციის ადგილი» და «მუდმივი საცხოვრებელი ადგილი». თუ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ამის საწინააღმდეგოდ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი რეგისტრაციის ადგილი და მხოლოდ ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, თუ რეგისტრაციის ადგილს პირი საკუთარი სურვილით ირჩევს, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევისათვის სავალდებულოა პირის ნებას თან ახლდეს ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტი. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარემ მიუთითა, რომ დევნილად ცნობისათვის გადაწყვეტია ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტი და არა პირის პირადობის მოწმობაში მითითებული მისამართი. ამდენად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს, რომელსაც თან ახლავს პირის ნება, რომ მას სურს მოცემული ადგილი ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, პირის ნება – დააფუძნოს საცხოვრებელი ადგილი – უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, ე.ი. პირს უნდა ჰქონდეს ბინა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი მოცემულ ადგილზე. პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი გამოხატულია აღნიშნულ ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დასტურდებოდეს მაგალითად, გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით, საკომლო ჩანაწერით, მუდმივი მაცხოვრებლების აღწერის შედეგებით ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარმოადგენს მუდმივ მაცხოვრებელს.

«იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის პირის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და არ შეუძლია დაბრუნება ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო. პირი რამდენიმე საცხოვრებელი ადგილიდან ირჩევს ძირითად, უმთავრეს საცხოვრებელ ადგილს, რომელიც მიიჩნევა პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად. შესაბამისად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი პირის ძირითადი, უმთავრესი ადგილსამყოფელია. მუდმივი საცხოვრებლის არსიდან გამომდინარეობს, რომ პირი იქ არა დროებით, არამედ მუდმივად უნდა იმყოფებოდეს.

სადავო – ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2009 წლის 05 ნოემბერს გაცემული 1927 და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 05 ნოემბრის 1480 აქტების თანახმად, მ. თ-ი მუდმივად არ ცხოვრობდა სოფელ

ამდენად, საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ დავას განსახილველ შემთხვევაში სწორედ მ. თ-ის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა წარმოადგენს. ამასთან, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმის დადგენას, ჰქონდა თუ არა მ. თ-ს თბილისში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არამედ იმის დადგენას, მ. თ-ი მუდმივად ცხოვრობდა თუ არა სოფელ საკასაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნულის მტკიცების ტვირთი ნაწილდება მხარეთა შორის. ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მტკიცების ტვირთი მოიცავს აგრეთვე ფაქტების მითითების ტვირთსაც. თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს თავის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებებზე და თუ იგი სადავო გახდება, უნდა დაამტკიცოს ამ გარემოების არსებობა. ამასთან, ადმინისტრაციული პროცესის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ანუ მტკიცების მოვალეობა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნულის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა ვალდებული ამტკიცოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და წარუდგინოს სასამართლოს ამის დამადასტურებელი ყველა მტკიცებულება. მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრება არ უნდა განიმარტოს არასწორად, ისე როგორც მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის – მოსარჩელის გათავისუფლება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან. საკასაციო

სასამართლო მიუთითებს, რომ კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი არ გულისხმობს მოსარჩელის გათავისუფლებას სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან. სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორის – მ. თ-ის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მისი მოთხოვნის დამადასტურებელი როგორც ფაქტობრივი, ასევე, სამართლებრივი საფუძვლები; კასატორი მხარის მიერ არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა გორის რაიონის სოფელ ... მისი მუდმივად ცხოვრების ფაქტს. კასატორი აპელირებს პირადობის მოწმობაში დაფიქსირებული საცხოვრებელი მისამართით, რომელიც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ცალსახად არ მიუთითებს პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი და საკუთარი არჩევანით რეგისტრაცია გაიაროს ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, რომელიც შეიძლება სულაც არ წარმოადგენდეს მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, მ. თ-ი დაბადებულია გორის რაიონის სოფელ ... და მან სკოლაც სოფელ ... დაამთავრა, მაგრამ, საქმის მასალებში არსებული ერთდვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2010 წლის 15 ივნისს გაცემული 1152 ცნობის თანახმად, მ. თ-ი გორის რაიონის სოფელ ... 1978 წლიდან აღარ ცხოვრობდა, ხოლო 2010 წლის 15 ივნისს გაცემული 1151 ცნობის თანახმად, მ. თ-ი გორის რაიონის სოფელ ... 2008 წლის აგვისტოს რუსეთის აგრესიამდე არ ფლობდა არანაირ საცხოვრებელ ფართს. ხოლო აღნიშნულის საწინააღმდეგო კასატორის მიერ არ დამტკიცებულა.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხე – ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ იძულებით გადაადგილებულ პირთა აღწერა დავებზე, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტმა მოახდინა კონფლიქტის ზონაში მუდმივი მაცხოვრებლების აღწერა. აღწერის შედეგად დადასტურდა, რომ მ. თ-ის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს სოფელი ... არ წარმოადგენდა. ამასთან, მოპასუხის – ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი საკომლო წიგნის ჩანაწერის მიხედვით, დადასტურდა, რომ საკომლო წიგნში რიგით 127 ოჯახად რეგისტრირებულია მ. თ-რი და ზ. თ-რი, ხოლო მოსარჩელე მ. თ-ი არ არის რეგისტრირებული. აგრეთვე, ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საქმის მასალებში წარმოდგენილია სხვა პიროვნებებთან მიმართებაში ფორმის ნიმუშები, რომლითაც განისაზღვრებოდა და დგინდებოდა პირის კონკრეტულ ადგილზე მუდმივად ცხოვრების ფაქტი.

ამდენად, ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დაასაბუთა სადავო აქტების კანონიერება, ხოლო კასატორმა მხარემ ვერ შეძლო წარმოედგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც გააბათილებდა მოწინააღმდეგე მხარის დასაბუთებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საცხოვრებელი ადგილის არჩევა დამოკიდებულია პირის ნებაზე და არა რომელიმე სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებაზე და აღნიშნავს, რომ კასატორმა – მ. თ-მა არა იძულებით, კანონით გათვალისწინებული მიზეზების გამო, არამედ სწორედ საკუთარი ნებით, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპის საფუძველზე გადაწყვიტა დაეტოვებინა სოფელი ... და საცხოვრებლად თბილისში გადასულიყო. ამით იკარგება დევნილად ცნობის მეორე სავალდებულო პირობა – იძულებით გადაადგილების ფაქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება კასატორის – მ. თ-ის იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ცნობის კანონით დადგენილი სავალდებულო პირობა – მუდმივი საცხოვრებელი ადგილის იძულებით დატოვების ფაქტი; არ არის წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა კასატორის მოთხოვნის საფუძვლიანობას. შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდება დევნილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არც საქმის მასალებიდან გამომდინარეობს და არც კასატორის მიერ საკასაციო სასამართლოს სხდომაზე იქნა დასაბუთებული სადავო – ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2009 წლის 5 ნოემბერს გაცემული 1927 და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 5 ნოემბრის 1480 აქტების კანონთან შეუსაბამობა, რომ აღნიშნული აქტები მიღებულ იქნა კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. თ-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. თ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მარჩენალის დაკარგვის გამო მიუღებელი პენსიის გაცემის პირობა

განჩინება

18ს-1833-1787(კ-10)

29 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

07.04.09 წ. ა. მ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, რომლითაც სოციალური მომსახურების სააგენტოს 23.03.09 წ. 107/07-6676 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის 2006 წლის აგვისტოდან 2008 წლის სექტემბრის ჩათვლით გაუყვამელი პენსიის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იღებდა მარჩენალდაკარგულის პენსიას თვეში 38 ლარის ოდენობით 2006 წლის 8 აგვისტომდე. ზღვრული ასაკის მიღწევასთან დაკავშირებით პენსიის გაცემა შეუჩერდა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 15.09.06წ. 1249/ნ ბრძანებაში შეტანილი ცვლილების შედეგად, იმ პირებს, რომლებმაც 2005 წელს სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, გაუგრძელდათ პენსიის მიღება 23 წლის ასაკამდე. აღნიშნული ნორმატიული აქტის საფუძველზე 2008 წლის სექტემბერში სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურში წარადგინა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 31.05.06წ. ცნობა იმის თაობაზე, რომ იგი ირიცხებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პირველი კურსის სტუდენტად. მოპასუხემ სიტყვიერად განუმარტა, რომ უნდა წარმოედგინა 20.09.06წ. დათარიღებული ცნობა. აღნიშნულის შემდეგ, სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილების 04.02.09წ. 13 ცნობით განემარტა, რომ დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრი დაუბრუნდებოდა პენსიის გაცემის საკითხის განხილვას 2006 წლის 20 სექტემბრიდან, თუ წარდგენილი იქნებოდა 2006 სასწავლო წელს გაცემული ცნობა, რაც შეუძლებელი იყო, ვინაიდან აღნიშნული თარიღი გავლილი იყო და ძველი თარიღით ცნობის გაცემა ვერ მოხდებოდა. მოსარჩელის განმარტებით, მან 05.02.09წ. მოპასუხეს წარუდგინა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ცნობა 1935 იმის დასტურად, რომ 2005-2006 სასწავლო წლებში იყო I კურსის სტუდენტი, 2006-2007 სასწავლო წლებში ამავე ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, 2007-2008 სასწავლო წლებში – III კურსის სტუდენტი, ხოლო 2008-2009 სასწავლო წლებში – IV კურსის სტუდენტი. მიუხედავად ამისა, სოციალური სუბსიდიების სააგენტოსგან კვლავ უარყოფითი პასუხი მიიღო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.05.09წ. გადაწყვეტილებით ა. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. მ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.09წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.05.09წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს 23.03.09 წ. 107/07-6676 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა 2006 წლის აგვისტოდან 2008 წლის სექტემბრის ჩათვლით ა. მ-ისთვის ანაზღაურებინა მიუღებელი პენსია მარჩენალის გარდაცვალების გამო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. მ-ის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. 146/ნ ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების» მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი სკოლის შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების გამო არ არსებობდა მისთვის პენსიის შეწყვეტის საფუძველი. პენსიის შეწყვეტის საფუძველი არ წარმოქმნილა არც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. 1249/ნ ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების» მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 15.02.06წ. 146/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების შედეგად, რადგან ა. მ-ი 2005 წელს 17 წლის ასაკში გახდა სტუდენტი და 08.08.06წ., 18 წლის ასაკის მიღწევის გამო, არ არსებობდა მისთვის პენსიის შეწყვეტის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უკანონო და დაუსაბუთებელი იყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 23.03.09წ. 107/07-6676 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის თანახმად, მარჩენალგარდაცვლილთა 23 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებსაც დანიშნული ჰქონდა შრომის სახელმწიფო პენსია და საშუალო სკოლის შემდგომ სწავლას აგრძელებდნენ საშუალოზე მაღალი დონის საგანმანათლებლო და-

წესებულებაში ახალი საპენსიო კანონის ძალაში შესვლამდე (2006 წლის იანვრამდე), დანიშნული პენსიის დარიცხვა-გაცემა გაუგრძელდებოდა 2006 წლის 20 სექტემბრიდან, თუ 2006 წლის 1 სექტემბრიდან სწავლის დაწყების ცნობა წარმოდგენილი იყო პენსიის დამნიშვნელ კომპეტენტურ ორგანოში. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიყენა კანონი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 15.09.06წ. 1249/ნ ბრძანება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. 46/ნ ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რასაც შედეგად მოჰყვა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ უნდა ყოფილიყო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.09წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 23.03.09წ. აქტი კანონშესაბამისად არის გამოცემული და არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველები. კასატორი თვლის, რომ «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, პენსიის გაცემა შეწყდება მარჩენალდაკარგული პირის მიერ 18 წლის ასაკის მიღწევისას. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. 46/ნ ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების» მე-9 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსია ინიშნება სრულწლოვნების ასაკის მიღწევამდე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იმ მარჩენალდაკარგულ პირებს, რომლებსაც «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე დაენიშნა «მარჩენალის შრომის პენსია» და ამ პენსიას იღებენ 18 წლის ასაკის მიღწევის შემდგომ პერიოდშიც, გაუგრძელდებოდა პენსიის მიღება 23 წლის ასაკამდე საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების გამო, თუ არ დადგა «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პენსიის შეწყვეტის საფუძველი. კასატორმა აღნიშნა, რომ პირებს, რომლებსაც 2006 წლის 1 იანვრამდე («სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე) მოუწიათ სკოლის დამთავრება და შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება, პენსიის გაცემა გაუგრძელდებოდა სწავლის გამო 23 წლის ასაკამდე. ა. მ-ს 08.08.06წ. შეუსრულდა 18 წელი, რაც გახდა მარჩენალდაკარგულისათვის პენსიის შეწყვეტის საფუძველი. კასატორის განმარტებით, პენსიის გაცემა ხდება ყოველი სასწავლო წლის პირველ თვეში წარდგენილი სწავლის შესახებ ცნობის საფუძველზე. ა. მ-მა სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის ცენტრში წარადგინა 31.05.06წ. სწავლის შესახებ ცნობა, რომლის თანახმად იგი ირიცხებოდა უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტად, რა დროისთვისაც ა. მ-ი არ იყო 18 წლის, რაც იმ დროისათვის (15 სექტემბრის ცვლილებებამდე) არ წარმოადგენდა 23 წლამდე პენსიის გაცემის გაგრძელების საფუძველს. 2006 წლის 8 აგვისტოს, როდესაც ა. მ-ს შეუსრულდა 18 წელი მოხდა პენსიის შეწყვეტა, რისი განახლებისთვისაც აუცილებელი იყო განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენა კომპეტენტურ ორგანოში, რაც ა. მ-ის მიერ არ განხორციელებულა. შესაბამისად, მისთვის 2006 წლის აგვისტოდან 2008 წლის სექტემბრის ჩათვლით პენსიის ანაზღაურების მოთხოვნა უსაფუძველოა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძველების და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.09წ. გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა. მ-ს «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის ამოქმედებამდე ანუ 2006 წლის 1 იანვრამდე დანიშნული ჰქონდა მარჩენალის გარდაცვალების გამო შრომის პენსია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 31.05.06წ. და 05.02.09წ. გაცემული ცნობების თანახმად, ა. მ-ი 2005 წელს ჩაირიცხა ამავე უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე და 2005-2006 წლებში ირიცხებოდა პირველი კურსის სტუდენტად, 2006-2007 წლებში – მეორე კურსის სტუდენტად, 2007-2008 წლებში – მესამე კურსის სტუდენტად და 2008-2009 წლებში მეოთხე კურსის სტუდენტად. ა. მ-ს 2006 წლის 8 აგვისტოს შეუსრულდა 18 წელი, რის გამოც «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-17 მუხლის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე სრულწლოვნების მიღწევის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან შეუწყდა მარჩენალდაკარგულის პენსია. სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილების 04.02.09წ. წერილით დასტურდება, რომ ა. მ-მა განცხადება და IV კურსზე სწავლის დამადასტურებელი ცნობა სააგენტოს წარუდგინა 24.09.08წ., რის შემდეგაც პენსიის გაცემა განუახლდა. შესაბამისად, ა. მ-ს 2006 წლის სექტემბრიდან 2008 წლის სექტემბრამდე სრულწლოვანების მიღწევის გამო პენსია შეწყვეტილი ჰქონდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, პენსიის დანიშვნის საფუძველია მარჩენალის გარდაცვალება. ამავე კანონის მე-17 მუხლის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, პენსიის გაცემის შეწყვეტის საფუძველია მარჩენალდაკარგული პირის მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. 146/ნ ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის» მე-9 მუხლის შესაბამისად, მარჩენალის გარდაცვალების გამო არასრულწლოვან შვილებს პენსია ენიშნებათ სრულწლოვანების – 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

დე. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის ადრინდელი რედაქცია, ნორმაში **15.09.06წ.** ბრძანებით შეტანილ ცვლილებამდე, იმ მარჩენალდაკარგული პირებისათვის, რომლებსაც «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე დანიშნული ჰქონდათ «მარჩენალის შრომის პენსია» და ამ პენსიას იღებდნენ **18** წლის ასაკის მიღწევის შემდგომ პერიოდშიც, ითვალისწინებდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების გამო **23** წლის ასაკამდე პენსიის მიღების უფლებას, თუ არ იყო დამდგარი «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პენსიის შეწყვეტის საფუძველი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **10.02.06წ. 146/ნ** ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის» მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **15.09.06წ. 1249/ნ** ბრძანებით შეტანილი ცვლილების თანახმად, იმ მარჩენალდაკარგულ პირებს, რომლებსაც «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე დაენიშნა მარჩენალის შრომის პენსია და ამ პენსიას იღებენ სკოლის შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გამო, უგრძობდებოდათ პენსიის მიღების უფლება **23** წლის ასაკამდე, თუ არ დადგა «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პენსიის შეწყვეტის საფუძველი, გარდა «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტით (სრულწლოვანების – **18** წლის ასაკის მიღწევა) განსაზღვრული გარემოებისა, ამავე ნორმის თანახმად პენსიის გაცემა ხდება ყოველი სასწავლო წლის პირველ თვეში წარმოდგენილი სწავლის შესახებ ცნობის საფუძველზე, რომლის წარუდგენლობის შემთხვევაში პენსიის გაცემა შეჩერდება და განახლება ამ წესით განსაზღვრული პირობებით. ამდენად ცნობის წარმოდგენლობა არის პენსიის გაცემის არა შეწყვეტის, არამედ შეჩერების საფუძველი, რაც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს გასული პერიოდის პენსიის ანაზღაურების თვალსაზრისით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **10.02.06წ. 146/ნ** ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო პენსიის გაცემის წესის» მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეჩერებული პენსიის განახლების შემთხვევაში ანაზღაურდება პენსიონერის მიერ მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან. ამდენად არ არსებობდა სააგენტოს სადავო აქტით მარჩენალდაკარგული პირისათვის განვლილი პერიოდის კუთვნილი პენსიის თანხის გაცემაზე მთლიანად უარის თქმის საფუძველი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ აღუდგინა რა ა. მ-ს პენსიის მიღების უფლება, წესების **9.3** და **20.1** მუხლების საფუძველზე ვალდებული იყო მოსარჩელისათვის აენაზღაურებინა წარსული პერიოდის ერთი წლის მიუღებელი თანხა.

ზემოაღნიშნულთან ერთად საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ პენსიის გაცემის შეწყვეტის **2006** წლის სასწავლო წლის დაწყების მომენტისათვის მოქმედებდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **10.02.06წ. 146/ნ** ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თავდაპირველი რედაქცია, რომელიც პენსიის გაცემის სავალდებულო პირობად არ ითვალისწინებდა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სწავლების შესახებ ცნობის წარდგენას. ა. მ-ს მარჩენალდაკარგულის შრომის პენსიის გაცემა შეუწყდა სრულწლოვანობის ასაკის მიღწევასთან დაკავშირებით (**08.08.06წ.**), ამასთანავე ადმინისტრაციულ ორგანოს – სოციალური მომსახურების სააგენტოს პენსიის გაცემის შეწყვეტასთან დაკავშირებით არ გამოუცია რაიმე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციულ ორგანოს არ განუმარტავს მოსარჩელისათვის პენსიის შეწყვეტის საფუძველი, პენსიის გაცემის გაგრძელებისათვის სწავლების გაგრძელების დამადასტურებელი ცნობის წარდგენის საჭიროება, პენსიის გაცემის შეწყვეტა მოხდა რეალურად, უმოქმედობით, რაც არ იყო საკმარისი უკვე დანიშნული პენსიის შესაწყვეტად. ამდენად, ა. მ-ს მარჩენალდაკარგულის შრომის პენსია შეუწყდა **2006** სასწავლო წლის დაწყებამდე, საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებამდე, ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ა. მ-ს მარჩენალის შრომის პენსია დანიშნული ჰქონდა «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე, **2005** წლიდან ა. მ-ი სწავლას აგრძელებდა სკოლის შემდგომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო წესების **9.3** მუხლის თავდაპირველი რედაქცია არ ითვალისწინებდა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ცნობის წარმოდგენის ვალდებულებას, ამასთანავე საქმის მასალებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დამადასტურებელი **31.05.06წ.** ცნობა მოსარჩელემ **2006** სასწავლო წლის დასაწყისში წარუდგინა სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის ცენტრს, რომელსაც თავის მხრივ არ გამოუცია აქტი ა. მ-ისათვის დანიშნული მარჩენალდაკარგული პენსიის შეწყვეტის შესახებ, არ მოუთხოვია ხელმოწერა ცნობის წარმოდგენა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობდა **2006** სასწავლო წელს მარჩენალის შრომის პენსიის შეწყვეტის საფუძველი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის» მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის განახლებული რედაქციის ამოქმედებიდან არსებობდა ა. მ-ისათვის **2007** სასწავლო წელს პენსიის გაცემის შეჩერების საფუძველი, რომლის განახლება ხდებოდა სასწავლო წლის პირველ თვეში წარმოდგენილი სწავლის შესახებ ცნობის საფუძველზე. ა. მ-მა განცხადება და სწავლის შესახებ ცნობა **24.09.08წ.** წარუდგინა სააგენტოს, რადროიდანაც განუახლდა პენსიის გაცემა. მიუხედავად იმისა, რომ ა. მ-ს **2007** წლის სასწავლო წელს აღნიშნული ცნობა არ წარუდგენია, საკასაციო პალატა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **10.02.06წ. 146/ნ** ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თვლის, რომ **2008** წელს პენსიის განახლებასთან ერთად არსებობდა ა. მ-ისათვის **2007** წლის სასწავლო წელს მიუღებელი საპენსიო თანხის გაცემის პირობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არსებობდა პენსიის განახლებამდე განვლილი პერიოდისათვის (**2006** წლის აგვისტოდან **2008** წლის სექტემბრის ჩათვლით) საპენსიო თანხის ანაზღაურების საფუძველი, შესაბამისად სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ

უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, რაც სსკ-ის 410-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.09წ. გადაწყვეტილება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება

პირის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების პირობები

განჩინება

ბს-1089-1058(კ-10)

29 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 20 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. ფ-შვილმა, მოპასუხის – საქართველოს პარლამენტის მიმართ და მოითხოვა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება.

მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებული პირველი დემოკრატიული არჩევნების შედეგად პოლიტიკურ ბლოკ «...» საარჩევნო სიით გახდა უზენაესი საბჭოს წევრი; 1991 წლის 22 დეკემბერს დაწყებული სამხედრო გადატრიალების შედეგად კი, სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით, მას ვადამდე შეუწყდა დეპუტატის უფლებამოსილება.

გ. ფ-შვილი თავის სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებდა «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონს, რომლის მე-2 მუხლის შესაბამისად, პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, ხოლო ამავე კანონის მე-3 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია.

2009 წლის 24 მარტის განცხადებით მოსარჩელემ დააზუსტა მოპასუხეთა წრე და საქართველოს პარლამენტთან ერთად მოპასუხეებად მიუთითა საქართველოს მთავრობა და სოციალური სუბსიდიების სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 მაისის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი და საქართველოს მთავრობა საქმეში ჩაებნენ მესამე პირებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე – გ. ფ-შვილის სარჩელი – პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების თაობაზე დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოში მოხდა ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს უზენაესი საბჭოს საქმიანობის ვადაზე ადრე შეწყვეტა.

– საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 16 მარტის 13441/3-1 ცნობის თანახმად, 1990-1992 წლებში მოსარჩელე გ. ფ-შვილი იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი.

– 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შედეგად, საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით დადასტურდა – 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, 1991 წლის 26 მაისის არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართვე-

ლობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. აგრეთვე ის, რომ დაგმოვილ იქნა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება.

– საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 30 იანვრის 185 დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსს დაევალა უზენაესი საბჭოს ყოფილ დეპუტატებთან ანგარიშსწორების განხორციელება.

ადმინისტრაციულმა კოლეგიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს პოლიტიკური რეპრესიის და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის ცნებას, ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების წესს და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის გარანტიებს. ამავე კანონის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული კანონის მე-2 მუხლის თანახმად, პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან და არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით.

სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს მთავრობის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სახელისუფლებო სტრუქტურის ფუნქციონირების შეწყვეტის გამო, მასში დასაქმებულ პირთა უფლებამოსილების შეწყვეტა არ შეიძლება განხილულ იქნეს უკანონო დათხოვნად. სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ფ-შვილის დათხოვნა უკავშირდებოდა ლეგიტიმური ხელისუფლებისადმი მის მხარდაჭერას. მოსარჩელის დათხოვნა მოხდა არალეგიტიმური ორგანოს – სამხედრო საბჭოს დადგენილების საფუძველზე, რომლითაც შეჩერებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედება და შესაბამისად, შეჩერდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა, მათ შორის გ. ფ-შვილის უფლებამოსილება. აღნიშნული დასტურდება საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის «1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ დადგენილებით». ამავე დადგენილებით გადასინჯვას დაექვემდებარა სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ, რომელთა ბრალდება ემყარებოდა მითითებულ სახელმწიფო სტრუქტურაში მათ მონაწილეობას და პოლიტიკურ მრწამსს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ სამხედრო საბჭოს 1992 წლის 2 იანვრის დადგენილება, რომლითაც შეჩერდა საქართველოს უზენაესი საბჭოს საქმიანობა, წარმოადგენდა უკანონო აქტს, რომელსაც შედეგად მოჰყვა კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლის - გ. ფ-შვილის უფლებამოსილების ვადამდე უკანონოდ შეწყვეტა. გამომდინარე აქედან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე – გ. ფ-შვილის მიმართ სახეზეა პოლიტიკური რეპრესიის განხორციელება, რაც გამოიხატა მოსარჩელის თანამდებობიდან უკანონო განთავისუფლებაში.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტომ».

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, იმ საფუძველით, რომ სამხედრო საბჭოს 1992 წლის 30 იანვრის 185 დადგენილების საფუძველზე, 1992 წლის 2 იანვარს საქართველოს უზენაესი საბჭოს ყველა დეპუტატს, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და მრწამსისა, შეუჩერდათ უფლებამოსილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მაისის განჩინებით სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტომ» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები და სასამართლოს დასკვნები საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების თაობაზე. გარდა ამისა, პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს ყველა დეპუტატისათვის უფლებამოსილების შეჩერება, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და მრწამსისა, ვერ ჩაითვლებოდა გ. ფ-შვილისათვის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებაზე უარის თქმის საფუძველად.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტომ».

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მაისის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას იმ მოტივით, რომ არ არსებობდა მოსარჩელის მიმართ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების საა-

გენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

«1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ» საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით სახელმწიფომ დაადასტურა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. იმავე დადგენილებით გადასინჯვას დაექვემდებარა სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ, რომელთა ბრალდება ემყარებოდა მითითებულ სახელმწიფო სტრუქტურებში მათ მონაწილეობას და მათ პოლიტიკურ მრწამსს. აღნიშნულის საფუძველზე 2005 წლის 24 ივნისს «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მითითებული კანონის მოქმედება გავრცელდა საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. ამავე კანონის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა – სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დასახლების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებით, სოციალური წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, ან კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები.

ამდენად, მითითებული კანონით განისაზღვრა, რომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა იძულების ისეთი ფორმა, როგორცაა «თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილიდან უკანონოდ დათხოვნა», რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებით.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს არ მოუხდენია «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი.

სასამართლო გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაეყრდნო მხოლოდ საქართველოს პარლამენტის 11.03.05 წლის დადგენილებას «1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ» და მხოლოდ აღნიშნული ნორმატიული აქტის საფუძველზე მოახდინა მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის კანონიერების შეფასება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე პირი, მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, თუ საქმის გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილი და ამომწურავი გამოკვლევა – შეფასებით დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოსარჩელის მიმართ პოლიტიკური მოტივით ნამდვილად იქნა გამოყენებული «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების ფორმა.

საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად, მოსარჩელე – გ. ფ-შვილი გახდა უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ხოლო 1992 წლის 30 იანვარს 185 დადგენილებით სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით შეუჩერდა დეპუტატის უფლებამოსილება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ცალკე აღებული დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ პირი მიჩნეულ იქნას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს წარმოადგენს გარემოება იმის თაობაზე, რომ 1992 წელს უზენაესი საბჭოს ყველა დეპუტატს შეუჩერდა უფლებამოსილება განურჩევლად იმისა, რა პოლიტიკური მრწამსისა თუ პოზიციის მატარებელი იყო იგი. ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლიოს, კონკრეტულად რაში გამოიხატა მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულება, იყო თუ არა მისი დათხოვნა დაკავშირებული მის პოლიტიკურ შეხედულებასთან, ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერასთან ანუ იყო თუ არა სახეზე პოლიტიკური მოტივით მოსარჩელის დევნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის 1.2 მუხლის თანახმად, პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიჩნევისათვის აუცილებელია ერთდროულად ორი ელემენტის არსებობა, კერძოდ სახეზე უნდა იყოს პირის სამუშაოდან უკანონო დათხოვნა, რომელიც, თავის მხრივ, განხორციელებული უნდა იყოს პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირე-

ბული იყოს დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებით.

საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს რა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, რომლის დანიშნულებაცაა იძულების ფორმების აღკვეთა, პირის უფლებების აღდგენა და შესაბამისი გარანტიებით (სოციალურ-მატერიალური) უზრუნველყოფა, მაგრამ იმავდროულად აღნიშნავს, რომ ამისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ პირის განცხადება მის მიმართ ზემოქმედების ამა თუ იმ ფორმების გამოყენების თაობაზე, სასამართლო ვალდებულია, პირის უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპის დაცვით, უზრუნველყოს საქმის გარემოებათა ობიექტური და სრულყოფილი მოკვლევა, კერძოდ, განხორციელდა თუ არა მოსარჩელის მიმართ პოლიტიკური რეპრესია, რაც გამოიხატა მისი, როგორც კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლის – საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის პოლიტიკური მოტივით თანამდებობიდან უკანონო გათავისუფლებაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარმოსადგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. მხარეს უფლება აქვს ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება მათ თაობაზე.

ზემოაღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად არ მომხდარა საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების გამოკვლევა და მათი ყოველმხრივი შეფასება. გამომდინარე აქედან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რის გამოც საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მაისის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.